დავით მუმლაძე შაშიაშვილის ეპოქას ებრძვის A3

"თქვენი აფხაზეთი" A8

"ხალხის პირისპირ" ანკეტა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 7 ივლისი, 2004 წელი. №159 (708) ფასი 50 თეთრი

ევროკომისარი საქართველოს ხელისუფლებას "სწორ გზაზე" აყენებს

იური ლოგვინენის ფოტო

"მნიშვნელოვანია, რომ კარგად იყოს გამოყენებული ის ნაბიჯი, რომელიც ევროკავშირმა გადადგა. ვგულისხმობ "ახალ ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას". ამიტომ მთელი ძალისხმევა აქეთკენ მიმართეთ. ეს პროცესი დასახულ მიზანთან ნაბიჯ-ნაბიჯ მიგიყვანთ."

ინტერვიუ იხილეთ A5 გვერდზე

გიორგი ასანიშვილი

მიმდინარე წლის 14 ივნისს ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" წევრებად საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცნობის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას ევროკავშირისკენ სავალ გზაზე მწვანე შუქი აენთო. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ეს გზა მეტად რთული, ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი იქნება.

"უახლოეს მომავალში საქართველოს ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა არ გააჩნია. მოთმინების უნარი უნდა იქონიოთ და მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ იაროთ," - აცხადებს კომისარი ევროკავშირის გაფართოების საკითხებში იანეშ პოტოჩნიკი, რომელმაც გუშინ პარლამენტში ქართულ პოლიტიკურ საზოგადოებას "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ძირითადი მიმართულებები გააცნო.

პოტოჩნიკი იძლევა რამდენიმე რჩევას, რომელთა გათვალისწინებაც ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესს დააჩქარებს. ევროკომისრის განცხადებით, თითოეული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობამ ევროკავშირთან კოორდინირებულად უნდა გადადგას და ამ საკითხში "თვითშემოქმედება" ყოვლად დაუშვებელია. პოტოჩნიკის აზრით, კოორდინაცია უნდა განხორციელდეს პრემიერ-მინისტრის მეშვეობით, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს ჩაუდგება სათავეში.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოს ომბუდსმენი ეყოლება

პრეზიდენტი და არასამთავრობოები ერთმანეთს ახლებური ცხოვრებისკენ მოუწოდებენ

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მესამე სექტორს ხელისუფლებასთან თანამშრომლობას სთავაზობს და დასძენს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალი რეალობების შესაბამისად ტრანსფორმაცია უნდა განიცადონ. თავის მხრივ, მესამე სექტორის წარმომადგენლები ქვეყანაში პოლიტიკური კონკურენციის დეფიციტზე და დემოკრატიის პრობლემებზე, ძველი ცხოვრების "გადმონაშთებზე" საუბრობენ.

ვერიკო თევზაძე

არასამთავრობოებმა მოასწრეს და საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მინიტორინგის კომიტეტის წევრებთან "უჩივლეს" - მათ ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებში ამხილეს. ამის შესახებ მათიას იორშმა ჟურნალისტებს ზურაბ ჟვანიასთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

გაგრძელება A2 გვერდზე

შემოდგომაზე პარლამენტში ახალი ფრაქციები გაჩნდება

საზაფხულოდ აღებული "პოლიტიკური ანტრაქტის" შემდეგ, შემოდგომისათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი. კონკრეტულად, უკვე ცნობილია, რომ "რესპუბლიკელების" გარდა, საპარლამენტო ფრაქციის შექმნა ზვიად ძიძიგურსა და კობა დავითაშვილსაც აქვთ გადაწყვეტილი. ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ამ ეტაპზე დაახლოებით 25 კაცთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და, ამდენად, ფრაქციის შექმნა უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ჯერჯერობით, გაურკვეველია, თუ ვინ შევა საბოლოოდ ძიძიგური-დავითაშვილის გაერთიანებაში.

"წინასწარ არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ადრე, როცა ფრაქციის შექმნის თაობაზე გარკვეული მოძრაობა დაიწყო, ჩვენი სავარაუდო წევრების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ხელად დაინტერესდნენ. ზოგი მათგანი კი მიხეილ სააკაშვილმა საზღვარგარეთ ვიზიტებისას თან გაიყოლა და ასე შემდეგ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ძალლი ყეფს, ქარავანი მიდის

ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ს კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია დავალიანების დასაფარად ათი დღის ვადას აძლევს. საქმე ეხება რეგულირების საფასურის 121-ათასიან და ახალი ლიცენზიის 58-ათასიან დავალიანებას, რომლის სრულად გადახდას ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში აპირებს. 16 ივლისს მარეგულირებელი კომისია "რუსთავი-2"-სთვის მაუწყებლობის ლიცენზიის ათი წლით გაგრძელების საკითხზე იმსჯელებს.

ეთერ მამულაშვილი

ბოლო დღეებში პრესა და მედიის სხვა საშუალებები ბევრს საუბრობდნენ ტელეკომპანიის მიერ კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის მიმართ დაგროვილ დავალიანებებზე. რამდენიმე მათგანი "რუსთავი 2"-სთვის ლიცენზიის გაუქმებას წინასწარმეტყველებდა, თუმცა ეს ზოგიერთი მედია-კომპანიის დიდ სურვილს უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალურ პროგნოზს. ამ მოსაზრებას, გარკვეულწილად, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ "რუსთავი 2" არ არის ერთადერთი ტელეკომპანია, რომელსაც კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ვალი მართებს. როგორც "24 საათმა" კომისიის თავჯდომარესთან დიმიტრი ქიტოშვილთან გაარკვია, ამ დროისთვის დავალიანება რამდენიმე ტელეკომპანიას გააჩნია, მათ შორისაა: "აი-ეტი TV", ტელეკომპანია "იბერია", ტელეკომპანია "იმედი" და ქვემო ქართლის ტელევიზია.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

როგოზინის რეტროგრადული ოცნებები

საინტერესოა "როდინას" ემბლემა: ესაა ჩვენთვის კარგად ცნობილი სსრკ-ს რუკა, რომლის კონტურებში ყველა ყოფილი რესპუბლიკაა მოქცეული, მათ შორის - საქართველოც.

A2

ეკონომიკა

საბიუჯეტო ციფრებით მანიპულირება გრძელდება

ჩვენი საბიუჯეტო მონიტორინგი ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემებს (მასში განხილულია 2004 წლის 6 თვის მაჩვენებელი). მონაცემები ცხადყოფს, რომ პრობლემებია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე მისი შესრულების მხრივ, რაც, პირველ რიგში, უმწეო და სოციალურად დაუცველ პირებზე აისახება.

A4

უცხოეთი

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი რუსეთის დიდი რვიანის წევრობის საკითხის გადახედვას ითხოვს

დემოკრატი სენატორი ჯონ ედვარდსი წინასაარჩევნო მარათონში უფრო რადიკალური საგარეოპოლიტიკური პლატფორმით წარდგა.

A5

საზოგადოება

ვინ აგებს პასუხს?

საუკუნეების წინ დაწყებული ბრძოლა ქართულ და ბერძნულ ეკლესიებს შორის ისევ გრძელდება.

A6

ამინდი

	7/7	8/7
თბილისი	33	32
ქუთაისი	37	34
ბათუმი	37	31
სოხუმი	33	31
ფოთი	36	32
თელავი	32	30
ზუგდიდი	37	33
გორი	31	29
ახმეტა	32	31
ჭიათურა	36	33

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3595
გირვანქა სტერლ.	3.5203
რუბლი	0.0661

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროინტეგრაცია", "სპეციალისახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განამტკიცებს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საბანკო-ანგარიშსწორებო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 38 ლარი;
6 თვით - 76 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26487440.

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ფოსტა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

საქართველოს ომბუდსმენი ეყოლება

არასამთავრობოების შეხვედრა პრეზიდენტთან სამ საათს გაგრძელდა.

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"არასამთავრობო სექტორმა, რომელთანაც მე ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, უნდა მოახდინოს საკუთარი ინტერესის სფეროების გადახედვა და ახალი იმპულსით უნდა განაგრძოს მოქმედება," - ასეთია მიხეილ სააკაშვილის პოზიცია. თავის მხრივ, მესამე სექტორი დაუშვებლად მიიჩნევს იმ ტერორს, რომელსაც ქვეყანაში პოლიცია ახორციელებს. **"პოლიცია იგივე სისასტიკეს სჩადის, რასაც წინა ხელისუფლების დროს აკეთებდა. ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა",** - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა საზოგადოების აზრს ანგარიში გაუწია და სპეცრაზმის მიერ გასულ კვირას მშვიდობიანი აქციის დარბევის ფაქტს გამოეხმაურა. პრეზიდენტის შეფასება ცალსახა არ ყოფილა. მიხეილ სააკაშვილი, ერთი მხრივ, წინააღმდეგია **"გადაჭარბებული ძალის"** გამოყენებისა. მეორე მხრივ, **"დიახაც უნდა იყოს აღკვეთილი საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშემშლელი ქმედება".**

პრეზიდენტს დღემდე ვერ გაუგია, აქციის დარბევისას რატომ გამოიძახეს თემურ მღებრიშვილი და მისი რაზმი, მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება **"ცივილიზებული სპეცრაზმი, რომელიც ცივილიზებული ფორმით იმოქმედებს".** ქვეყნის პირველმა პირმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ამის შესახებ შენიშვნა მისცა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმა რევოლუციური ხასიათისაა და იგი აუცილებლად კადრების გადახალისებას მოითხოვს: სისტემაში დარჩება მხოლოს ის ხალხი, ვისაც "ახლებურად" მუშაობა შეუძლია. **"გარდამავალი ეტაპი მტკივნეული იქნება, რადგან იგი გამოააშკარავებს ხარვეზებს და შექმნის პრობლემებს, მაგრამ უკან დასახევი გზა არ არის,"** - ამბობს პრეზიდენტი.

გუშინდელ შეხვედრაზე პრეზიდენტს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ ომბუდსმენის პოსტზე თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომლის სოზარ სუბელიანის კანდიდატურა წარუდგინა, რომელიც პრეზიდენტმა მოიწონა. ერთ კვირაში საქართველოს ახალი ომბუდსმენი ეყოლება.

აქცია გადაიდო, მაგრამ ცოტა ხნით

ყოფილ მაღაროთა სამმართველოში, აწ კი შპს "ასკანაში" არსებული მწვავე დაპირისპირება ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა აბსოლუტურ უმრავლესობას შორის, რამდენიმედღიანი პაუზის შემდეგ, კვლავ გამოცოცხლდა. საპროტესტო აქციათა ციკლი ერთგვარად შეანელა ცნობამ,. რომ შპს-ს ბერძენი დირექტორი ნიკოლაუს ლეგომენიდისი გადაყენებული იყო დაკავებული თანამდებობიდან და მალე აქ ახალი ხელმძღვანელი უნდა გამოჩენილიყო. ახალი კადრის ნაცვლად კი "ასკანის" მეპატრონე ფირმა "Silver & Barit Mining Company"-ს დირექტორისაგან მიიღეს წერილი, რომლის შინაარსი საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ერთხმად და ერთსულოვნად შეაფასეს, როგორც ზერელე, დემაგოგიური და ცინიკური. აქციის მონაწილეთა ინტერესების დამცველი ადგილობრივი პროფკავშირების კომიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ბერძნული მხარის დამოკიდებულება შექმნილი პრობლემური სიტუაციისადმი მოუთმენელია.

"ჩვენი მოთხოვნაა, გვამუშაონ ადამიანურად, მოგვცენ რეალური ხელფასი, აამუშაონ გაჩერებული საამქროები; განგვიმარტონ, რატომ არის ჩვენი საწარმო წამგებიანი, გაათავისუფლონ ლეგომენიდისი, ასევე - მისი ქართველი დირექტორი და შპს-ს იურისტი, რადგან ისინი ბერძნული მხარის ინტერესებს იცავენ," - განაცხადეს მუშებმა.

6 ივლისისათვის აქციის მონაწილეები ოზურგეთის გამგეობის შენობასთან აპირებდნენ გადანაცვლებას და აქციის გაგრძელებას, მაგრამ წინა დღით პროტესტანტთა ლიდერები მხარისა და რაიონის ხელისუფლების პირველ პირებს შეხვდნენ და, როგორც ჩანს, ამ განზრახვაზე ხელი აიღეს, რადგან გამგეობის შენობაში დღეს მხოლოდ პენსიონერთა ათკაციანი ჯგუფი არღვევდა იდილიას, ექს-მაღაროელები კი არსად ჩანდნენ.

თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან

გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე ფსიქოლოგს დაკითხავენ

თბილისის საოლქო სასამართლოში ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიებისას 5 ივლისს ის სამი ექსპერტი-ფსიქოლოგი დაკითხეს, რომლებიც მსჯავრდებულ გრიგოლ ხურცილავას ჩვენებას სასამართლო პროცესზე უსმენდნენ. ექსპერტთა თქმით, მკვლელობა ხურცილავას აფექტის მდგომარეობაში არ ჩაუდენია.

ხურცილავას ადვოკატმა დავით დადიანმა ექსპერტები სიცრუეში დაადანაშაულა. მისი თქმით, სასამართლო პროცესზე, რომელიც 8 ივლისს გაიმართება, დაკითხავენ კიდევ ერთ ფსიქოლოგს, რომელიც ბოლო პროცესზე არ გამოცხადდა. სასამართლო პროცესზე ფსიქოლოგების მოწვევა ხურცილავას ადვოკატმა დავით დადიანმა მოითხოვა; იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მკვლელობის ჩადენისას ხურცილავა აფექტის მდგომარეობაში იყო.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საოლქო სასამართლო იხილავს გრიგოლ ხურცილავას მიმართ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 8 ივლისის განაჩენის კანონიერებას, რომლითაც განსასჯელს 13-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

მედია-ნიუსი

დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს სხდომა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს რიგით 51-ე სხდომა ბათუმში დღეს დაიწყება და იგი 9 ივლისამდე გასტანს. შეხვედრაზე განიხილება სარდალთა საბჭოს წინადადებები სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ, ასევე თანამეგობრობის ქვეყნების საზღვრებზე ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაადგილების აღკვეთის ღონისძიებები.

სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, მოლდოვის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სასაზღვრო უწყებათა დელეგაციები, პირველი პირების ხელმძღვანელობით.

საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ბადრი ბიწაძე, რომელიც რუსეთის სასაზღვრო უწყების პირველ პირს, გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმირ ბორონიჩევს გაესაუბრება პირისპირ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესცენტრის ცნობით, საუბარი, სავარაუდოდ, შეეხება საზღვრის გაძლიერებას, ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და საქართველო-რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებას.

რაც შეეხება თავად დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს სხდომას, ქართული მხარე ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

"აღნიშნული სხდომა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია კონტაქტების გაძლიერების, კონკრეტული პრობლემების განხილვის და პირადი ურთიერთობების გაღრმავების კუთხით," - აღნიშნა ჩვენთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა სოსო მარგიშვილმა.

მისივე თქმით, სხდომაზე განიხილება ზოგადი მნიშვნელობის საკითხები, მათ შორის ისეთი, რომელსაც ქართული მხარე არ ეთანხმება. კერძოდ, საუბარია დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო უწყებების მიერ ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნაზე.

"მათი შემოთავაზება ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნის შესახებ, გულისხმობს სასაზღვრო მოძრაობის შესახებ ინფორმაციის დაგროვებას, ანალიზს, დაკვირვებას, არალეგალური მიგრაციის აღრიცხვას. ქართული მხარე კი ამ საკითხს იმ მიზნით არ ეთანხმება, რომ ჩვენ სრულად ვერ ვაკონტროლებთ ჩვენს საზღვარს. აქედან გამომდინარე, ამაზე მანამ არ წავალთ, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება," - განმარტავს პოლკოვნიკი სოსო მარგიშვილი.

აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში ასევე დაგეგმილია დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა მიერ კომენდატურა "ხიჭაურისა" და საგუშაგო "ბეშუმის" მონახულება.

ნინო გომართელი

როგოზინის რეტროგრადული ოცნებები

როგოზინი და მისი პარტია საბჭოთა კავშირის აღდგენაზე ოცნებობენ.

სახალხო-პატრიოტული ბლოკი "როდინა" რუსეთის სინამდვილეში პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა, რომლის პირველმა ყრილობამ პარტიის თავმჯდომარედ დმიტრი როგოზინი აირჩია.

ტრიბუნაზე ასულმა როგოზინმა პროგრამული სიტყვა წაიკითხა. მასებს დაჰპირდა, რომ 2007 წლისათვის საპრეზიდენტო პარტია "ედინაია როსიას" ადგილს წაართმევს და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს საკუთარი სერიოზული კანდიდატით (რა თქმა უნდა, როგოზინი). ტრიბუნიდან "როდინას" ლიდერმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კრემლის ლიბერალური ღირებულებები -გერმან გრეფის ეკონომიკური პოლიტიკა, მემარჯვენე ხაკამადასა და ჩუბაისის "გაღარიბებული მრწამსი". როგოზინმა, რასაკვირველია, ტრადიციასაც არ უღალატა: სახალხო-პატრიოტულად განწყობილ დარბაზს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინტეგრაციასაც დაჰპირდა.

საქართველოს თემა "როდინას" ლიდერმა კიდევ უფრო განავრცო და რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილი, ამჟამად საქართველოს თავშეფარებული ბადრი პატარკაციშვილის რუსეთის სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემა მოითხოვა. ამ პასაჟმა ყრილობაზე დამსწრე პენსიონერები აღფრთოვანა. ყველაზე ხმამაღლა ტაშს უკრავდა გენერალი იგორ როდიონოვი, რომელიც კახა ბენდუქიძის გაკულაკებასაც ითხოვს.

საინტერესოა "როდინას" ემბლემა: ესაა ჩვენთვის კარგად ცნობილი სსრკ-ს რუკა, რომლის კონტურებში ყველა ყოფილი რესპუბლიკაა მოქცეული, მათ შორის - საქართველოც.

პარტიის ყრილობის ბოლოს, როცა ცნობილი გახდა, რომ როგოზინმა კომუნისტების ლიდერს გენადი ზიუგანოვსაც შეუტია, რუსეთის კომპარტიის აქტივისტებმა მოსკოვის მუსიკის სახლის (სადაც ყრილობა მიდიოდა) მიდამოებში ტრანსპარანტები გაშალეს,. "შენ ვისი ხარ, როგოზინო?" - ეწერა ერთ პლაკატზე. "როგოზინი კრემლს მიეყიდა. ფულს გენერლები უხდიან. ჩვენ კი პენსიები წაგვართვა!" - ყვიროდნენ კომუნისტები.

რუსუდან ნიკურაძე, საკ. კორ. მოსკოვში

შემოდგომაზე პარლამენტში ახალი ფრაქციები გაჩნდება

ზვიად ძიძიგური უმრავლესობის ფრაქციებად დაშლას წინასწარმეტყველებს.

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მე და დავითაშვილი ვხუმრობდით, თავისუფლად შეგვიძლია გავხსნათ ტურისტული სააგენტო, სახელწოდებით "მოგზაურობა საზღვარგარეთ, პრეზიდენტთან ერთად," - აცხადებს ძიძიგური, მაგრამ იმას არ მალავს, რომ მოლაპარაკებები ძველი კანდიდატების ნაწილთან კვლავ გრძელდება - როგორც მაჟორიტარებთან, ისე "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრებთან.

"ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერი მიიჩნევს, რომ მათი და "რესპუბლიკელების" ფრაქციების შექმნას საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციებად დაშლა მოჰყვება. **"ცალკე ფრაქციებად დაიშლებიან ბურჯანაძის და ჟვანიას გუნდები. 160 კაცის ერთ ჭკუაზე მოყვანა ძალზე ძნელია. საპარლამენტო უმრავლესობის ერთგვარ კოალიციურ ერთობად გარდაქმნა უკეთესი იქნება, რამდენიმე ფრაქციის გაერთიანებით. რასაც ვუყურებ, ეს ქვეყანა ავტორიტარიზმისკენ მიდის, ავტორიტარიზმს კი სიკეთემდე არასოდეს მივუყვანივართ,"** - აცხადებს ზვიად ძიძიგური.

24 საათი

ქართველ სამხედროთა მორიგი ოცეული კოსოვოში მიემგზავრება

კოჯრის სპეცდანიშნულების ოცეული, უფროსი ლეიტენანტის ზაზა ლობჟანიძის მეთაურობით, სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად კოსოვოს ქალაქ პრიზრენში გაემგზავრება. მანამდე კი, 29 რიგითისა და ხუთი ოფიცრისაგან შემდგარი ოცეული თურქეთში სამკვირიან მომზადებას გაივლის, მამუშას სამხედრო ბაზაზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 34-კაციანი ქართული ოცეული კოსოვოში ექვსი თვის განმავლობაში დარჩება და სამშვიდობო მისიას თურქული ბატალიონის შემადგენლობაში შეასრულებს. ამასთან, იგი ჩაენაცვლება კიდევ ერთ, რიგით მეცხრე სამშვიდობო ოცეულს, რომელსაც კოსოვოში ყოფნის ვადა სამი კვირის შემდეგ ეწურება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა გივი იუკურიძემ გუშინ კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ამ ოცეულის ჯარისკაცები მოინახულეს.

გაცილების საზეიმო ცერემონია, რომელსაც თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელები დაესწრებიან, დღეს მარნეულის სამხედრო აეროდრომზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ოცეულის გარდა, კოსოვოში სამშვიდობო მისიას ასრულებს ქართული ასეულიც, რომელიც გერმანული მხარის პასუხისმგებლობის ზონაში მსახურობს.

თურქული ბატალიონის შემადგენლობაში ქართველი სამხედრო ოცეულები კოსოვოში სამშვიდობო მისიას 1999 წლიდან ახორციელებენ.

ნინო გომართელი

თემურ მღებრიშვილის საქმეს სასამართლო განიხილავს

"თბილტრანსის" მძღოლების ადვოკატები, "კმარას" აქტივისტები და პარლამენტარი კახა კუკავა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. საქმე 1 ივლისს თბილისის მერიასთან გამართული აქციის მონაწილეთა დარბევის ფაქტს ეხება.

კახა კუკავას განცხადებით, ვინაიდან დარბევის დროს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს, სახელმწიფოს მათთვის მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურება მოუწევს. მოსარჩელეებმა შესაძლოა, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის თემურ მღებრიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვონ. კუკავას განცხადებით, მღებრიშვილის მიერ აქციების დარბევის ყველა ფაქტის შეწავლა განხორციელდება.

მერიის შენობის წინ 1 ივლისს ორი პარალელური აქცია მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები ქალაქის მთავრობისგან დახმარებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შიმშილობის დაწყებას გეგმავდნენ. აქციის დასაშლელად თბილისის პოლიციის სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმი გამოიძახეს, რომელმაც აქციის მონაწილეები მერიის მიმდებარე ტერიტორიიდან იძულების წესით გაიყვანა.

ინტერ-პრესი

პური, შესაძლოა, კვლავ გაძვირდეს

უკვე მეხუთე დღეა, პურის მცირე მეწარმეები ხორბალს ვერ შოულობენ. როგორც პურის მეწარმეთა კავშირის "სოლიდარობის" თავმჯდომარემ ვახტანგ ზენაიშვილმა განაცხადა, წისქვილკომბინატებში, სადაც მეწარმეები არიან მიმაგრებული, მათ პასუხობენ, რომ ხორბალი არ აქვთ. მეპურეებმა სცადეს, ხორბალი რუსთავის "პროგრესისგან" შეეძინათ. ამ კომბინატის ხელმძღვანელობა ერთი თვის წინათ აცხადებდა, რომ შემოტანილი ჰქონდა დიდი ოდენობის ხორბალი და მთავრობას რეალიზაციაში დახმარებას სთხოვდა. ამჯერად "პროგრესში" მეპურეებს უპასუხეს, რომ ვითარება შეიცვალა და ხორბლის გაყიდვაზე უარს ამბობენ. ზენაიშვილის თქმით, დეფიციტის მიზეზი ერგნეთიდან პროდუქციის შემოტანის შეწყვეტა გახდა. დაკეტილია როკის გვირაბი და რუსეთიდან ხორბალი არც ლეგალური გზით შემოდის. კახეთში მოსავლის აღება კი დაიწყო, მაგრამ ხორბალი ბაზარზე ჯერ არ შესულა. ახალი მოსავლის მოლოდინში ფქვილის ფასების კლება ისევ შეჩერდა და საპირისპირო პროცესი ვითარდება; მეპურეები ამ ვითარებაში პურზე ფასების მომატებას არ გამორიცხავენ.

მედია-ნიუსი

აფხაზეთიდან თურქი მონები ბრუნდებიან

საქართველოში თურქეთის საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით, აფხაზმა მილიციელებმა ქართულ მხარეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი თურქეთის სამი მოქალაქე - ალი ქონჯა, სერქან დილექი და მურად ბირინჯი გადასცეს.

თურქული მხარის ინფორმაციით, აფხაზური მხარის მიერ ქართველი სამართალდამცველებისთვის გადაცემული მოქალაქეები აფხაზეთში იძულებით სამუშაოებს ასრულებდნენ. ქართველი სამართალდამცველები, რომლებიც უკვე ესაუბრნენ თურქეთის მოქალაქეებს, ადასტურებენ თურქული მხარის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ალი ქონჯა, სერქან დილექი და მურად ბირინჯი აფხაზეთში ტრეფიკინგის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

როგორც თურქეთის მოქალაქეები აცხადებენ, აფხაზეთში ჩასვლის შემდეგ, მათ საბუთები წაართვეს და მეთვალყურეები მიუჩინეს, რის გამოც კონტაქტს ვერავისთან ახერხებდნენ.

მათი თქმით, ისინი ყოველდღე დაჰყავდათ ტყვარჩელში სამუშაოდ და "მონებივით ექცეოდნენ".

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, გალის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსის, გიორგი ჯიქიას ცნობით, უშიშროება ფლობს ინფორმაციას, რომ აფხაზეთში მოტყუებით ჩაყვანილია უცხოეთის მრავალი მოქალაქე, რომელთაც ამუშავებენ, როგორც მონებს. დაზუსტებული ინფორმაციით, დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე თურქეთის მოქალაქეთა როგორც ყოფნა, ისე მცირე ბიზნესში მათი საქმიანობა შეიმჩნევა. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, თურქ ბიზნესმენთა უმრავლესობა აფხაზეთში კაფეებს ფლობს და ვაჭრობით არის დაკავებული.

პრაიმ-ნიუსი

ევროკავშირის დელეგაციამ სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაცია განიხილა

ევროკავშირის დელეგაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის ჰეიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით ცხინვალს ეწვია და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაცია განიხილა.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებზე საუბრის ძირითადი თემა ბოლო დროს რეგიონში განვითარებული პროცესები, ეკონომიკური პროექტები და კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის განმტკიცების ღონისძიებები იყო.

სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ ევროკავშირის წარმომადგენელს განუცხადა, რომ უარს ამბობს სტატუსის საკითხის განხილვაზე, რადგან "იგი უკვე წლების წინ განისაზღვრა".

ევროკავშირის დელეგაციის წევრებმა შეხვედრებზე, განსაკუთრებული ხაზი გაუსვეს სამშვიდობო პროცესის გაგრძელებას და მხარეებს შორის ნდობის განმტკიცების ღონისძიებების აუცილებლობას.

პრაიმ-ნიუსი

საზღვაო თავდაცვის ძალები დღეს 12 წლის იუბილეს აღნიშნავენ

საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალები დღეს დაარსებიდან 12 წლის იუბილეს აღნიშნავენ. იუბილესთან დაკავშირებით, ბათუმისა და ფოთის საზღვაო აკვატორიაში საზეიმო სამხედრო-საზღვაო აღლუმი გაიმართება. აღლუმში მონაწილეობას ექვსი მცურავი საშუალება მიიღებს. საბრძოლო ხომალდები ზღვაში ფოთი-ბათუმი-ფოთის მარშრუტს გაივლიან.

გარდა ამისა, ბათუმში თავდაცვის ეროვნული აკადემიის საზღვაო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. 41 კურსდამთავრებულს დიპლომები საზეიმო ვითარებაში გადაეცემა.

12 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები საზეიმო ვახშმით დასრულდება.

ინტერ-პრესი

"თავისუფლება ალიკ კოზაევს"

ამ მოთხოვნით, გუშინ, "ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული ფრთისა და "კმარას" წარმომადგენლებმა თავისუფლების მოედანზე აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა პროტესტის ნიშნად ქუჩაში პლაკატები გააკრეს. მათი თქმით, მსგავსი აქციები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ცხინვალის რეგიონშიც მოეწყობა.

22 წლის, ოსი ეროვნების ალექსანდრე კოზაევი ოსმა სამართალდამცველებმა ორი დღის წინ დააკავეს. ოსი ბავშვების ჩაქვში დასვენების ორგანიზების გამო, ცხინვალის ხელისუფლება მას სამშობლოს ღალატში სდებს ბრალს და გასამართლებას უპირებს.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

მოსკოვი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაური ასლან აბაშიძე ამტკიცებს, რომ მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს აჭარაში არავითარი საკუთრება არ აქვს.

"იური მიხეილის ძე ლუჟკოვს აჭარაში საკუთრება და არავითარი ეკონომიკური ინტერესები არ აქვს," - თქვა აბაშიძემ. აჭარის ყოფილმა ლიდერმა აღნიშნა, რომ ამის თაობაზე "ყოველგვარი მტკიცება საფუძველს მოკლებულია".

"აჭარას და მოსკოვს შორის თავის დროზე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ. ამ დოკუმენტის ფარგლებში აქტიურად ვითარდებოდა კულტურული კავშირურთიერთობები, თუმცა მოსკოვური ბიზნესი რესპუბლიკაში არ შემოსულა"" - განაცხადა აბაშიძემ. მისი თქმით, ერთადერთი რუსული კომპანია, რომელმაც საკუთარი ძალებით ბათუმში საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყო, იყო ფირმა "კონტი". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარაში "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელს, რეგიონში 20 ივნისს ჩატარებული უმაღლესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებული ბლოკის - "ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული აჭარის" ლიდერს კობა ხაბაზს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა შესთავაზა. კობა ხაბაზთან დაახლოებული წყაროს ცნობით, აჭარის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 14 ივლისს ბათუმში გაიმართება. სავარაუდოდ, მას პრეზიდენტი სააკაშვილი დაესწრება და იმავე დღეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას კობა ხაბაზი დაიკავებს.

თავად ხაბაზი უარყოფს ინფორმაციას პრეზიდენტის მიერ მისთვის ამ პოსტის შეთავაზების შესახებ, თუმცა აცხადებს, რომ პრეზიდენტს გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში მართლაც შეხვდა და მასთან ერთად არჩევნების შემდეგ აჭარაში შექმნილი ვითარება და არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის სამომავლო გეგმები განიხილა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე "სახელისუფლებო არასამთავრობო ორგანიზაციებს" უწოდებს იმ NGO-ებს, რომლებთანაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე შეხვედრა გამართა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამბატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ძალლი ყეფს, ქარავანი მიდის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ვფიქრობ, რომ გაზვიადებული იყო ბოლო დღეებში ატეხილი აჟიოტაჟი, რომელიც "რუსთავი 2"-ს უკავშირდებოდა. იმის გამო, რომ ტელეკომპანიის მიმართ გაკოტრების საქმე იყო სასამართლოში აღძრული, ის მოკლებული იყო ნებისმიერი თანხის გადახდის შესაძლებლობას," - განუმარტა გუშინ ჟურნალისტებს ქიტოშვილმა. კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის თქმით, რომელიც პროფესიით იურისტია, გაკოტრების რეჟიმში მყოფ ორგანიზაციას მოქმედი კანონმდებლობა ცალსახად უკრძალავს ნებისმიერი ოდენობის თანხის გადარიცხვას ნებისმიერ ანგარიშზე. მეტიც - კანონის თანახმად, ამ დროს ორგანიზაციის მთელ ქონებას და ფულად თანხებს ფინანსთა სამინისტრო და კრედიტორი კომპანიები აკონტროლებენ.

"გარდა ამისა, გაკოტრების პროცესში ჩვენ ვერ მივიღებდით ვერანაირ გადაწყვეტილებას, რადგან არ ვიცოდით, როგორ დამთავრდებოდა ეს პროცესი. ამ ცოტა ხნის წინათ კომპანიის მიმართ გაკოტრების საქმე შეწყდა და როგორც ჩემთან საუბარში ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ჩვენ მიმართ არსებულ დავალიანებას ისინი ამ დღეებში სრულად დაფარავენ," - აღნიშნა ქიტოშვილმა.

მარეგულირებელი კომისიის სხდომის წინ პრესაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს ქიტოშვილის უწყებას, უახლოეს სხდომაზე ტელეკომპანია "რუსთავი 2"-სთვის ე.წ. ORT-ს სიხშირის ჩამორთმევის საკითხიც უნდა განეხილა.

ამ საკითხზე გუშინ კომისიას საერთოდ არ უმსჯელია, თუმცა ქიტოშვილმა "24 საათთან" საუბრის

ლევან ხარხელაურის ფოტო

დიმიტრი ქიტოშვილი: "რუსთავი-2"-ის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი გაზვიადებულია".

დროს გავრცელებული ინფორმაცია უარყო და აღნიშნა, რომ ამ სიხშირეზე კომპანიისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი კომისიის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში არ დგას, რადგან ამ დროისთვის ტელეკომპანიას ლიცენზიის ღირებულების კანონით გათვლისწინებული 10 პროცენტი, ანუ 56 ათასი ლარი უკვე გადახდილი აქვს. **"რაც შეეხება დანარჩენ 20 პროცენტს, რაც, წესით, კომპანიას დღემდე უნდა გადაეხადა, ამის გადახდას "რუსთავის 2" იმავე მიზეზით ვერ ახერხებდა, რა მიზეზითაც ვერ ისტუმრებდა რეგულირების საფასურს,"** - განმარტავს ქიტოშვილი.

შეგახსენებთ, რომ "რუსთავი 2"-მა ხსენებულ სიხშირზე გამოცხადებულ ტენდერში ამ რამდენიმე თვის წინ გაიმარჯვა.

ევროკომისარი საქართველოს ხელისუფლებას "სწორ გზაზე" აყენებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ევროკომისარი ცალკე გამოყოფს პარლამენტის როლს და აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ინტეგრაციის საქმისთვის ხელშეწყობა მხოლოდ ცალკეული დოკუმენტაციების რატიფიცირებით არ უნდა შემოიფარგლოს, თუმცა, სტუმარი ამ ეტაპზე ვერც კონკრეტულ რეკომენდაციებს იძლევა: იანეშ პოტოჩნიკი საქართველოს ჯერ მხოლოდ ეცნობა და სახელისუფლებო შტოებს შორის ფუნქციების გადანაწილების სპეციფიკაში ღრმად ჩახედული არ არის.

ევროკომისრის განმარტებით, "ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" ავტომატურად არ გულისხმობს ევროკავშირის გაფართოებას. პოტოჩნიკის თქმით, ის, პირველ რიგში, ერთობლივი სამოქმედო გეგმის შექმნას და მის რეალიზებას ითვალისწინებს. თავის მხრივ, ამ გეგმაში შევა ევროკომისრის მოხსენება ისეთ საკითხებზე, როგორიც არის კორუფციასთან ბრძოლა, რეფორმების მიმდინარეობა, დემოკრატიის განვითარება, უსაფრთხოების სისტემა და სხვა. იანეშ პოტოჩნიკი პირველ ასეთ მოხსენებას ევროკავშირში მიმდინარე წლის ბოლოს ან მომავალი წლის ზაფხულში წარადგენს.

"ევროკავშირის წევრობა თვითმიზნად არ უნდა იქცეს, იგი ქვეყნის დემოკრატიზაციისა და განვითარების ამოცანიდან უნდა გამომდინარეობდეს," - აღნიშნავს ევროკომისარი. მისივე თქმით, ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიული პრობლემები აქვს, **"ევროკავშირს ძალიან აწუხებს".**

"ეს საბაზისო პრობლემაა და ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს მის გადაჭრაში," - აიმედებს პოტოჩნიკი საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა იქვე იმასაც აკონკრეტებს, რომ **"კონფლიქტების დარეგულირების პროცესში უშუალო ჩარევას ევროკავშირი არ აპირებს".**

ევროკავშირის გაფართოების კომისარი დღეს აზერბაიჯანში მიემგზავრება, ხვალ კი იანეშ პოტოჩნიკი სომხეთს ეწვევა.

აჭარაში უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომისათვის ემზადებიან

დღეს აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭო ავტონომიის ახლადარჩეული საკანონმდებლო ორგანოსათვის დროებით რეგლამენტს მიიღებს. სწორედ ამ დოკუმენტით იხელმძღვანელებენ დეპუტატები პირველ სხდომებზე. მოგვიანებით კი აჭარის მოსახლეობის რჩეულნი საკუთარი რეგლამენტს თავად დაამტკიცებენ. ბუნებრივია, იგი პარლამენტის მიერ მიღებული ანალოგიური დოკუმენტისაგან დიდად განსხვავებული არ იქნება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა 17 ივლისს გაიმართება. თუმცა, გამორიცხული არ არის, ეს დასახელებული თარიღი კიდევ შეიცვალოს.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა წინასწარ მოსამზადებელი სამუშაო, ფაქტობრივად, დამთავრებულია - 20 ივნისს არჩეულმა დეპუტატებმა ნარკოლოგიური შემოწმება უკვე გაიარეს (ამ პროცედურას მხოლოდ ერთი დეპუტატი "გამორჩა" - იგი საქართველოში არ იმყოფება), აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ კი მათ დეპუტატების დროებითი მანდატები დაურიგა.

ამასობაში, ბათუმში არა და არ ცხრება ვნებათაღელვა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ამ პოსტზე დასახელებულია ორი "ნაციონალი" - ყოფილი პარლამენტარი კობა ხაბაზი და 20 ივნისის არჩევნებში "ნაციონალთა" პირველი ნომერი, პროფესორი მიხეილ მახარაძე. თუმცა, თავად საქართველოს პრეზიდენტი უპირატესობას კობა ხაბაზის კანდიდატურას ანიჭებს. არაოფიციალური ინფორმაციით, მან უკვე ღიად დაუჭირა მხარი კობა ხაბაზს.

კობა ხაბაზი უმაღლესი საბჭოს "ნაციონალ" წევრთა უმრავლესობისთვის მისაღები კანდიდატურაა, მიხეილ მახარაძეს კი მხარს "რესპუბლიკელები" უჭერენ. მეტიც - კობა ხაბაზის არჩევის შემთხვევაში, რესპუბლიკური პარტიის ლიდერები საკმაოდ სერიოზული საპროტესტო აქციების მოწყობით იმუქრებიან.

"რესპუბლიკელები" საკმაოდ საინტერესო პროგნოზსაც აკეთებენ, რომლის მიხედვითაც, შემოდგომაზე, სახელისუფლებო პარტია "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარას" საარჩევნო სიით უმაღლეს საბჭოში გასული რამდენიმე დეპუტატი "რესპუბლიკელთა" რიგებში გადაბარგდება, რაც მათ უმაღლეს საბჭოში ფრაქციის შექმნის საშუალებას მისცემს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს "რესპუბლიკელი" დეპუტატის, მურმან დუმბაძის თქმით, სახელისუფლებო პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც "რესპუბლიკელების" მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ.

ამავე დროს, "რესპუბლიკელები" იმისთვისაც იბრძოლებენ, რომ რეგლამენტი მათ ფრაქციის შექმნის საშუალებას აძლევდეს. როგორც "რესპუბლიკელები" აცხადებენ, რეგლამენტის პროექტში ფრაქციის შექმნა მხოლოდ ხუთ დეპუტატს შეუძლია.

დაბოლოს: დღეისათვის კვლავაც უცნობია, ვინ იქნება ბათუმის მერი. ამ საკითხთან დაკავშირებით აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის საკმაოდ აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს. გავრცელებულ ინფორმაციას, ამ პოსტზე მოქკავშირის ერთ-ერთი აქტიური წევრის არმაზ ახვლედიანის დანიშვნის თაობაზე, სახელმწიფო კანცელარიასა და აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

ასეთივე პოზიცია უკავია თავად არმაზ ახვლედიანს, რომელიც კონკრეტულ პასუხს თავს არიდებს, თუმცა მაინც მიანიშნებს, რომ მისი კანდიდატურა, როგორც იტყვიან, "განხილვის სტადიაშია".

24 საათი

რეგიონი

დავით მუმლაძე შაშიაშვილის ეპოქას ებრძვის

სოფო ბუკია

"ხომ არის ოჯახები, სადაც ცოლ-ქმარი სულ ჩხუბობს, მაგრამ ერთმანეთს არ ეყრება, რადგან წლების განმავლობაში ერთმანეთს შეეჩვივნენ. ასეა იმერეთშიც. მიუხედავად იმისა, რომ შაშიაშვილი არაფერს აკეთებდა და მისი ავტორიტეტი ნული იყო, საზოგადოების ერთი ნაწილი მართვის მის სტილს შეეჩვია, ამიტომაც გამოდიოდნენ ჩემს წინააღმდეგ," - ასე ხსნის იმერეთის ახალი გუბერნატორი საკუთარი პერსონის გარშემო რამდენიმე კვირის წინ ატეხილ მღელვარებას.

დავით მუმლაძე იმერეთის პრობლემებზე საუბრისას დღესაც ძალიან ხშირად ახსენებს საკუთარ წინამორბედს თემურ შაშიაშვილს და აცხადებს, რომ შაშიაშვილის მმართველობიდან გათავისუფლებულ იმერეთს ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდება სარეაბილიტაციოდ.

"ინფრასტრუქტურა იმერეთში მთლიანად მოშლილია. წინა ხელისუფლებამ ხალხს ფული ნგრევაზე აშოვნინა. ქუთაისში არც ერთი ქარხანა არ ფუნქციონირებს. ავტოქარხანა, ელექტრომექანიკური ქარხანა, სატრაქტორო ქარხანა - ყველაფერი დუმს.

ელემენტარულად, ოფისებსაც, მაღაზიებსაც, ბენზოგასამართ სადგურებსაც მთლიანად კრიმინალები აკონტროლებდნენ. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა," - გვარწმუნებს მუმლაძე. მისი თქმით, მთავარი აქცენტი იმერეთის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე უნდა გაკეთდეს. იმერეთის რწმუნებული გაზეთ "24 საათის" სტუმარია და რეგიონში არსებულ კონკრეტულ პრობლემებზე საუბრობს:

გზა

ვერ ნახავთ რაიონს, სადაც გზის საფარის შეკეთების სამუშაოები არ მიმდინარეობდეს. გზა კეთდება ყველა რაიონში: ჭიათურიდან ზესტაფონში, ხარაგაული-ზესტაფონის მონაკვეთზე, ხონი-ქუთაისის, ზესტაფონი-ბაღდათის, ბაღდათი-საირმის მონაკვეთებზე.

შუქი

იმერეთი ძალიან კონსტრუქციულად თანამშრომლობს გაერთიანებულ ენერგოკომპანიასთან. დღეს უკვე სერიოზულად ვემზადებით ზამთრისთვის. დაწყებულია გამრიცხველიანება. სექტემბრის ბოლოსთვის ჩვენ გვექნება სერიოზული გრაფიკი, თუ რა ვადაში, რა გრაფიკით ექნება შუქი იმერეთის მოსახლეობას.

ათი წლის მანძილზე ქუთაისს წყალი არ მიეწოდებოდა. დღეს ყოველ მეორე დღეს არის წყალი. ჩვენ ამ მიმართულებითაც სერიოზულად ვმუშაობთ.

გაზი

იმერეთში გაზიფიკაციის ძალიან ძველი სისტემა მოქმედებს, არ არის მრიცხველები, შესაბამისად, ძალიან დიდია დანაკარგები. უახლოეს მომავალში დაფინანსდება ქუთაისის გამრიცხველიანება, შემდეგ სხვა რაიონებსაც მივხედავთ. აღურიცხაობა შავი ფულის შოვნის მთავარი წყარო იყო.

დავალიანებები

ორიოდე დღის წინ ქუთაისში ფინანსთა მინისტრი იყო ჩამოსული. იგი საგადასახადო სამსახურის, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებსა და გამგებლებს შეხვდა. მთავარი, რაზეც შემოსული ფული უნდა დაიხარჯოს, დავალიანებების გასტუმრებაა. პირველ რიგში, სახელფასო დავალიანებებს უნდა მივხედოთ. ქუთაისელ მასწავლებლებს დეკემბრის თვის დავალიანება უკვე მივეცით. გავისტუმრეთ დავალიანებები ზესტაფონში. სამტრედიაში ძალიან კარგად გვაქვს საქმე - დავალიანება აღარ გვაქვს და მილიონი ლარი უკვე ზედმეტი ფულია, რაც ამ ქალაქის ინფრასტრუქტურას, საინვესტიციო კლიმატს უნდა მოხმარდეს.

ქუთაისი

ქუთაისი საქართველოს მეორე ქალაქია, მეორე დედაქალაქი. ქალაქს ხომ უნდა ჰქონდეს თავისი მახასიათებლები? ჩადით ქუთაისში და ნახეთ - არა კინოთეატრი, არა სასტუმრო, არა საცურაო აუზი, არა წიგნის მაღაზია, აეროპორტი სავალალო დღეშია - ქალაქის მახასიათებელი ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილია. 1914 წელს, ვასილ ამაშუკელის პერიოდში, ქუთაისში სამი კინოთეატრი იყო. საშინელ დღეშია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი. წლების განმავლობაში მუზეუმის კედლებზე ხეები ამოდიოდა, აბრაც კი არ იყო დაკიდებული, რომელიც ამ შენობის დანიშნულებას გვამცნობდა. თითქოს, მცირე პრობლემებია, მაგრამ ჩვენ სწორედ ამ პატარა პრობლემების მოგვარებით უნდა დავიწყოთ.

ლაშა ბუღაძესთან ერთობლივი პროექტი გვაქვს დაგეგმილი, მალე ქუთაისში ლიტერატურული კაფე გაიხსნება.

დანგრევის პირას იყო მისული ისტორიული თეთრი ხიდი. ხომ გახსოვთ... ამპრედუზო-მედუზო, პიკასოს ბიჭი და მთელი ეს ამბები... ეს ხიდი ინგრეოდა, მასალა სრულიად დალპა, არადა, მეცხრამეტე საუკუნის ხიდია. ჩვენ იგი 140 ლარად გადავარჩინეთ, 140 ლარად გადავარჩინეთ რამდენიმე მილიონის ღირებულების ხიდი. რა ვქენით? საყვავილეებით გადავკეტეთ, შევღებეთ, ასფალტი გავალამაზეთ. ახლა იქ სურათების გამოფენაა, საღამოობით კონცერტები იმართება, ახალგაზრდები იკრიბებიან, შეყვარებულთა საყვარელი ადგილი გახდა.

შაშიაშვილის ხელში ქუთაისმა დაკარგა თავის პეწი. ქურდული მენტალიტეტი ქუთაისში არასდროს ყოფილა, ამის ილუზია შაშიაშვილის ხელისუფლებამ შექმნა. დღეს კრიმინალები არიან იქ, სადაც უნდა იყვნენ. მათი ადგილი ციხეშია.

ინსტიტუციონალური რეფორმა

კორუფციასთან ბრძოლა კვლავ ჩვენს პრიორიტეტად რჩება. ქუთაისის მერიასა და საკრებულოში 423 თანამშრომელი იყო. წარმოიდგინეთ, მერიას ჰყავდა საკრებულოსთან ურთიერთობის სამსახური და საკრებულოსაც ჰყავდა მერიასთან ურთიერთობის სამსახური, რომელშიც რამდენიმე ადამიანი იყო დასაქმებული და 20-დან 25 ლარამდე ხელფასს იღებდა. ეს ადამიანები თავს იმით ირჩენდნენ, რომ მერიასა თუ საკრებულოში სხვადასხვა საკითხზე მოსულ მოქალაქეებს წვრილმანი დახმარებისთვის ქრთამს ართმევდნენ. ეს მარტო ამ ადამიანების დანაშაული არ იყო, მათ ასეთ სისტემაში უწევდათ მუშაობა. პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ - ყველა თანამშრომელი დავითხოვეთ, გამოვაცხადეთ კონკურსი, გავანახევრეთ შტატი, ამიერიდან ამ სისტემაში 200 ადამიანი იმუშავებს და საშუალო ხელფასი 150 ლარი იქნება. კონკურსის პირველი ტური უკვე ჩატარდა. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მოვიდეს. ცხადია, გამოცდილი ძველი თაობაც გვჭირდება. საგადასახადო სამსახურის უფროსად ერთი ახალგაზრდა ბიჭი დათო ჯავახაძე დავნიშნე, რომელიც ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და იქიდან პირდაპირ, თბილისის გაუვლელად, კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩააბარა და ისიც წარჩინებით დაამთავრა. ეს ახალგაზრდა საგადასახადოს უფროსად დავნიშნე და შემოსავლებმა 800 ათასი ლარიდან უკვე ორ მილიონ ლარს მიაღწია. რატომ? იმიტომ, რომ არ იპარავს.

იმერეთში აქტიურად ხორციელდება გაერო-ს განვითარების პროექტი, რაც იმერეთის ინსტიტუციონალურად განვითარებას ისახავს მიზნად. ამ პროექტის ფარგლებში სამხარეო სამსახურებისა და სამხარეო ადმინისტრაციის რგოლების კომპიუტერიზაცია მოხდა და აგვისტოსთვის იმერეთის თორმეტივე რაიონში კომპიუტერული სისტემები იმოქმედებს.

მთავარი პრიორიტეტი - მცირე ბიზნესის განვითარება

არა გვაქვს იმის ილუზია, რომ დიდი ქარხნები, რომლებიც დღეს ჯართად არის გაყიდული, ამოქმედდება. ამიტომ ჩვენი მთავარი პრიორიტეტი დღესდღეობით მცირე ბიზნესის განვითარებაა. მე ყველანაირად ვცდილობ, რომ თითოეულ ადამიანს, რომელსაც რაიმე საქმის წამოწყება უნდა, ხელი შევუწყო. ცხადია, ზოგჯერ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა გვიწევს, მაგრამ ვცდილობთ, ესეც უმტკივნეულოდ მოვაგვაროთ. ერთ მაგალითს გეტყვით: ქუთაისში ერთ-ერთ ულამაზეს სკვერში ყვავილების ბაზრობა იყო. ადამიანები უმძიმეს პირობებში ვაჭრობდნენ. ჩვენ ამ ადამიანებს ვესაუბრეთ და ეს პრობლემა უმტკივნეულოდ გადავწყვიტეთ. ჩვენ მათ ალტერნატიული პირობები შევთავაზეთ. ქუთაისელმა გამომგონებელმა დვალიშვილმა გამოიგონა ყვავილის გასაყიდი გადასატანი ურიკები, ჩვენ ყვავილებით მოვაჭრეებს სწორედ ეს შევთავაზეთ. პრობლემა უმტკივნეულოდ გადაწყდა - უსახური ჯიხურები ავიღეთ, მოვაჭრეების ინტერესებიც გავითვალისწინეთ.

იგივე მწვანილის ბიზნესი, რომელიც, რატომღაც, სახუმარო თემად აქციეს, არადა ამ ბიზნესით იმერეთში კრიმინალები მილიონობით ლარს შოულობდნენ. ეს ბიზნესი ჩვენ მთლიანად გავათავისუფლეთ კრიმინალებისაგან. საქონელბრუნვამ უკვე 11 მილიონი ლარი შეადგინა. ჩვენ მნიშვნელოვან შემოსავლებს მოველით ამ სფეროში დაწესებული გადასახადებისგან.

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ შაშიაშვილი არაფერს აკეთებდა და იგი არავის მოსწონდა, მისი მართვის სტილს ბევრი შეეჩვია, შეეგუა. დღეს მთლიანად შეიცვალა ცხოვრების მათთვის ჩვეული სტილი. ეს ბევრისთვის მტკივნეული აღმოჩნდა. კრიმინალების ინტერესების რღვევა, სახელმწიფო სამსახურიდან გათავისუფლებული 400 ადამიანი... ეს ცოტა არ არის, 400 ოჯახია... ეს პროცესი პირადად ჩემთვისაც მტკივნეულია, მაგრამ სხვაგვარად რეგიონს ფეხზე ვერ დავაყენებთ. ამ ადამიანებმა (რა თქმა უნდა, კრიმინალებს არ ვგულისხმობ), უბრალოდ, პროტესტი გამოთქვეს ახლის მიმართ. კრიმინალები პირდაპირ მემუქრებოდნენ, ჩემს მოსყიდვასაც ცდილობდნენ. მაგალითად, სილიკომანგანუმის ბიზნესთან დაკავშირებით, კრიმინალებმა, გაჩუმების სანაცვლოდ, ასი ათასი დოლარი შემომთავაზეს, თუ არადა, ფიზიკურად გამისწორდებოდნენ ვიღაც სვანების ბრიგადით. სხვათა შორის, კაბინეტში ჩემი სვანი მეგობრების მიერ ნაჩუქარი სკამი მიდგას, რომელზეც დიდი სიამოვნებით ვზივარ ხოლმე და სვანებისთვის ჩვეულ სითბოსა და თანადგომას ვგრძნობ...

IFC International Finance Corporation Member of the World Bank Group

სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი
01 79, თბილისი, სჩხენკელი, ზურაბიშვილის ქუჩა 6
ტელ./ფაქსი (995 32) 92 25 51 www.eprc.ge

საბიუჯეტო მონიტორინგი

საბიუჯეტო ციფრებით მანიპულირება გრძელდება

ჩვენი საბიუჯეტო მონიტორინგი ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემებს (მასში განხილულია 2004 წლის 6 თვის მაჩვენებელი). მონაცემები ცხადყოფს, რომ პრობლემებია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე მისი შესრულების მხრივ, რაც, პირველ რიგში, უმწეო და სოციალურად დაუცველ პირებზე აისახება.

შემოსავლები

2004 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემებით, შესრულებულია 113 პროცენტით, ანუ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 636.47 მლნ ლარისა, ამოღებულია 721.17 მლნ ლარი. მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები შესრულებულია 117 პროცენტით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საგადასახადო შემოსავლები შესრულებულია 104 პროცენტით, ხოლო საგზაო ფონდი 114 - პროცენტით.

რაც შეეხება დეფიციტის დაფინანსების წყაროებს - 95.12 მლნ გამოყენებულია სახაზინო ვალდებულებებისათვის, 19.52 მლნ-ის და საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციური კრედიტებია 57.52 მლნ ლარი.

საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების მუშაობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საგადასახადო დეპარტამენტმა შეძლო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 6 თვის გათვალისწინებული პარამეტრის შესრულება 5-პროცენტიანი გადაჭარბებით, ხოლო საბაჟო დეპარტამენტმა იგივე პარამეტრის შესრულება - 6-პროცენტიანი გადაჭარბებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლები, ნაცვლად 66.33 მლნ ლარისა, მობილიზებულია 119.47 მლნ ლარით, ანუ 80 პროცენტით მეტით, ვიდრე დაგეგმილი იყო. აღსანიშნავია, რომ გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, ბიუჯეტის შემოსავლები გაზრდილია 278 მლნ ლარით.

ასეთია ციფრები. ამ ფონზე აღსანიშნავია ერთი ფაქტი - ფინანსთა სამინისტროს მიერ აღებული 6 თვის პროგნოზი 636.47 მლნ ლარი წარმოადგენს "საქართველოს 2004 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 1424.5 მლნ ლარის 44,7 პროცენტს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს "საბიუჯეტო სისტემების შესახებ", რომლის თანახმადაც სახელმწიფო ბიუჯეტის წლის პირველი ნახევარი უნდა დაიგეგმოს მთლიანი შემოსავლების არანაკლებ 48 პროცენტისა. ამ შემთხვევაში გეგმა უნდა ყოფილიყო, მინიმუმ, 683.8 მლნ ლარი, ხოლო ფაქტიური შესრულება კი 721.17 მლნ ლარი გამოდის. ანუ, **ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის "გადაჭარბებით" შესრულების მაჩვენებელი ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 13** პროცენტის **ნაცვლად არის მხოლოდ 5** პროცენტი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ **საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლების გეგმა 171.8 მლნ ლარი არ არის შესრულებული და მობილიზებულია მხოლოდ 168.5 მლნ ლარი**. სხვაობა 3.3 მლნ ლარი დაფინანსებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერით, რომელიც ნაცვლად 26.6 მლნ ლარისა, არის 31 მლნ ლარი.

რაც შეეხება ერთიან სახელმწიფო საგზაო ფონდს, საგადასახადო შემოსავლები შესრულებულია 13-პროცენტიანი გადაჭარბებით, ხოლო **არასაგადასახადო შემოსავლებში გარღვევაა 21** პროცენტით.

მიუხედავად ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის დადებითი ტენდენციებისა, აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ფაქტი: **2004 წლის 29 ივნისის (12.14მლნ ლარი) და 30 ივნისის (14.22 მლნ ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებელი წარმოადგენს მთელი ივნისის თვის შემოსავლის 135.7 მლნ ლარის 19** პროცენტს **და ძალიან ჰგავს წინა წლების ბიუჯეტის ბოლო დღეებში შესრულების კარგად ნაცნობ მავნე პრაქტიკას.**

ხარჯები

2004 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების ხარვეზებმა უარყოფითი გავლენა იქონია ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზეც. სანამ დეტალურ ანალიზზე გადავალთ, აღსანიშნავია, რომ სახაზინო სამსახურის ერთ-ერთ ფორმაში, სადაც მოცემულია კონსოლიდირებული ხარჯები, **გაჩნდა სვეტი სახელწოდებით "ვალდებულება", რომელიც სხვა არაფერია, თუ არა იმ მახინჯი ტრადიციების დაკანონება, როდესაც ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა მიუხედავად, ადგენდა საკუთარ გეგმას, რომელიც მორგებული იყო ფაქტიურ შემოსავლებთან.** მაგალითისათვის, სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 6 თვის პარამეტრით დაგეგმილია 882.13 მლნ ლარით, ხოლო ვალდებულებები 509.6 მლნ ლარით, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრის 58 პროცენტს და იწვევს შემდეგი სახის გაუგებრობებს: **ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, შესრულება "ვალდებულების" მიმართ გადაჭარბებულია 8** პროცენტით, **ხოლო გეგმის მიმართ გარღვევაა 16** პროცენტით. **აღსანიშნავია, რომ 6 თვის შესრულებაში 16** პროცენტი **წარმოადგენს ერთ თვეს, ანუ გეგმის მიმართ ხარჯებში ჩავარდნა გვაქვს ერთი თვე.**

მოვიყვანთ ზოგიერთ გაწეულ ხარჯს: მუშა-მომსამსახურეთა შრომის ანაზღაურება შესრულებულია 88 პროცენტით, კვების ხარჯები შესრულებულია 75 პროცენტით ანუ გარღვევაა 25 პროცენტი , რაც ერთი თვეზე მეტი დავალიანებაა. და თუ გავითვალისწინებთ, რომ კვების ხარჯები პენიტენციალური და ძალოვანი სტრუქტურებისთვისაა გათვალისწინებული, ალბათ, ამაზე კომენტარიც კი ზედმეტია.

ასევე სოლიდური გარღვევაა სუბსიდიებსა და მიმდინარე ტრანსფერებში - 35 პროცენტი. ასევე ტრადიციულად გარღვევაა კაპიტალურ ხარჯებში, რაც გეგმის 26 პროცენტს წარმოადგენს. **სულ ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯებში გარღვევაა 19** პროცენტი, **ხოლო ერთიანი საგზაო ფონდის ხარჯებში გარღვევაა 27** პროცენტი. მათ შორის, გზების მოვლა-შენახვის ხარჯებში გარღვევაა 35 პროცენტი, ხოლო უცხოური კრედიტებით შესასრულებელი სამუშაოების თანადაფინანსება დაფინანსებულია მხოლოდ 30 პროცენტით.

რაც შეეხება ერთიანი სოციალური დაზღვევის ფონდის 2004 წლის ხარჯებს - ამ ხარჯებში გარღვევაა 10 პროცენტი. მათ შორის, უმწეოთა სოციალური ოჯახების დახმარება დაფინანსებულია 64 პროცენტით, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსებულია 88 პროცენტით, წინა პერიოდის დავალიანების დაფარვაში გარღვევაა 13 პროცენტი, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის პროგრამა დაფინანსებულია 71 პროცენტით, უმუშევრობის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა - 61 პროცენტით. ეს რამდენიმე მაგალითიც ცხადყოფს, რომ **პრობლემებია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე მისი შესრულების მხრივ, რაც, როგორც უკვე ვთქვით, პირველ რიგში აისახება უმწეო და სოციალურად დაუცველ პირებზე, თუმცა, არა მხოლოდ მათზე.**

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

ხარჯები	ბიუჯეტი	ცვლილება		სულ ხარჯი	წინა თვის ხარჯი	შესრულება ბიუჯეტის მიმართ %	შესრულება ცვლილების მიმართ %	შესრულება ვალდებულების მიმართ %
		სტანდარტული	ცვლილ.					
შეკმ-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	84,697.8	77,373.3	77,389.6	0.0	74,583.4	3,327.2	88%	96%	96%
დასქმარაგებლებზე ანარიცხები	14,326.1	12,317.4	12,386.0	0.0	11,638.3	798.6	81%	94%	95%
მივლინების	4,293.0	4,120.7	1,152.1	2,842.7	3,874.5	101.8	90%	94%	95%
სხვა სახარჯო და მომსახურება	111,860.5	99,601.3	61,780.6	35,013.1	92,126.8	3,768.8	83%	92%	95%
საქონელი									
ოფისი		5,435.4	4,808.3	1,118.7	5,626.4	96.1		97%	97%
კომუნალური		15,301.7	14,790.7	256.4	13,915.1	778.1		91%	93%
ელის ხარჯები	6,345.8	7,450.3	6,841.8	33.4	6,250.0	76.1	75%	84%	91%
მივლინების		240.4	168.0	17.9	207.8	1.0		87%	86%
ინფორმაცია და ცნობები		1,991.8	1,943.8	870.8	1,913.5	178.1		96%	100%
ტრანსპორტის და ტექნიკის შენახვა		14,665.1	7,974.9	6,440.6	13,743.6	289.8		95%	99%
სხვადასხვა მომსახურების მიმღებლები		4,775.7	2,599.8	2,129.5	4,716.1	3.7		99%	100%
სხვა ხარჯები		49,882.9	23,842.4	34,145.8	45,557.3	2,379.9		83%	95%
პრიორიტეტის გადახდა	82,443.8	76,212.5	63,330.4	0.0	77,021.1	1,097.6	93%	101%	122%
სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები	255,136.8	174,871.2	136,391.8	37,384.3	165,573.2	20,635.5	65%	95%	99%
კაპიტალური ხარჯები	13,260.9	13,264.9	2,902.7	7,526.4	9,652.1	499.8	74%	96%	98%
ფინანსების დაფარვის ვალდებულებები	114,813.7	94,834.7	94,834.7	0.0	114,175.1	0.0	99%	208%	208%
სულ ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები *	686,863.7	559,804.9	409,583.9	82,660.5	568,844.6	30,253.3	81%	108%	111%
საერთაშორისო ფინანსების ფონდი **	0.0				168,873.0	2,843.4			
საგზაო ფონდი	0.0				28,434.1	368.8			
სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები	686,863.7	559,804.9	409,583.9	82,660.5	736,151.7	15,215.7	108%		

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2004 წლის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი

ათას ლარებში

N	მაჩვენებლები	1-ლი თვის გეგმა	ფაქტიური შესრულება	გადახრა	%
1	2	3	4	5	6
1	ნაშთი	0.0	5 396.9	5 396.9	
2	იურიდიული პირების (დამქირავებლის) და მოქალაქეთა გადასახადი	167 913.9	164 296.9	-3 617.0	98%
3	ტრანსფერი საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან	26 600.0	30 977.0	4 377.0	116%
4	ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან გადმოცემული თანხები	3 835.0	4 152.1	317.1	108%
5	წინა წლებში გაცემული პენსიის მიმართვა	0.0	2.4	2.4	
6	გაურკვეველი შემოსავალი	0.0	1.0	1.0	
	სულ შემოსავალი	198 348.9	204 826.3	-6 477.4	103%
1	პენსიონერთა პენსიები	144 833.0	135 213.3	9 619.7	93%
2	დახმარებები დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებით	1 775.0	1 762.3	12.7	99%
3	უმწეოთა სოციალური (ოჯახების) დახმარება - სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯები	9 890.0	6 326.7	3 563.3	64%
4	9 ასრიგის დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარება	22.2	22.2	0.0	100%
5	პენსიებისა და დახმარებების გაცემის მომსახურების ხარჯები	2 854.3	2 072.5	781.8	73%
6	მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა	7 125.0	6 900.0	225.0	97%
7	მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა	25 535.0	22 816.0	2 719.0	89%
8	მოსახლეობის სპეციალური მედიკამენტით უზრუნველყოფის პროგრამა	6 707.0	5 904.2	802.8	88%
9	წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა	7 500.0	6 554.5	945.5	87%
10	შშმს სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა	2 387.5	1 685.1	702.4	71%
11	უმუშევრობის სოც. დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა	902.0	551.2	350.8	61%
12	საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	4 700.0	3 592.9	1 107.1	76%
13	დასაქმების სახ. სამსახურის საორგანიზაციო-ადმ. ხარჯები	460.0	382.0	78.0	83%
	სულ ხარჯები	214 691.0	193 782.9	20 908.1	90%

* აღნიშნული ანგარიშგება შეგვიძლია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე 11043.4

** აღნიშნულ მონაცემებში შემოსავლების და ხარჯების ნაწილში ხარისხი ის არის აქედან ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც წარმოდგენილი არ შეგვია 6 0671 ათას ლარი.

ახალი საგადასახადო კოდექსი ნავთობპროდუქტებს გააძვირებს

მომავალი წლის პირველი იანვრიდან საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასები 15-20 პროცენტით, ანუ 25-30 თეთრით გაიზრდება - ასეთ პროგნოზს აკეთებენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ასოციაციის წარმომადგენლები და კვლავ ახალ საგადასახადო კოდექსში მოსალოდნელ ცვლილებებს აპროტესტებენ.

ხატია მეკოკიშვილი

ასოციაციის წარმომადგენელთა არგუმენტები შემდეგ ციფრებს ემყარება: **"ახალი საგადასახადო კოდექსის პირობებში, როცა უქმდება ეკოლოგიის საგზაო გადასახადი, დღგ კი 20-დან 18 პროცენტამდე მცირდება, 1 ტონა ბენზინზე გადასახადები, დაახლოებით, 60 ლარით უნდა შემცირდეს, თუმცა, თუ მთავრობა აქციზის გადასახადს 350 ლარამდე გაზრდის, ახალი კოდექსის პირობებში 1 ლიტრი ბენზინი 9 თეთრით გაძვირდება,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა. მისივე თქმით, დიზელზე აქციზის 200 ლარამდე გაზრდის შემთხვევაში დიზელი, დაახლოებით, 5 თეთრით გაძვირდება.

თუმცა, გარდა დაბეგვრის მოსალოდნელი რეჟიმისა, ნავთობპროდუქტების ფასის ზრდის საფრთხეს სხვა წინაპირობებიც ქმნის - საუბარია იმაზე, რომ უკვე 2005 წლის 1 იანვრიდან ბენზინზე მოქმედებაში შედის ახალი სტანდარტი, რომლის შესაბამისად, აზერბაიჯანიდან შემოტანილი ბენზინი უკვე სტანდარტთან შეუსაბამო იქნება და იმპორტიორებს სხვა ქვეყნიდან მოუწევთ საწვავის შემოტანა. **"1 იანვრიდან აზერბაიჯანიდან საწვავის იმპორტი აიკრძალება და ის მთლიანად ევროპიდან შემოვა. აზერბაიჯანიდან შემოტანილი საწვავი ამჟამად, საერთაშორისო ფასებთან შედარებით, 14 პროცენტით იაფია. აქედან გამომდინარე, ევროპიდან შემოტანილი საწვავი, სავარაუდოდ, 15-20 პროცენტის ფარგლებში გაიზრდება. შესაბამისად, გაზრდილი აქციზის პირობებში საწვავის ფასი 25-30 თეთრით მოიმატებს,"** - განაცხადა გუშინ მთვრალაშვილმა.

ცხადია, კავშირის წარმომადგენლები საუბრობენ იმაზეც, რომ ნავთობპროდუქტების ფასის გაზრდა მთლიანად ცხოვრების გაძვირებას გამოიწვევს, რაც ისედაც გაზრდილი ფასების პირობებში ქვეყანას, შესაძლოა, მძიმედ შემოუტრიალდეს.

"ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი" აპირებს, თავისი გაანგარიშებები საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს წარუდგინოს. კავშირი ასევე გეგმავს კონფერენციის გამართვას, რომელზეც ნავთობპროდუქტების შესაძლო გაძვირებასთან დაკავშირებულ საკითხებს ექსპერტებთან და სპეციალისტებთან ერთად განიხილავს.

ორი სიტყვით

ყვარელი. ყვარლის რაიონი, უკვე მეოთხე დღეა, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. როგორც ცნობილი გახდა, რაიონს ადგილობრივი ჰესი ამარაგებდა, რომელიც პროფილაქტიკური რემონტის გამო ამჟამად გაჩერებულია. კახეთის ენერგოკომპანიიდან რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება 2 თვის წინ შეუწყდა, როცა მაღალი ძაბვის ანძა ადიდებულმა ალაზანმა წაალცია. ენერგოკომპანიაში მოსახლეობას ჰპირდებიან, რომ ხაზის შესაკეთებელ სამუშაოებს ორ დღეში დაასრულებენ და ელექტროენერგიის მიწოდებას განაახლებენ. **მედია-ნიუსი**

სიღნაღი. სიღნაღის რაიონში წელს ხორბლის მოსავლიანობა ძალიან დაბალია. სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის საკრებულოს ცნობით, ზოგიერთ ნაკვეთზე ჰექტარიდან 400 კილოგრამ ხორბალს იღებენ, მაშინ, როცა საშუალო მაჩვენებელი 1,5-2 ტონას შეადგენს. ფერმერები აცხადებენ, რომ მცირე მოსავალი გვალვიანი ზამთრით და წვიმიანი გაზაფხულით არის განპირობებული. ამასთან, 30 პროცენტით გაძვირდა დიზელის საწვავი. **მედია-ნიუსი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

8 ივლისს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ჭავჭავაძის გამზირის (ნაწილობრივ), მოსაშვილის, ტიციან ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, მუხაძის, ფალიაშვილის ქუჩების, დარიალის შესახვევის მაცხოვრებლებს.

9 ივლისს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
დაბა წყნეთის მაცხოვრებლებს.
9 ძმის, აბაშის, აფხაზეთის, აგარის, ასხინის, აჭარის, ლაილაშის, ლანჩხუთის, ლებარდეს, ქვალონის, სალხინოს, სამურზაყანოს, სენაკის, თეკლათის, ხონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

9 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
თემქა; III მიკრორაიონის III და V კვარტლების მაცხოვრებლებს.

"თბილუნივერსალბანკი" - მცირე და საშუალო ბიზნესის კიდევ ერთი პარტნიორი

ნინო ნარჩემაშვილი

განვითარებაზე ორიენტირებული ნებისმიერი კომპანია თუ ბიზნესი გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად საჭიროებს დამატებით ფინანსებს. საქართველოში ასეთი მექანიზმი, გნებავთ კულტურა, არ არსებობდა. დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი მიართავს საბანკო მომსახურებას, თუნდაც საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ის ბანკები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის პრიორიტეტად ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მიიჩნევენ.

"ჩვენ ვქმნით საუკეთესო პარტნიორ ბანკს განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის და ამით სტაბილურად ვზრდით ბანკის ღირებულებას"- ძირითადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს "თბილუნივერსალბანკის" მოქმედებისა და მუშაობის პრინციპი - აღნიშნავენ ბანკში. "თბილუნივერსალბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ვასილ ძოწენიძის თქმით, ბანკის მომსახურება პირველ რიგში ორიენტირებულია სერვისის მაღალ ხარისხზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული კლიენტისადმი ბანკს ინდივიდუალური მიდგომა აქვს, რომელიც პარტნიორულ გრძელვადიან ურთიერთობებზეა დამყარებული. **"ჩვენ ჩვენს კლიენტებს განვიხილავთ როგორც გრძელვადიან პარტნიორებს, ამიტომ ნებისმიერი შეთავაზება ან ნებისმიერი საჭიროება, რომელიც კლიენტს გააჩნია, მათივე სტრატეგიიდან გამომდინარე და მასთან შესაბამისობაში გარკვეული ანალიზის საფუძველზე ხორციელდება. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ფაქტორს, თუ რამდენად ფიქრობენ ჩვენი კლიენტები თავიანთი კომპანიების განვითარებაზე, მენეჯმენტის დახვეწაზე, სათანადო ხარისხის ფინანსური მართვის წარმოებაზე, ბაზართან ურთიერთობის განვითარებაზე და მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენი შესაძლებლობები შესაბამისობაში მოვიყვანოთ მათ მოთხოვნებთან. ასე რომ ვცდილობთ გამოვიდეთ კარგი კონსულტანტებიც",** - ამბობს "თბილუნივერსალბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბანკში მუშაობს ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების დეპარტამენტი, რომლის ფუნქციასაც სწორედ კლიენტთა მოთხოვნების მუდმივი მონიტორინგი და მასზე დაფუძნებული მომსახურებისა და გაყიდვების ახალი სისტემის აგება, ახალი პროდუქტების დანერგვა და განვითარება, ადგილობრივი თუ საერთაშორისო პარტნიორების გამოვლენა და მათთან თანამშრომლობა წარმოადგენს. რაც, საერთო ჯამში, "თბილუნივერსალბანკს", მისი ქართველი და უცხოელი პარტნიორების შეფასებით, სოლიდური და საიმედო პარტნიორის რეპუტაციას უქმნის.

რაც შეეხება მომსახურების სფეროს, საბანკო სისტემაში საყოველთაოდ დანერგილი ეგრეთ წოდებული საბანკო პროდუქტების გარდა "თბილუნივერსალბანკს" საქართველოში პირველი სალიზინგო კომპანია "საქართველოს სალიზინგო კომპანიაც" გააჩნია (დღეისათვის საქართველოში ასეთი პროფილის მხოლოდ ორი კომპანია მუშაობს). თუმცა, როგორც ვასილ ძოწენიძე აღნიშნავს, **"ბანკი მის კლიენტებს პირველ რიგში საიმედოობას და ერთგულებას სთავაზობს. ცდილობს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მათ საქმიანობას".** მიმდინარე წლის ბოლომდე ბანკი მის მიერ შემოთავაზებული მომსახურების (გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები, პლასტიკური ბარათები (2003 წელს "თბილუნივერსალბანკი" VISA International-ის წევრი გახდა), ტექნოლოგიის პროდუქტები, დისტანციური მომსახურება და სხვა) და ფილიალების ქსელის გაფართოებას გეგმავს. კერძოდ, ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაციით, უახლოესი ორი თვის განმავლობაში დაინერგება ინტერნეტ-ბენქინგი (მომსახურება ინტერნეტის საშუალებით) და პროგრამა "ბანკი-კლიენტი, რომლებიც თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფაზე იქნება დაფუძნებული, რაც მოსახლეობისათვის მისი მიწოდების მაღალ ხარისხსა და მოხერხებულ სერვისს უზრუნველყოფს.

სხვა საკითხია რით და როგორ ფიქრობს "თბილუნივერსალბანკის" ხელმძღვანელობა კონკურენცია გასწიოს ქართულ საბანკო ბაზარზე. ვასილ ძოწენიძე აღნიშნავს, რომ **"ნებისმიერი კომპანია კონკურენტუნარიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, თუ კარგად იცი, ვინ და რატომ არის მისი მომხმარებელი, რა სარგებელს ქმნიან ისინი ერთმანეთისათვის. ამ მხრივ "თბილუნივერსალბანკს" განსხვავებული, კომპანიის ადამიანური რესურსების პროფესიონალიზმსა და საქმისადმი ერთგულებაზე დამყარებული სტრატეგია გააჩნია. რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის ურთიერთობები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), რომლისგანაც "თბილუნივერსალბანკს" სამი საკრედიტო ხაზი აქვს ათვისებული (1 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად, 0,5 მილიონი დოლარი - საერთაშორისო-სავაჭრო ოპერაციების მხარდასაჭერად, კაპიტალში ინვესტირებული 1,5 მილიონი დოლარი. 2004 წლის მაისიდან კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი "თბილუნივერსალბანკის" აქციათა 20 პროცენტს ყიდულობს და მისი აქციონერი ხდება). მსოფლიო ბანკის პროგრამის ფარგლებში "თბილუნივერსალბანკში" 1 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი გაიხსნა. ბანკს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC), რომლის წარმომადგენლებიც საკრედიტო ხაზის გამოყოფის დეტალების განსახილველად თბილისში ივლისში ჩამოვლენ. აღსანიშნავია აგრეთვე ურთიერთობები OPIC-თან (საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაცია), რომელიც ასევე უახლოესი ორი თვის განმავლობაში მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზის გამოყოფას გეგმავს".**

საინტერესო ფაქტორი მოსახლეობისთვის - "თბილუნივერსალბანკი" 2000 წლიდან მონაწილეობს მიკროდაფინანსების პროგრამაში და ამ პერიოდში ბანკის დახმარებით ენთუზიაზმზე დამყარებული არაერთი წამოწყება იქცა წარმატებულ ბიზნესად. ამ სფეროში "თბილუნივერსალბანკთან" EBRD-ის კონსულტანტები თანამშრომლობენ. ბანკის ორი ფილიალი კი სპეციალურად ორიენტირებულია მიკროდაფინანსების პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ოპერაციებზე.

დაბოლოს, აქტივების აბსოლუტური მოცულობის მიხედვით "თბილუნივერსალბანკს" ქართულ საბანკო სექტორში არსებულ ბანკებს შორის მერვე ადგილი უკავია. ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თქმით "თბილუნივერსალბანკის" პოტენციალი წარმატებული ქართული ბანკების ხუთეულში მოხვედრის საშუალებას იძლევა. თუმცა, ვასილ ძოწენიძე თვლის, რომ **"რეიტინგზე მნიშვნელოვანია "თბილუნივერსალბანკი" საუკეთესო პარტნიორი იყოს მისი მიზნობრივი კლიენტებისათვის. ასე მუშაობს განვითარებული ქვეყნების ყველა წარმატებული კომპანია - მათი ღირებულებები არა ზომითა და მოცულობით, არამედ მუშაობის ხარისხითა და კაპიტალზე უკუგებით განისაზღვრება".**

ევროკავშირის მკაცრი სტანდარტები

ინტერვიუ ევროკავშირის გაფართოებისა და ახალი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის კომისართან იანეშ პოტოჩნიკთან.

ხათუნა გაბიევი

- ევროკავშირში ინტეგრაცია აქტუალური საკითხია და, ამდენად, სხვა ქვეყნების გამოცდილებას საქართველოსთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. რა შეგიძლიათ გვითხრათ ახალი წევრი-ქვეყნებისა და იმ საფეხურების შესახებ, რომელთა გავლაც მათ ევროკავშირში გასაწევრიანებლად მოუხდათ?

- ახალი წევრების მიღებას ევროკავშირისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს იყო ისტორიული მომენტი ჩვენთვის. თუმცა, სხვა კანდიდატი ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მხედველობაში მაქვს რუმინეთისა და ბულგარეთის საკითხი. ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან შეთანხმებას ხორვატიასთან დაკავშირებითაც, რომელზეც მოლაპარაკებები 2005 წლის დამდეგამდე გაგრძელდება. გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თურქეთთან დაკავშირებით. წლევანდელი განრიგის შესაბამისად, კომისია მოამზადებს თურქეთში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მოხსენებას, სადაც განხილული იქნება თურქეთის მხრიდან ინტეგრაციისთვის აუცილებელი გატარებული ღონისძიებების ნუსხა. წევრი-ქვეყნების მხრიდან რეკომენდაციები კი განხილული იქნება შეხვედრაზე, რომელიც ამავე წლის დეკემბერში შედგება. აქვე უნდა აღვნიშნო დასავლეთ ბალკანეთთან დაკავშირებული დღის წესრიგი და მათი ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივები. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ევროკავშირი ახალი საზღვრების დაწესებას არ აპირებს. სწორედ ამიტომ, შევიმუშავეთ ე.წ. "ახალი ევროპული სამეზობლო პოლიტიკა", რომელიც გაფართოების პროცესს არ გულისხმობს. თუმცა, აღნიშნული პოლიტიკა სხვა ქვეყნების ჩართვას არც გამორიცხავს და არც გულისხმობს, უბრალოდ, აქ საუბარია იმაზე, თუ როგორ გავაღრმაოთ ეკონომიკური ინტეგრაცია და თანამშრომლობა ევროკავშირსა და იმ ქვეყნებს შორის, რომელთა რიცხვში თქვენი ქვეყანა და მთლიანად სამხრეთ კავკასია იგულისხმება.

დასაწყისისთვის მნიშვნელოვანია გავიგოთ ის, რაც ქვეყნებს ევროკავშირთან აახლოებს - პირველ რიგში, საშინაო რეფორმების პროცესი, სტაბილურობა, დემოკრატიზაცია და ტრანზიცია. თანაც, ტრანზიცია მხოლოდ ეკონომიკური კუთხით კი არა, არამედ საზოგადოებრივი მენტალიტეტის დონეზეც. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ შეთანხმება, რომელსაც ევროკავშირმა მიაღწია, უბრალო შეთანხმების ფარგლებს სცილდება და უფრო მასშტაბურ სახეს იძენს. იგი უფრო დირექტივაა, რომელიც ქვეყნებს საკუთარი მიზნების მიღწევის გზისკენ მიუთითებს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორაა ქვეყანა მოწყობილი ინსტიტუციონალური თვალსაზრისით. და რაც უფრო უკეთ აქვს ქვეყანას ამ მხრივ საქმე, მით უფრო ადვილია კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა და იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება. საჭიროა არა უბრალოდ კონსენსუსი, არამედ საკმაოდ მაღალი ხარისხის პოლიტიკური კონსენსუსი. მაშინ, როცა საუბარია ევროკავშირის პოლიტიკური კონსენსუსის ხარისხზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაც გაკეთდა, აბსოლუტურად ღია, გამჭვირვალე გზით მოხდა. რა თქმა უნდა, ხელისუფლების გამჭვირვალობის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს არასამთავრობო სექტორის, მედიისა და ყველა იმ ინსტიტუტის ხარისხსაც, რომლებიც ქვეყნის ცხოვრებაზე დიდ ზეგავლენას ახდენენ.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად დაეხმარა ახალი წევრი-ქვეყნების ნაწილს ევროპასთან სიახლოვე საბჭოური მენტალიტეტის გადალახვაში?

- ვფიქრობ, რომ ქვეყნები, რომლებიც ახლახან გაწევრიანდნენ ევროკავშირში, ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგალითისთვის, თუ ერთ მხარესაა ბალტიის ქვეყნები, მეორე მხარეს შეიძლება განვიხილოთ კვიპროსი და მალტა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო იმ მენტალიტეტთან, რომელიც თქვენ ახსენეთ. უფრო შორს რომ არ წავიდე, იმ ქვეყანაზეც, საიდანაც მე ვარ წარმოშობით - სლოვენიაზე, არ შეიძლება ითქვას, რომ რაიმე საერთო აქვს ამასთან. რა თქმა უნდა, ახალი წევრი-ქვეყნებიდან არიან ისეთებიც, რომლებიც ადრე "რკინის ფარდის" მიღმა ცხოვრობდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამგვარი შერწყმა უფრო საინტერესოც კი გამოვიდა. ამდენად, განსხვავებული სამყაროების, თუ გნებავთ, მენტალიტეტის ხალხმა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ ყველანი ევროპის ნაწილი ვართ და მასვე ვეკუთვნით. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ისტორია არ არის ყოველთვის სამართლიანი და თანასწორი ყველას მიმართ, თუმცა აუცილებელი რეფორმების გზით დანაკარგის კომპენსირება მაინც შეიძლება, რაც ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს, ვიყოთ დემოკრატიულნი, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულნი, დასავლური ფასეულობების მქონენი. ჩვენ შეგვიძლია ერთობლივი საბაზისო ღირებულებების საფუძველზე ისეთ ქვეყნებად ჩამოვყალიბდეთ, როგორებიც გვინდა რომ ვიყოთ მომავალში. ამდენად, მე არ ვფიქრობ, რომ მენტალიტეტი, რომელიც თქვენ ახსენეთ, მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. რა თქმა უნდა, ისტორიაში იყო დრო, როცა იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, თუმცა დღეს ვითარება უკვე კარდინალურად განსხვავებულია, რადგან ასეთი წარსულის მქონე ქვეყნები ბრწყინვალედ ახერხებენ ევროპულ სივრცეში წარმატებით ინტეგრაციას. ის სტანდარტები, რომელთა შესრულებაც, თავისთავად, საკმაოდ რთულია, მათ გადალახეს და ევროკავშირის სტრუქტურების მოთხოვნების შესაბამისნი აღმოჩნდნენ. მათ ყველა აუცილებელი მოთხოვნა, პრაქტიკულად, შეასრულეს.

- ნატო-ს სამიტზე ერთ-ერთ თავის ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ნატო ევროკავშირში გაწევრიანებას მნიშვნელოვნად გააიოლებს. როგორ ფიქრობთ, როგორია ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანების შანსები და როდის შეიძლება, რომ ეს მოხდეს?

- უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ როგორც ნატო, ისე ევროკავშირი აბსოლუტურად განსხვავებული საერთაშორისო ორგანიზაციებია. ისინი განსხვავდებიან როგორც დღის წესრიგით, ასევე იდეით. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ასპარეზზე ორივე ძალიან დიდ როლს ასრულებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნატო არ შეიძლება ევროკავშირში გაწევრიანების გარანტიად განვიხილოთ. აქ გაცილებით მეტი მოთხოვნაა, რადგან საკმაოდ მკაცრია სტანდარტები, წესები, გარდა ამისა, არსებობს საერთო ღირებულებათა სისტემა და ძალიან ბევრი რამ, რასაც ნატო-ს ყველა წევრი-ქვეყანა ნაწილობრივ იზიარებს კიდეც. მაგრამ თქვენ იცით, რომ ნატო აქცენტს, ძირითადად, უსაფრთხოებაზე, სტაბილურობაზე აკეთებს, მაშინ, როცა ევროკავშირი, გარკვეულწილად, განსხვავდება ყოველივე ამისაგან. ევროკავშირისთვის უმთავრესია ღირებულებათა სისტემის ერთობლიობა, საერთო მიზნების ქონა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, აღმშენებლობა და, რა თქმა უნდა, როგორც ნატო-ს შემთხვევაში აღვნიშნე, სტაბილურობა და უსაფრთხოება. საქართველოსთან მიმართებაში ამ კითხვის დასმა, უბრალოდ, ნაჩქარევია. მნიშვნელოვანია, რომ კარგად იყოს გამოყენებული ის ნაბიჯი, რომელიც ევროკავშირმა გადადგა, ვგულისხმობ "ახალ ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას". ამიტომ მთელი ძალისხმევა აქეთკენ მიმართეთ. ეს პროცესი დასახულ მიზანთან ნაბიჯ-ნაბიჯ მიგიყვანთ. და თუკი თქვენ მთელ აქცენტს გააკეთებთ იმ საკითხებზე, რომელსაც ჩვენი დღის წესრიგი ითვალისწინებს - მხედველობაში მაქვს "ახალ ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაზე" ორიენტირება, რაშიც თავის მხრივ, თანამშრომლობა და ეკონომიკური ინტეგრაცია იგულისხმება - ვფიქრობ, რომ თქვენი მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება გადადგმული.

- და ბოლოს, მინდა გკითხოთ ახალი ევროპული კონსტიტუციის შესახებ. რას მოუტანს ახალი ევროპული კონსტიტუცია ევროკავშირს, გაზრდის თუ არა მის იურისდიქციას წევრ-ქვეყნებთან მიმართებაში?

- ახალი კონსტიტუცია, რა თქმა უნდა, უზარმაზარი მნიშვნელობის მქონე კანონია. იგი მიღებულ იქნა ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე. ეს სწორედ ის არის, რაც გვჭირდებოდა. ეს მნიშვნელოვანი საფეხურია და განხორციელებულია იმგვარად, როგორც შეიძლება ყოფილიყო მიღწეული წევრი-ქვეყნების საერთო ნებით. იგი ძალაში შევა, როგორც იცით, რატიფიკაციის შემდეგ. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ევროკავშირის სივრცეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მისი საშუალებით მოხდება ევროკავშირის მოქალაქეობის ინსტიტუტის ამოქმედება, იგი გააიოლებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ევროკავშირის თავდაცვას გაცილებით მოქნილსა და ეფექტურს გახდის. ერთი სიტყვით, იგი მიმართულია მთლიანად ევროკავშირის გამარტივებისკენ. რამდენად წარმატებული იქნება იგი რეალობაში, მომავალი გვიჩვენებს.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი რუსეთის დიდი რვიანის წევრობის საკითხის გადახედვას ითხოვს

დემოკრატი სენატორი ჩრდილოეთ კაროლინიდან ჯონ ედვარდსი, რომლის კანდიდატურაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯონ ქერიმ სამშაბათს პიტსბურგში წამოაყენა, წინასაარჩევნო მარათონში უფრო რადიკალური საგარეოპოლიტიკური პლატფორმით წარდგა, ვიდრე თავად ქერი. როგორც ედვარდსის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელმა სააგენტო "რია ნოვოსტის" განუცხადა, სენატორის წინასაარჩევნო პლატფორმა ბევრ ასპექტში ემთხვეოდა ჯონ ქერის პლატფორმას, თუმცა რიგ სფეროებში უფრო შემტევ ხასიათსაც ატარებდა.

დემოკრატი სენატორი ჯონ ედვარდსის კანდიდატურა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯონ ქერიმ სამშაბათს პიტსბურგში წამოაყენა.

ედვარდსმა, პრეზიდენტობის კანდიდატობისათვის ბრძოლისას, იანვარში განაცხადა, რომ თეთრ სახლში მისი მოსვლისთანავე საერთაშორისო ასპარეზზე საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე ანტიდემოკრატიული პროცესების წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ედვარდსი ირწმუნებოდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს ე. წ. "თავისუფლების სიის" შექმნას დაავალებდა, რომელშიც შევიდოდა ყველა იმ პიროვნების სახელი, ვინც პოლიტიკური მოტივებით საზღვარგარეთის ქვეყნებში იხდის სასჯელს.

ედვარდსი ასევე გამოდიოდა გაერო-ში "დემოკრატიის ფრაქციის" შექმნის ინიციატივით, რომელშიც შევიდოდნენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ქვეყნები. სენატორის აზრით, ფრაქციის მონაწილეებმა დემოკრატიული პრინციპების დასაცავად ყველა დონეზე უნდა იბრძოლონ (მათ შორის, უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეაში) და იმავდროულად წინ აღუდგნენ გაერო-ს ცალკეულ კომისიებსა და ორგანოებში "არადემოკრატიული" ქვეყნების გაწევრიანებას.

ჯონ ედვარდსის ოფიციალურად გამოქვეყნებული პლატფორმა შეიცავდა განსაკუთრებულ ნაწილსაც, რომელიც "საკვანძო საერთაშორისო ინსტიტუტებში მონაწილეობასა და დემოკრატიას შორის დამოკიდებულებას" ეძღვნებოდა. ამ ნაწილში, კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ "აუცილებელია, საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში გაწევრიანება დამოკიდებული იყოს სახელმწიფოთა მხრიდან კარგი მმართველობისა და დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებაზე". მისივე განცხადების თანახმად, აუცილებლად უნდა გადაიხედოს არსებულ ინსტიტუტებში ზოგიერთი ქვეყნის წევრობის საკითხი. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის წევრობის გაგრძელება დიდ რვიანში, თუ ამ ქვეყანაში მიმდინარე ანტიდემოკრატიული პროცესები კვლავ გაგრძელდება.

ჯონ ქერის წინასაარჩევნო შტაბში აღნიშნეს, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი არჩევნებზე, ჩვეულებრივ, იმ პოლიტიკური პლატფორმით გადის, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატი ამუშავებს. ამჟამად ერთობლივი პლატფორმა შემუშავების პროცესშია და ოფიციალურად, მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს ბოსტონში (მასაჩუსეტსი) დაგეგმილ დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო ყრილობაზე გამოქვეყნდება. მოცემულ ეტაპზე საარჩევნო შტაბში არავითარი ინფორმაცია არ არის იმის თაობაზე, თუ ედვარდსის პოზიციის რა ელემენტები შევა დემოკრატების ოფიციალურ წინასაარჩევნო პლატფორმაში.

51 წლის სენატორი ჯონ ედვარდსი სულ ცოტა ხნის წინ, დემოკრატებს შორის პირველად, არჩევნებში ქერის ოპონენტი გახლდათ. თუმცა, მარტში მან მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, როდესაც დარწმუნდა, რომ თანაპარტიელები უპირატესობას ქერის ანიჭებდნენ. ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სამხრეთ შტატების წარმომადგენელ ედვარდსის არჩევით, ჯონ ქერი იქაურ ამომრჩევლებს შორის საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებას ცდილობს. სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ქვეყნის სამხრეთში უფრო დიდი პოპულარობით შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სარგებლობს.

ქერისა და ედვარდსის კანდიდატურებს ოფიციალურად დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე დაამტკიცებენ, რომელიც ბოსტონში 26-29 ივლისს გაიმართება.

კოკა-კოლა აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება

კოკა-კოლა, ერთ-ერთი უმსხვილესი და წამყვანი ამერიკული კომპანია, შესაძლოა, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უსაფრთხოებას დაემუქროს. მას შემდეგ, რაც კომპანიამ, გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის ადგილსამყოფელის დაუყოვნებლივ დადგენის მიზნით, თუნუქის ქილებში გლობალური სანავიგაციო სისტემის (GPS) დამონტაჟება გადაწყვიტა, პენტაგონში განგაშის სიგნალი გაისმა: არსებობს საშიშროება, რომ ნებისმიერი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, თავისდაუნებურად, გამტარ ჯაშუშად იქცეს და ზესაიდუმლო ბაზებისა და ობიექტების ადგილმდებარეობა გაამხილოს.

ცნობილ სამხედრო ცენტრ ფორტ ნოკსში სამხედროები ვალდებულნი არიან, შეამოწმონ კოკა-კოლას ქილები, ვიდრე მათ ბაზის ტერიტორიაზე შეიტანენ. "ჩვენ ვთხოვთ ჯარისკაცებს, გახსნან ქილები და თუ მათში GPS-ს აღმოაჩენენ, ბაზის ტერიტორიაზე არ შემოიტანონ," - განმარტავს სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომელი.

დეიტონაში არსებულ სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა რაიტ-პატერსონში რეკომენდირებულია, კოკა-კოლას თუნუქის ქილების მიმართ ისევე მოიქცნენ, როგორც სხვა დანარჩენ ელექტრო-მოწყობილობებთან მიმართებაში, რომელთა თანხლებითაც ზოგიერთ მნიშვნელოვან ობიექტზე შესვლა აკრძალულია. თუ მსგავს მოწყობილობას ბაზის ტერიტორიაზე იპოვნიან, მას ამოწმებენ. თუ ქილა სანავიგაციო სისტემას არ შეიცავს, მას მფლობელს უბრუნებენ და სთხოვენ, რომ ის მხოლოდ სახლში გახსნას.

თავად კოკა-კოლას ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სამხედროების ამგვარი განსაკუთრებული ზომები საფუძველს მოკლებულია. კომპანიის წარმომადგენელი მარტ მარტინი ირწმუნება, რომ ქილები მოწყობილობით ჩვეულებრივისაგან განსხვავდება. ამავე დროს, მონაცემების GPS-დან მიღება მხოლოდ კოკა-კოლას შეუძლია და, ამდენად, მისი ჯაშუშურ ინსტრუმენტად გამოყენება შეუძლებელია.

სანავიგაციო სისტემებით აღჭურვილი ქილების გავრცელება ე.წ. აქცია "მოულოდნელი ზაფხულის" (Unexpected Summer) დაწყებასთან არის დაკავშირებული. ქილის შიგნით მოწყობილობა და მობილური ტელეფონის ნომერი გახლავთ. წითელ ღილაკზე თითის დაჭერით, კლიენტი უკავშირდება კომპანიის ცხელ ხაზს და თუ იგი მოიგებს, კოკა-კოლა გამარჯვებულის ადგილსამყოფელს ადგენს და პრიზს გადასცემს.

World Vision- აცხადებს კონკურსს **ბუღალტრის** პოზიციაზე
აუცილებელი მოთხოვნები:
დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ გვერდები:
www.jobs.ge, www.assistancegeorgia.org.ge, www.jobsfinder.ge
საბუთების მიღების ბოლო ვადა: **13 ივლისი, 2004 წელი**
მისამართი გოგებაშვილის ქ. N33, თბილისი
maya-purtskhvanidze@wvi.org

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დაკვეთით აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

ფინანსური მენეჯერი

ფუნქციები და მოვალეობები
- ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.
- ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის წარმართვა.
- ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზი.
- ორგანიზაციის ფინანსური დეპარტამენტის მართვა.

საკავალიფიკაციო მოთხოვნები
- სრული უმაღლესი განათლება ეკონომიკის და მენეჯმენტის სფეროში.
- ფინანსური დაგეგმვისა და ანალიზის გამოცდილება.
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- მართვის უნარი.
- შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე)

ტექნიკური მენეჯერი

ფუნქციები და მოვალეობები
- ორგანიზაციის ტექნიკური სამსახურების საქმიანობის წარმართვა.

საკავალიფიკაციო მოთხოვნები
- სრული უმაღლესი განათლება მენეჯმენტის სფეროში. (სასურველია ტექნიკური განათლებაც.)
- შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე)
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- მართვის უნარი.

განცხადების მიღების ვადაა 1 ივლისიდან 14 ივლისამდე.
დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.

მისამართი: მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი და რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული ფინანსური აკადემია იწვევენ უცხოეთის მოქალაქეებს საკონტრაქტო საფუძველზე (ფასიან) ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და ასპირანტურაში სასწავლებლად.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
მისამართი: დ. უზნაძის ქ. N52
ოთახი 214 ტელ: 95-48-69

"თბილწყალკანალი" ექსპერიმენტს დიდი დილმიდან დაიწყებს

უკვე რამდენიმე თვეა, რაც თბილწყალკანალის გასხვისებასთან დაკავშირებული დავა გრძელდება. საპატრიარქოს საქმეში ჩარევის შემდეგ საკრებულომ აღარ დაამტკიცა 2003 წლის 3 სექტემბერის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც ფრანგულ კომპანია "ჟენერალ დეზოსთან" თბილისის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის მომსახურებაზე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას ითვალისწინებდა. გუშინ ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საკრებულოს წევრებსა და პარლამენტარებს, დიდი დილმის მასშტაბით, ტექნიკური ექსპერიმენტის განხორციელება შესთავაზა, რაც კორპუსების გამრიცხველიანებას გულისხმობს.

თამარ დვალი

აპრილის თვეში, როდესაც პარიზიდან დაბრუნდა, საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თბილწყალკანალის ფრანგული კომპანიისთვის 10 წლის ვადით მართვის უფლებით გადაცემა ერთადერთი გამოსავალი იყო. თუმცა, იმ წინააღმდეგობის შემდეგ, რაც მას ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვდა, მიხვდა, რომ საჩქარო არაფერია. გუშინ საკრებულოში შეკრებილი საზოგადოება ტენდერის თავიდან ჩატარებას დასაშვებად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია, ტენდერში სხვა კომპანიამ გაიმარჯვოს. ითქვა ისიც, რომ მანამდე საჭიროა, ტენდერის პირობები გადაიხედოს და ხელშეკრულებაში მეტი დამცავი მექანიზმი ჩაიდოს.

თბილწყალკანალის საკითხით ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც დაინტერესდა. იგი ახალი ინიციატივით გამოდის და მიიჩნევს, რომ მის მიერ მოფიქრებული ექსპერიმენტი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში დაგვეხმარება. უახლესი ერთი თვის ვადაში ტექნიკური ექსპერიმენტი დიდი დილმის მასშტაბით დაიწყება, რაც კორპუსების გამრიცხველიანებას გულისხმობს. საცხოვრებელ კორპუსებზე საერთო მრიცხველები დამონტაჟდება, შეირჩევა რამდენიმე კორპუსი, სადაც ინდივიდუალური მრიცხველი დაიდგმება. ამ დღეებში გამოცხადდება ტენდერი მრიცხველების დამონტაჟების მსურველი ფირმებისათვის. **"აღნიშნული ექსპერიმენტი შესაძლებლობას მოგვცემს, გავარკვიოთ, თუ რა რაოდენობის წყალს მოიხმარს მოსახლეობა; ასევე, დავადგინოთ, თუ რა რაოდენობის გადასახადის გადახდა მოუწევთ მოქალაქეებს. ექსპერიმენტისთვის თანხა 300 ათასი ლარი დედაქალის მუნიციპალური ბიუჯეტიდან "თბილწყალკანალისთვის" განკუთვნილი თანხიდან გამოიყოფა",** - აცხადებს ჭიაბერაშვილი. მისივე თქმით, დიდი დილმის მცხოვრებლებს საგანგაშო არაფერი აქვთ. ისინი გადასახადს ძველებურად - სულადობრივად გადაიხდიან.

ქალაქის მერის აზრით, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცებამდე სამი ძირითადი რამ არის გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, უნდა დაველოდოთ დიდ დილმში ჩატარებული ტექნიკური ექსპერიმენტის შედეგებს, გავითვალისწინოთ საკრებულოს კომისიების დასკვნები და ვნახოთ, რა დასკვნას გამოგვიგზავნიან ქალაქ ნანტის ექსპერტები, როდესაც საქართველოდან გაგზავნილ პროექტს განიხილავენ.

საკრებულოში შეკრებილმა სტუმრებმა თბილწყალკანალისადმი საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების საკითხიც განიხილეს. შეგახსენებთ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება ამ ორგანიზაციის მიმართ 23 მილიონ ლარს შეადგენს. სპეციალისტების აზრით, თუკი ამ თანხის დაფარვის რეალური გზა მოინახება, მაშინ თბილწყალკანალს შესაძლებლობა ექნება, გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები მაინც დაიწყოს.

ქალაქის მერის ინიციატივას საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილიც დაეთანხმა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საკრებულო საბოლოო გადაწყვეტილებას ხალხის კეთილი ნების გარეშე არ მიიღებს.

ექსპერიმენტის ჩატარებას დაეთანხმა ოპოზიციონერი დეპუტატი ზვიად ძიძიგურიც. იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის წინააღმდეგ გამოდიოდა და თბილწყალკანალის "ჟენერალ დეზოსთვის" გადაცემას აპროტესტებდა. გუშინ ინიციატივით გამოვიდა ზვიად ძიძიგურიც. იგი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებში წყლის რესურსების მარეგულირებელი კომისიის შექმნას მოითხოვს. **"ვფიქრობ, თბილისის წყალმომარაგების პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია ახალი სატენდერო პირობების ჩამოყალიბება და, მათი გათვალისწინებით, ახალი ტენდერის გამოცხადება",** - აღნიშნა ზვიად ძიძიგურამ.

წყლის რესურსების მარეგულირებელი კომისიის შექმნის ინიციატივას ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარეც დაეთანხმნენ.

ამჟამად ტენდერში გამარჯვებულ კომპანია "ჟენერალ დეზოსა" და თბილწყალკანალს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეჩერებულია. ფრანგული კომპანია საბოლოო პასუხს ივნისის ბოლომდე ელოდებოდა, თუმცა ქართული მხარე პასუხისთვის ჯერ მზად არ არის.

ვინ აგებს პასუხს?

ნინო ბერელიძე

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანებასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს ირინეოსს გუშინ სპეციალური წერილი გაუგზავნა. პატრიარქი კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის შეშფოთებას მომხდართან დაკავშირებით და იერუსალიმის ეკლესიებისა და ადგილობრივი მთავრობისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ითხოვს. უწმინდესი, ასევე, მიმართავს ირინეოსს, სიტუაციის ნაწილობრივი გამოსწორების მიზნით, ჯვრის მონასტერში რამდენიმე ქართველმა სასულიერო პირმა დაიწყოს მოღვაწეობა. გუშინვე თბილისში საბერძნეთის საელჩოსთან ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა ხალხმრავალი საპროტესტო აქცია გამართეს.

მარიკა ამპრველაშვილის ფოტო

საუკუნეების წინ დაწყებული ბრძოლა ქართულ და ბერძნულ ეკლესიებს შორის ისევ გრძელდება.

"ვინ აგებს პასუხს შოთა რუსთაველის ფრესკის განადგურებაზე"? "მოვითხოვთ ქართული სიწმინდეების დაბრუნებას"! - ამ მოწოდებებით მოეწყო გუშინ საპროტესტო-გამაფრთხილებელი აქცია საბერძნეთის საელჩოსთან. აქციის მონაწილეები იყვნენ ქართველი ხელოვნების მუშაკები, ახალგაზრდა მწერლები, პოეტები და საპატრიარქოს წარმომადგენლები. მოგვიანებით მათ სრულიად საქართველოს ადამიანთა დაცვის ასოციაციის წევრებიც შეუერთდნენ. საბერძნეთის საელჩოს წინ შეკრებილი საზოგადოება კატეგორიული გახლდათ - იგი ბერძნებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებული რუსთაველის ფრესკის გამიზნულ დაზიანებაში ადანაშაულებდა.

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ საუკუნეების წინ დაწყებული ბრძოლა საქართველოსა და საბერძნეთს შორის ისევ გრძელდება. მათ ეკლესიებში ისევ არსებობენ ბნელი ძალები ფუნდამენტალიზმის სახით. იერუსალიმის მონასტერსაც ასეთი ძალები განაგებენ. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ფრესკის შეგნებულად, ვანდალურად განადგურებაში ბრალი მონასტრის იღუმენს მიუძღვის. ის განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა ქართველების მიმართ. რადგან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის თავზე საბერძნეთის დროშა ფრიალებს, მთელი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ. მათი მხრიდან საჭიროდ მიგვაჩნია ბოდიშის მოხდა ქართველი ხალხის წინაშე და დამნაშავის დაუყოვნებლივ დასჯა", - ასეთი იყო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის მწერალ ზაალ სამადაშვილის განცხადება. ამ აზრს იზიარებდნენ აქციის სხვა მონაწილეებიც: დავით ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე, დავით სიხარულიძე, გიორგი ჭანტურია, გიორგი გაჩეჩილაძე. მათ გადაწყვეტილი აქვთ, პერმანენტული აქციები გამართონ საბერძნეთის საელჩოს წინ და მის წარმომადგენლებს თავიანთი მოთხოვნები სისტემატურად შეახსენონ.

სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარეს გიორგი კერვალიშვილსა და საპატრიარქოს წარმომადგენლებს უფრო რადიკალური მოთხოვნები აქვთ საბერძნეთის მთავრობის მიმართ. ჟურნალ "ლაზარეს აღდგინების" გამომცემელი რედაქტორის, მორჩილი მირონ სურაქველიძის განცხადებით, **"აუცილებელია დაუყოვნებლივ გადმოეცეს საქართველოს და საპატრიარქოს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი, რომლის კანონიერი მფლობელი, ისტორიულად, საქართველოა. მაგრამ, ბერძნები ოდითგანვე ეწევიან ქართული კულტურის დისკრედიტაციას. ის, რაც უკვე მოხდა, ყოვლად უპატიებელი ფაქტია. შოთა რუსთაველის ეს ფრესკა ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. როდესაც მსოფლიო საზოგადოება მსოფლიო კულტურის წიაღში თვითდამკვიდრების პროცესს ეწევა, ჩვენ ვკარგავთ უნიკალურ ხელოვნების ნიმუშს. ამ ვანდალიზმის წინააღმდეგ მთელმა ერმა უნდა აიმაღლოს ხმა. ხელისუფლებამ კი სასწრაფო რეაგირება მოახდინოს მომხდარზე".**

გულწრფელ შეშფოთებას გამოხატავდნენ საბერძნეთის საელჩოსთან შეკრებილი ახალგაზრდებიც." **მე ამერიკაში ვსწავლობ და რას ნიშნავს საკუთარი ერის წარსული ღირსება უკვე კარგად მესმის. ჩემთვის რუსთაველი განსაკუთრებით ძვირფასია და ამიტომ მოვედი აქ. მინდა, ამ აქციაზე ბევრი ჩემი ტოლი იყოს",** - თქვა ერთმა მათგანმა, ნესტან დავითაშვილმა.

გუშინვე, საქართველოსთვის ჯვრის მონასტრის დაბრუნების მოთხოვნით, საქართველოს პრეზიდენტს წერილით მიმართეს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა.

ინვალიდობა და მილიონობით ზარალი

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ინვალიდების რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ გაჩნდა სერიოზული ეჭვი რაოდენობის გაყალბების თაობაზე. რეალური ვითარების გასარკვევად და მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

ნონა მაისურაძე

ინვალიდობის მიმნიჭებელ სრულიად დამოუკიდებელ კომისიებს მსუყე კორუფციული გარემო შეექმნათ. მათ, სხვადასხვა გარიგების ფასად, უპრობლემოდ შეეძლოთ ინვალიდობის ჯგუფის მინიჭება. ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში, საპენსიო თანხას საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აფინანსებს, შესაბამისად, კომისიებს ნაკლებად აწუხებდათ, რამდენი ინვალიდი იქნებოდა ქვეყანაში და რა თანხა გაიხარჯებოდა მათ დასაკმაყოფილებლად. შედეგად, ინვალიდობის ცნობის, ხშირ შემთხვევაში, უმისამართოდ დარიგებამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ინვალიდების რიცხვმა 8000-ით მოიმატა, როცა მანამდე ერთ წელიწადში მხოლოდ 1000-1500 შემთხვევა ფიქსირდებოდა, ბიუჯეტმა კი ორი მილიონი ლარით იზარალა.

ამასთან დაკავშირებით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე აცხადებს: **"ასეთ არაჯანსაღ გარემოს ხელი შეუწყო ადრე არსებულმა კანონმდებლობამ, რისი საშუალებითაც ექსპერტიზის ბიუროები სოკოებივით მომრავლდა. საქართველოში მათი რიცხვი 150-ზე მეტი იყო, თბილისში კი 30-ს გადააჭარბა. ამჟამად ეს სისტემა მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოებში მოვაქციეთ და ახლა მხოლოდ ფონდის სტრუქტურაში შემავალ ბიუროებს აქვთ ინვალიდობის მინიჭების უფლება, იმ ჩამონათვალის გათვალისწინებით, რაც ექიმს ინვალიდობის ჯგუფის დადგენის საშუალებას აძლევს".**

ორგანიზმის ძირითადი ფუნქციის დარღვევის ხარისხი კი შემდეგი კრიტერიუმებით ფასდება: ფსიქიკური ფუნქციის (აღქმის, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, ემოციის, მეტყველების) დარღვევა; სენსორული ფუნქციის (მხედველობის, სმენის, ყნოსვის, შეგრძნების) დარღვევა; დინამიკურ-სტატიკური ფუნქციის (გადაადგილების, დგომის და ა.შ.) დარღვევა; სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, საჭმლის მონელების, გამოყოფის, ნივთიერებათა ცვლის, შინაგანი სეკრეციის ფუნქციების დარღვევა.

ორგანიზმის ძირითადი ფუნქციის დარღვევა ხარისხობრივად ასე კვალიფიცირდება: I ხარისხი - ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევა; II ხარისხი - ფუნქციის ზომიერად გამოხატული დარღვევა; III ხარისხი - ფუნქციის მნიშვნელოვნად გამოხატული დარღვევა; IV ხარისხი - ფუნქციის მკვეთრად გამოხატული დარღვევა.

ორგანიზმის ქმედუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის შემთხვევაში, დგინდება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი (ინვალიდობის I, II, და III ჯგუფები).

სამწუხაროდ, ამ კრიტერიუმებს არავინ იცავდა, როცა საქმე ქრთამს და სხვადასხვა გარიგებას ეხებოდა. ახლა კი სახელმწიფო ფონდმა კადრების შესარჩევად კონკურსი ჩაატარა. სამთვიანი საგამოცდო ვადით დაიდო ხელშეკრულება ექსპერტიზის ბიუროების თანამშრომლებთან. ახალი წესით, მაინცდამაინც ექსპერტიზაში მუშაობის გამოცდილება აუცილებელი აღარ არის - სრულიად საკმარისია, მაძიებელს ექიმად მუშაობის ხუთი წლის სტაჟი ჰქონდეს.

MCG Millennium Challenge Georgia
ათასწლეულის გამოწვევა საქართველო
დავეხმაროთ სიღარიბეს ეკონომიკური ზრდით

აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წინადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი _____

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოთ ორგანიზაციის სახელწოდება):

_____

_____

სახელი გვარი _____ _____

ასაკი _____

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

ვებ-გვერდი: www.mcg.ge

მისამართი: ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4.
გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

ტელ: (995 32) 92 38 69

ფაქსი: (995 32) 92 14 80

ელ.ფოსტა: info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლო ვადაა 10/07/04 17:00

მოულოდნელი სპეცოპერაციები გრძელდება

დამნაშავეთა სამყაროს წევრების დასაკავებლად ჩატარებულმა მოულოდნელმა სპეცოპერაციებმა ბოლო დროს მასშტაბური ხასიათი მიიღო. თუკი, ორი დღის წინ, ისანი-სამგორისა და საბურთალოს რაიონებში გვიან ღამით ჩატარებული სპეცოპერაციისას სამართალდამცველებმა 12 ეჭვმიტანილი დააკავეს, გუშინ, გამთენიისას, ვაკე-საბურთალოს რაიონში ერთდროულად ცხრა მისამართზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, პოლიციამ და სპეცრაზმელებმა სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი 13 პირი დააკავეს. ცამეტივე მათგანი უკვე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული.

სამართალდამცველები, ისევე, როგორც ყოველთვის, ახლაც აცხადებენ, რომ კლდიაშვილის, დოლიძისა და კავსაძის ქუჩებზე გუშინ გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაკავებულებს დანაშაულებრივი მტკიცებულებები აღმოუჩინეს - დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება (სუბოტექსი, ჰეროინი), ასაფეთქებელი მასალები, ე.წ. ატმიჩკები, "მაკაროვის" სისტემის ავტომატები და სხვა. საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ თითოეული დაკავებულის ოჯახის წევრებს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ იარაღი, ნარკოტიკი და დანაშაულის დამადასტურებელი ყველა სხვა ნივთი დაკავებულებს თავად პოლიციელებმა ჩაუდეს. დაკავებულთა ახლობლები და მეზობლები სპეცოპერაციის მონაწილეებს უხეშობასა და სასტიკად მოპყრობაში ადანაშაულებენ და ბრალდებებს უყენებენ.



ვაკე-საბურთალოს რაიონში ერთდროულად ცხრა მისამართზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, პოლიციამ და სპეცრაზმელებმა სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი 13 პირი დააკავეს. ცამეტივე მათგანი უკვე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული.

როგორც სამართალდამცველები განმარტავენ, კლდიაშვილის, დოლიძისა და კავსაძის ქუჩებზე შსს-სა და თბილისის მთავარი სამმართველოს ერთობლივი სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულები ერთი დაჯგუფების წევრები არ არიან და ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელთა განცხადებით, ადვოკატებს სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულებთან შეხვედრის საშუალება გუშინ საღამომდე არ მისცეს.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა ინფორმაციით, თბილისის შს პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გადაყვანილი დავით და კახა დეკანოიძეების ადვოკატმა, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელმა როლანდ ასაკაშვილმა მათთან შეხვედრა გუშინ მთელი დღის მანძილზე ვერ მოახერხა. ორგანიზაციაში გამოთქვამენ ვარაუდს, რომ შესაძლოა, დაკავებულების მიმართ ფიზიკურ ზეწოლას ჰქონდეს ადგილი.

24 საათი

დანაშაული, რომელიც ადამიანურობისგან შორს დგას

2003 წლის 2 თებერვალს ზუგდიდში შემზარავი დანაშაული მოხდა. საუბარია 4 შვილის დედის ჯგუფურ გაუპატიურებაზე. ქალბატონი, რომლის ვინაობის დასახელება მიზანშეწონილი არაა, 2 დღე-ღამის მანძილზე დამნაშავეებს დატყვევებული ჰყავდათ და მას 20-მდე ადამიანი სცემდა და აუპატიურებდა. მოგვიანებით, იგი ზუგდიდის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. დაზარალებული იმდენად იყო ნაცემი, რომ საავადმყოფოში მისმა ახლობლებმაც ვერ იცნეს. აღნიშნული საქმის განხილვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ ახლახან დაასრულა. დანაშაულზე პასუხისმგებლობა, ჯერჯერობით, მხოლოდ სამ პირს დაეკისრა.

ბექა სისაური
ქუთაისი

საგამოძიებო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ 2003 წლის 2 თებერვალს, 19 საათზე, ზუგდიდში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე დაზარალებულს წინ გადაუდგა უცნობი ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც ძალის გამოყენებით N1 საშუალო სკოლის ეზოში შეიყვანა, ტანსაცმელი შემოახია და გაუპატიურება დაუპირა. წინააღმდეგობის გაწევის გამო, გამოძიებით დაუდგენელმა ბიჭმა მას აგინა და სცემა. "ქალის კივილზე უცნობი ბიჭი გაიქცა, თუმცა მოულოდნელად დაზარალებულთან სამი ახალგაზრდა მივიდა. მათგან ერთ-ერთმა უთხრა, რომ სამხარეო პოლიციიდან იყვნენ და რაღაც საბუთი აჩვენა. მათ ნაცემ ქალს გაყოლა უბრძანეს და მდინარე ჩხოუშიას ნაპირზე მდებარე ცხოველების ბაზარში არსებულ დაუმთავრებელ შენობაში მიიყვანეს, სადაც იგი სამივემ გააუპატიურა," - ნათქვამია საოლქო სასამართლოს განაჩენში. ქალბატონი მშველელს უხმობდა, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრები მოსახლეობიდან იგი სახლში არავინ შეუშვა. დაზარალებული იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო, რა დროსაც კვლავ შეეჩეხა აღნიშნულ სამ პიროვნებას, ამჯერად მათთან ერთად კიდევ ორი უცნობი იმყოფებოდა. მათ ძალის გამოყენებით ისევ N1 საშუალო სკოლის მიმართულებით წაიყვანეს და ამჯერად ხუთივემ გააუპატიურა.

საქმის მასალებში რატომღაც ძალიან ბევრი დაუდგენელი პიროვნება ფიგურირებს, რაც, სავარაუდოდ, გამოძიების მიერ არასათანადოდ ჩატარებულ სამძებრო მოქმედებებზე მეტყველებს. ზემოთნახსენებ პირთაგან პოლიციამ მხოლოდ ერთი, გენადი შერვაშიძე დაადგინა, რომელმაც აღნიშნული მოვლენების შემდეგ, დაახლოებით საღამოს ცხრის ნახევარზე, სასტიკად ნაცემი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული, თავის სამუშაო ადგილზე, ზუგდიდის რაიონული საავდმყოფოს გვერდით მდებარე პურის საცხობში მიიყვანა, სადაც დახვდა მამა და ძმა, ევგენი და რაულ შარვაშიძეები, იქვე მომუშავე თორნიკე აბშილავა და მეზობელი გელა ბულია. ქალი საცხობის უკანა ოთახში ჩაკეტეს. იქ აბშილავამ, მამაშვილ გენადი და რაულ შარვაშიძეებთან ერთად, დაზარალებული გააუპატიურეს. ქალბატონის ჩვენებებიდან ირკვევა, რომ იგი ამ დროს ცუდად გამხდარა და გონება დაუკარგავს, რა დროსაც მას წყალი დაასხეს და მოასულიერეს. ბოროტმოქმედები არც ამის შემდეგ შეჩერებულან. "შემდეგ ქალბატონი ეგრეთ წოდებული "პრესოვკის" მიმართულებით, გენადი შერვაშიძის სახლში წაიყვანეს. დაზარალებულს გზა რომ არ დაემახსოვრებინა, გელა ბულიამ თავზე ქუდი ჩამოაფხატა. სახლში მისვლისას იგი ოთახში ჩაკეტეს, ღამით კი მის მიმართ კვლავ გამოიყენეს ძალადობა. კერძოდ, ბულიამ და სხვა პირებმა დაზარალებული ჯგუფურად გააუპატიურეს," - ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

საგამოძიებო მასალებიდან ირკვევა, რომ ამის შემდეგ, ქალბატონი შარვაშიძის სახლიდან მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა წაიყვანა და, დაახლოებით ორმოცდაათ მეტრში, უცნობ პიროვნებას გადასცეს, რომელმაც ქალბატონი მუქარისა და ფიზიკური ზეწოლის შედეგად კიბეებზე გააუპატიურა. ამის შემდეგ დაზარალებული გადასცეს სამ, გამოძიებისთვის ასევე უცნობ პიროვნებას, რომლებმაც იგი "ბმვ-ს" მარკის ავტომობილში ჩაისვეს და რაიონული საავდმყოფოს უკანა ეზოში მიიყვანეს, სადაც იგი ორმა მათგანმა გააუპატიურა და იქვე დატოვა. საბოლოოდ, დაზარალებულმა საავდმყოფოს ექიმების დახმარებით მოახერხა ნათესავებთან დაკავშირება. ექიმების განმარტებით, დაზარალებული სასტიკად იყო ნაცემი, სახე მთლიანად გაშავებული ჰქონდა და ლაპარაკი უჭირდა. სასამართლო გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ გამოძიებისას დაზარალებულმა დეტალურად აღწერა და უჩვენა ის შენობები, სადაც მას შეურაცხყოფა მიაყენეს.

"საქმეზე ჩატარებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ჯგუფური გაუპატიურების დროს, ფიზიკური და ფსიქიკური მეთოდების გამოყენებით, დაზარალებული უძლურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და არ შესწევდა უნარი, დამნაშავეებისათვის წინააღმდეგობა გაეწია," - ნათქვამია სამედიცინო ცნობაში.

აღიშნულ ფაქტზე დამნაშავეთა დიდმა ნაწილმა სასჯელისგან თავის არიდება მოახერხა. მათი უმეტესობა ამჟამად გამოძიების მიერ ეჭვმიტანილადაა ცნობილი და იძებნება. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ, მოსამართლე ვერა დოლიძის თავმჯდომარეობით, თორნიკე აბშილავას, ევგენი შარვაშიძეს, გელა ბულიასა და ტარიელ ჯაბურიას ჩადენილი დანაშაულისთვის მკაცრი სასჯელები შეუფარდა. პროცესზე ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ მიიჩნევდნენ. თუმცა, მოწმეთა და თავად დამნაშვეებების მიერ გამოძიების პერიოდში მიცემული აღირებითი ჩვენებით, სასამართლომ მათი ბრალეულობა დადასტურებულად ცნო. სასამართლო განაჩენით, თორნიკე აბშილავას 10, გელა ბულიას 11, ევგენი შარვაძეს კი 8 წლით პატიმრობა შეეფარდათ. ისინი სასჯელებს მკაცრი რეჟიმის კოლონიებში მოიხდიან.

ორი სიტყვით

ბათუმი. გიორგი პაპუაშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ის პროკურატურის თანამშრომლებს გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ წარუდგინა. გია პაპუაშვილს ახალი მოადგილეც ჰყავს. ამ თანამდებობაზე ილია დვალიშვილი წარადგინეს. გია პაპუაშვილმა აჭარის პროკურორის თანამდებობაზე რესან კონცელიძე შეცვალა. გენპროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას განცხადებით, კონცელიძეს პროკურატურაში დატოვებენ და რომელიმე განყოფილების უფროსად დანიშნავენ. ახალი პროკურორი პაპუაშვილი თანამშრომლების შემცირებას არ გეგმავს. რაც შეეხება აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის საქმიანობას, პაპუაშვილის განცხადებით, ის აბაშიძის ქმედებების გამოძიებაში წვლილის შეტანას აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

წყალტუბო. წყალტუბოს პოლიციამ ერთი კვირის წინ სოფელ გუბისწყალში მომხდარი ყაჩაღობის საქმე გახსნა. პოლიციამ დაიკავა 26 წლის წყალტუბოელი მამაკაცი, რომელიც იაშა დადუნაშვილის ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაშია ეჭვმიტანილი. რაიონულ პოლიციაში აცხადებენ, რომ დასადგენი და დასაკავებელია ნიჟარაძის სამი თანამზრახველი, რომელთა აყვანა, პოლიციის ვარაუდით, მას ყაჩაღობის არაერთი საქმის გახსნაში დაეხმარება. როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციაში განაცხადეს, წყალტუბო რეგიონში ყველაზე რთულ კრიმინოგენულ ზონად ითვლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბოლო დროს საქართველოში პასპორტების მარაგის ამოწურვა მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. როგორც საქართველოს შსს-ს საპასპორტო სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნულ ბიუროში აცხადებენ, რამდენიმე დღის წინათ პასპორტების მარაგი შეივსო და 5 დღის ვადაში, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ეროვნული პასპორტი მიიღოს. პასპორტები ყველა რაიონსა და ქალაქში განაწილდა. სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მთელი საქართველოს საპასპორტო სამსახურები გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ 9 საათიდან 20 საათამდე, შაბათის ჩათვლით. პასპორტის ფასი ჯერჯერობით უცვლელია - სახელმწიფო ბაჟი ისევ 35 ლარია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის განყოფილების თანამშრომლებმა ენერგოკომპანიიდან თანხების დატაცების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ფილიალ "ჟინვალის" ხელმძღვანელები კომპანიის კუთვნილ თანხებს პირადი სარგებლობისთვის იყენებდნენ. "ამ გზით ფილიალიდან დღემდე 5200 ლარია გაცემული," - განმარტავენ ფინანსურ პოლიციაში. სისხლის სამართლის საქმე მითვისება-გაფლანგვის მუხლით არის აღძრული. **ინტერ-პრესი**

სამეგრელოს პოლიცია ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლაში გააქტიურდა

ეკონომიკური დანაშაულის გამოვლენის მხრივ დედაქალაქის სამართალდამცველების მიერ აღებული სტარტი სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურამ გააგრძელა, და არცთუ უშედეგოდ.

გუშინ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვაში ეჭვმიტანილი, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ თოდაძე დააკავეს. მოწმის სტატუსით მისული თოდაძის დაკავების შესახებ გადაწყვეტილება სამხარეო პროკურატურამ მისი დაკითხვის შემდეგ მიიღო და იგი პირდაპირ ზუგდიდის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

გამოძიება თოდაძეს პირთა ჯგუფთან ერთად ბიუჯეტიდან 4,9 მილიონი ლარის დატაცებაში ედავება. რეგიონის ოლქის პროკურორის როლანდ ახალაიას თქმით, თოდაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ზუგდიდის საგადასახადო ინსპექციაში აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე აღიძრა. კერძოდ, აღნიშნულ სამსახურში სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 7 მილიონი ლარის ყალბი აქტივები, საიდანაც 3,9 მილიონი ლარი, ამ აქტივების მეშვეობით, საავტომობილო ფედერაციას აქვს მითვისებული. ახალაიას განცხადებით, ზუგდიდის საგადასახადო ინსპექციაში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე პირი უკვე დაკავებულია, მათ შორის ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელი ზვიად ჯიჭონაია.

ახალაიას განცხადებით, თოდაძეს ბრალი გუშინვე წარედგინა, ხოლო დღეს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით პროკურატურა სასამართლოს მიმართავს და სამი თვით წინასწარ პატიმრობას მოითხოვს.

ჩვენი ინფორმაციით, თოდაძე ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ სიმართლე გამოძიების პროცესში გაირკვევა. საოლქო პროკურორი კი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში იგივე საქმეზე კიდევ რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს დააპატიმრებენ.

გუშინდელი დღე მნიშვნელოვანი იყო ზუგდიდის საოლქო პროკურატურისთვისაც, სადაც აბაშის რაიონის ყოფილი გამგებელი სოსო ჭანტურია დააკავეს. დაკავებულს პროკურატურა 65 ათასი ლარის მითვისებას ედავება. როლანდ ახალაიას განცხადებით, ჭანტურიამ ბიუჯეტის თავდებით ბანკიდან 65 ათასი ლარის ოდენობის პროცენტიანი კრედიტი აიღო, მაგრამ რაიონში ორი წლის მანძილზე არც პედაგოგებისთვის და არც საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის ხელფასი არ დაურიგებიათ.

ჭანტურიასთან ერთად დაკავებულია რაიონის სოფლების საკრებულოების შვიდი თავმჯდომარე, რომელთაგან ამოღებულია ბიუჯეტის კუთვნილი თანხის ნაწილი.

თავად სოსო ჭანტურიას თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებას წაუყენებენ, რომელიც სამიდან რვა წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ზუგდიდის პროკურატურაში იმედს გამოთქვამენ, რომ 48 საათის განმავლობაში ჭანტურიას ბრალს წაუყენებენ და მისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებისთვის სასამართლოდან შესაბამის თანხმობასაც მიიღებენ.

24 საათი

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

საკურთხი

მე ზუგდიდში დავიბადე, მაგრამ როდესაც სამი წლის ვიყავი, ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად აფხაზეთში, ქალაქ გაგრაში გადავიდა. ვცხოვრობდით სახლში, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები: ქართველები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები, რუსები გვერდი-გვერდ მეგობრულად ცხოვრობდნენ. ჩვენი ეზო ყველაზე ლამაზი იყო მთელს გაგრაში, ყოველ შემთხვევაში, ხალხი ასე ამბობდა.

მახსოვს, რომ ჩვენ ბინების კარებს გასაღებით არასდროს ვკეტავდით, მაშინაც კი, როდესაც შინ არავინ იყო. ჩვენი ეზოს უფროსები ისხდნენ ხოლმე ეზოში: კაცები, ძირითადად, თამაშობდნენ ნარდს, შაშს, კარტს; ქალები- უმეტესად ჭორაობდნენ ან ერთმანეთს საჭმელების რეცეპტებს უცვლიდნენ. ბავშვები, ჩვეულებრივ, სახლის წინ ვთამაშობდით.

ჩემი დედ-მამა, ორივე მსახურობდა. დედა ტუბდისპანსერის მთავარი ექიმი იყო, მამა - რკინა-ბეტონის ქარხნის მთავარი ინჟინერი. ამიტომ, მე და ჩემი ძმა ხშირად გვიანობამდე სახლში მარტო ვრჩებოდით. მარტოდ დარჩენილებს ყურადღებას მეზობლები გვაქცევდნენ, განსაკუთრებით, ჩვენი კარის მეზობელი, დეიდა თათუშა ზრუნავდა ჩვენზე.

როგორც ყველა ბავშვს, ჩვენც ძალიან გვიყვარდა უფროსებისთვის მიბაძვა, რაც ერთხელ კინაღამ ძალიან ცუდად დამთავრდა...

მახსოვს, გადავწყვიტეთ, მოგვეწყო "საკურთხი" - გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელი მაგიდა. მეზობლის ბავშვებმა მოიტანეს თავიანთი გარდაცვლილი ბებია-ბაბუების ფოტოსურათები. მე და ჩემმა ძმამაც გავიტანეთ ჩვენი გარდაცვლილი ბაბუების ფოტოები. ყველაფერი ისე მოვაწყვეთ, როგორც ამას უფროსები აკეთებდნენ ხოლმე: მაგიდას გადასაფარებელი გადავაფარეთ, ავაწითეთ სანთლები, დავდგით ღვინო, მოვიტანეთ საჭმელები. "საკურთხი" სუფრა რომ მოვაწყვეთ, მერე დავიწყეთ ჩვენი ბებია-ბაბუების გახსენება, საინტერესო ამბების მოგონება. რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგ ისტორიებს ვიგონებდით. თამადაც ავირჩიეთ, ასე რომ, ყველაფერი წესითა და რიგით მიმდინარეობდა.

ცოტა ხანში, თამაშ-თამაშით, იმდენი წითელი ღვინო დავლიეთ, რომ ბებია-ბაბუების მოგონების შემდეგ, ტირილიც კი დავიწყეთ. მთვრალებმა ვერ შევამჩნიეთ, როგორ წაიქცა ერთი სანთელი და როგორ მოეკიდა ცეცხლი ჩვენი საკურთხის მაგიდას.

ამას არავინ ელოდა, ისე შეგვეშინდა, რომ ყვირილი დავიწყეთ. ჩვენს ყვირილზე პირველი თათუშა დეიდა შემოვარდა და მანაც, ცეცხლის დანახვაზე, შეშინებულმა ყვირილი ატეხა: გვიშველეთ, ხანძარი, ხანძარიო...

ჩვენ კიდევ უფრო შევშინდით და არც მახსოვს, როგორ გავვარდით ეზოში, იქიდან კი ჩვენი სახლის მეორე სადარბაზოს მივაშურეთ და სხვენზე ავცვივდით.

იქ, სხვენზე, მოწყობილი გვქონდა ჩვენი კუთხე, სადაც ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე ჩვენი საკითხების გადასაწყვეტად. ავცვივდით სხვენზე, გვეშინია და ამიტომ, თავგვებივით გასუსულები ვართ, ველოდებით უფროსების განაჩენს - არ ვიცით, რა მოხდება...

ჩვენმა ერთ-ერთმა ამხანაგმა, სერიოჟამ თქვა, რომ არაფრით არ გაგვეცა ერთმანეთი, არ გაგვემხილა, ღვინოს რომ ვსვამდით... ვილაცამ თქვა, იქნებ ცოტა დავიძინოთ, სიმთვრალე ძილში გაგვივლის და უფროსები ვეღარ მიხვდებიანო...მართლაც, ყველამ დავიძინეთ. ცხრანი ვიყავით: ხუთი ბიჭი და ოთხი გოგო.

ცოტა ხანში ყველას ჩაგვეძინა. ჩვენ კი დაგვეძინა და არაფერი გაგვიგია, მაგრამ უფროსებმა იმ დროს თურმე, ძებნა დაგვიწყეს. დიდხანს ვერსად გვიპოვეს. გამოიძახეს მილიცია, სახანძრო, აქვთ ერთი ამბავი, ალიაქოთი, ყვირიან: სად არიან ბავშვები?!

მერე ვილაცას გაახსენდა, რომ ხშირად ვთამაშობდით სხვენზე. ბოლოს ამოძვრნენ სხვენზე და რას ხედავენ?! ჩვენ იქ უდარდელად გვძინავს...

ჩვენი სახეები უნდა გენახათ: ყველანი ვიყავით ძალიან სასაცილოები, შეშინებულები, ნახევრადმძინარენი, გამურულები, არც კი გვახსოვდა, რა მოხდა. გაცოფებული მშობლების დანახვაზე, ყველანი ძალიან შევშინდით...

კიდევ კარგი, ერთ-ერთმა მეზობელმა, ბიძია ლიოვამ უთხრა მშობლებს, რომ აღარ გაგვბრაზებოდნენ, რომ არ ეყვირათ ჩვენთვის, მხოლოდ მშვიდად აეხსნათ, რომ მეორედ ასეთი რამ აღარ გაგვეკეთებინა...საბედნიეროდ, ბიძია ლიოვას სიტყვებმა გაჭრა - მშობლები მართლაც ძალიან არ გაგვბრაზებიან...

ძირს ჩამოგვიყვანეს. ბიძია ლიოვამ მშობლებს შესთავაზა, რომ ყველამ გავშალოთ სუფრა და ერთად ვიქეიფოთო...

მართლაც, ცოტა ხანში ისეთი სუფრა გაიშალა...ქალებიც კი დათვრნენ. აღარავის ახსოვდა, რაც იმ დღეს მოხდა. ჩვენ არ "გაგვპერტყეს", მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე დამამახსოვრდა ეს ისტორია.

მაშინ ისეთი სითბო, ისეთი ურთიერთობები იყო ადამიანებს შორის, ყველაფერი ნათლად წარმომიდგება ხოლმე, როცა ამ ისტორიას ვიხსენებ. თურმე, რა კარგად, ბედნიერად ვცხოვრობდით მაშინ, ყველანი ერთად...

რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი

ქართველები აფხაზური საზოგადოების შიდა დიალოგში

ზაზა ფაჩუაშვილი

ბიჭვინთაში 29 ივლისიდან 1 ივლისის ჩათვლით ჩატარდა კონფერენცია თემაზე - "აფხაზეთი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში". კონფერენციაზე იმსჯელეს იმაზე, აქვს თუ არა აფხაზეთს ადგილი და პერსპექტივა საერთაშორისო სარბიელზე. კონფერენცია მოეწყო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით. დაინტერესებული პირი იყო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა სამინისტრო. კონფერენცია დააფინანსა ბრიტანულმა ორგანიზაციამ "შერიგების რესურსებმა".

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

"აფხაზეთს დამოუკიდებლობის პერსპექტივა, პრაქტიკულად, არა აქვს!" - აცხადებენ საერთაშორისო ექსპერტები.

კონფერენციას ესწრებოდნენ საზღვარგარეთელი და ქართველი ექსპერტები - პაატა ზაქარეიშვილი, თინათინ ხიდაშელი და გიორგი ანჩაბაძე. აფხაზების მხრიდან - ვიცე-პრემიერი ვლადიმერ ზანქარია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ოკერბა, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სერგეი შამბა და მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

პაატა ზაქარეიშვილი: "კმაყოფილი ვარ, რომ ქართველებს პირველად მოგვეცა საშუალება მონაწილეობა მიგვეღო აფხაზური საზოგადოების განვითარების შიდა დიალოგში. კონფერენციას ესწრებოდნენ ექსპერტები რუსეთიდან, ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, გერმანიიდან. რუსებმა ძალიან პრორუსული პოზიცია იმდენად აგრესიულად გამოხატეს, რომ აფხაზები ერთგვარად დააფრთხეს კიდეც. ისინი ზედმეტი დაჟინებით არწმუნებდნენ აფხაზებს, რომ რუსეთის გარეშე ვერ იცხოვრებენ და იმას ვერ ითვალისწინებდნენ, რომ აფხაზებს რუსეთთან ინტეგრაციისაც ეშინიათ. ამდენად, რუსების გამოსვლამ აფხაზები ძალიან გააღიზიანა".

- რა ითქვა კონფერენციაზე საერთაშორისო ასპარეზზე აფხაზეთის ადგილის თაობაზე?

- ყველა უცხოელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ აფხაზეთს დამოუკიდებლობის პერსპექტივა, პრაქტიკულად, არა აქვს. მათ შორის იყვნენ რუსი ექსპერტებიც. სხვათა შორის, აფხაზების მხრიდან ამის საწინააღმდეგო რადიკალური წინადადებები მაინცდამაინც არ გაკეთებულა. ქართული დელეგაციის პოზიცია, ცხადია, ყველასათვის ნათელი იყო. მე ვრცელი ინტერვიუ მივეცი კიდეც ადგილობრივ ტელევიზიას, სადაც საკმაოდ კრიტიკულად გამოვედი აფხაზური ხელისუფლების მიმართ და ეს იმდენად გამაღიზიანებელი გამოდგა თავად ჟურნალისტებისათვის, ალბათ, იმ ინტერვიუს საერთოდ არ გაუშვებენ.

- ამ უკმაყოფილების გამო, რაიმე ექსცესები ხომ არ ყოფილა?

- არავითარი. ჩემი დამოკიდებულების გამოხატვის მიუხედავად, ქართულ დელეგაციას პროვოკატორად და მტრად მაინც არ აღგვიქვამდნენ.

- ცხინვალის მოვლენებზე რას ამბობენ?

- აჭარისა და ცხინვალის შემდეგ, აფხაზეთში გაძლიერდა იმის შიში, რომ საქართველომ შეცდომა არ დაუშვას და ძალა არ გამოიყენოსო. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ მათი საფარო პოზიცია არის აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ამბობენ, რომ აფხაზებთან დალაპარაკება შეიძლება.

- კიდევ რა საკითხებზე იყო საუბარი?

- კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო დეპორტირებული აფხაზების რეპატრიაცია. ჩემდა გასაკვირად, აფხაზები ამ თემას საკმაოდ გულგრილად შეხვდნენ. მათ თურქეთიდან აფხაზების დაბრუნების იდეა სრულებითაც არ ახარებთ. სხვათა შორის, გაჟღერდა ინფორმაცია, რომ თურქეთიდან ათასამდე აფხაზი დაბრუნეს, მაგრამ ნახევარზე მეტი - შვიდასამდე ადამიანი უკან დაბრუნებულა. ისინი მუსულმანები არიან და აფხაზეთში ცხოვრებას ვერ შეეგუნენ.

- სოხუმშიც ხომ არ ყოფილხართ?

- ერთი დღე სოხუმში დავყავით. პირველად ომისშემდგომ სოხუმში 1997 წელს ვიყავი და შედარებაც არ შეიძლება, ისეა ყველაფერი გამოცოცხლებული. სახლები ძველებურად დამწვარია, მაგრამ ქუჩაში ხალხმრავლობაა. ქალები მხოლოდ შავებით მოსილნი აღარ დადიან და მათ ჩაცმულობაში საზაფხულო ფერები ჭარბობს. ბევრია უცხოური მანქანები, კაფეები. თუმცა, შარშანდელისაგან განსხვავებით, ტურისტების დიდი ნაკლებობაა. ეს გამოწვეულია საქართველოში განვითარებული მოვლენებით. ყველას იმის მოლოდინი აქვს, რომ აფხაზეთის ჯერიც დადგა და, ამ მხრივ, სერიოზული ძვრები ყოველ წუთს მოსალოდნელია.

მე და თინიკო ხიდაშელმა მთელი სოხუმი მოვიარეთ ხმამაღალი ქართული ლაპარაკით და არავითარი პრობლემა არ გვქონია. ხალხი გაოცებული უფრო გვიყურებდა, ვიდრე გაღიზიანებული. 1997 წელს კი გაგვაფრთხილეს, ქუჩაში ქართულად არ დაილაპარაკოთო. მაშინ ეს სიცოცხლისთვის მართლა საშიში იყო.

- თქვენი აფხაზეთში ყოფნის დროს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თქვენეული კონცეფციაც გამოქვეყნდა და მისი მწარე კრიტიკაც გაისმა...

- ჩვენ რაც კონცეფციაში გვიწერია, ყველაფერი არის მსჯელობის საგანი. ქართველები არიან ავტოქტონური ერი და 12 წელია, აღარ ცხოვრობენ აფხაზეთში. რამდენი ხნის განმავლობაში უნდა გვყავდეს ასეთ მდგომარეობაში ავტოქტონური ერი? ეს კონცეფცია არის ჩვენი, ექსპერტთა ჯგუფის წინადადებები, რათა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება მოხდეს. ქართველები უმრავლესობა ვართ და არ გაგვიჭირდება შემდგომი პროცესების მართვა, თუკი, რაღაცნაირად მოვახერხეთ და აფხაზები შემოვირიგეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ სხვა ვარიანტებსაც და სიამოვნებით განვიხილავთ სხვა წინადადებებსაც, ოღონდ, ვეღირსოთ და ვინმემ თქვას, თუ ასე არა, მაშ როგორ უნდა მოგვარდეს აფხაზეთის კონფლიქტი?!

P.S. დღეს 14 საათზე, აფხაზურ კლუბში მორიგი დისკუსია გაიმართება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კონცეფციის ავტორებსა და მათ ოპონენტებს შორის.

ლტოლვილი

განა - იძულებით გადაადგილებული პირი, განა - დევნილი, ან კიდევ სხვა, ოფიციალური თუ არაოფიციალური სახელი, არამედ - ლტოლვილი! სახელი, რომლითაც მას იცნობს საზოგადოება, რომლითაც მოიხსენიებს ყოველდღიურ საუბრებში, რომელიც თავად შეარქვა, რომელიც პოპულარულია მისთვის, რომელიც გახდა დამღა - ამოტვიფრული მის სულში და თვალისათვის უჩინარი ბეჭედი - სამუდამოდ ჩარტყმული მისი ცხოვრების უვადო პასპორტში.

ლტოლვილი და მხოლოდ ლტოლვილი! მის სხვა სახელთაგან ზოგი ხელოვნურია, ზოგი - ზედმეტად ხელოვნური, ზოგი - უნიჭოდ მოკეკლუცე, ზოგიც - იურიდიულად მძიმე, დახლართული და ყალბი. ყველა სხვა სახელი ტყუის და მხოლოდ "ლტოლვილი" არ გღალატობს, ის ისევე რეალურია, როგორც ცხოვრება, ბუნებრივი, როგორც მზე, წვიმა, ვარსკვლავები, და უკვე - მშობლიურიც.

1992 წლის დამლევს, როდესაც ჩემი წიგნი "დევნილთა უღელტეხილი" დაისტამბა, მე ის "დევნილად" მოვიხსენიე, ის, ანუ იგივე, საკუთარი თავიც, რადგანაც მეც, ამ სტრიქონების ავტორიც, ლტოლვილი ვარ.

"დევნილი" უფრო ბიბლიურია, ძველთუძველესი ჟღერადობის და ის ომი, რომელიც აფხაზეთს დაატყდა თავს, ის სიცოცხლე და ის სიკვდილი, რომელიც აფხაზებმა, ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, უკრაინელებმა, ესტონელებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა თუ სხვებმა და სხვებმა გადაიტანეს, ის უღელტეხილი, რომელიც გადალახეს ომს გარიდებულებმა და ბევრი სხვა რამ, ბიბლიური ტრაგედიების ასოციაციებს ბადებდა და მაშინ ლტოლვილს უფრო "დევნილი" მიესადაგებოდა. გარდა ამისა, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, ვერ გავრკვეულიყავით, ვინ გაგვხადა ბედისწერამ, საიდან მოვდიოდით, საითკენ მივდიოდით და რა გველოდა. მაშინ, ლტოლვილს ჯერ არ უძახდნენ "ლტოლვილს", არც "დევნილს", არც "იძულებით გადაადგილებულ პირს..."

ისე, ამდენი წლის შემდეგ დღესაც მეშლება ხოლმე - ხანდახან, როდესაც რომელიმე სხვა ქალაქიდან თბილისისაკენ მივემგზავრები, ჩემდა უნებურად, მშობლიური ქალაქის სახელს ვამბობ - სოხუმში მივდივარ-მეთქი.

გარდა ამისა, ერთ რამესაც დავაკვირდი - ქალაქი, სადაც ყოველთვის სადღაც მიგეჩქარება, ვერასოდეს გახდება შენი ქალაქი. მე კი თბილისში დრო არასოდეს მყოფნის და სულ სადღაც გავრბივარ, ხანდახან თავქუდმოგლეჯილიც.

კიდევ ერთი რამ - ადამიანი მხოლოდ საკუთარ ქალაქში ამბობს სიტყვას "მოვედი". მე ვიცნობდი ძალიან ბევრ ლტოლვილს, რომლებიც ისე წავიდნენ ამ ქალაქიდან, რომ ვერა და ვერ თქვეს ის, ნანატრი "მოვედი".

ომის დაწყებიდან დღემდე თითქმის თორმეტი წელია გასული, დამთავრებიდან - თითქმის თერთმეტი. ლტოლვილის ცხოვრებაში კი არაფერი შეცვლილა, ის ისეთივე ლტოლვილია, როგორც იყო. არც მის გარშემო შეცვლილა მაინცდამაინც რაიმე - მის გარშემოც კვლავ უამრავი არალტოლვილი, მაგრამ ლტოლვილის ფსიქოლოგიით მცხოვრები ადამიანია. ასეც ხდება თურმე - შეიძლება მშობლიურ სახლში ცხოვრობდე, მაგრამ ლტოლვილი იყო.

არიან ადამიანები, ლტოლვილები სხვებისთვის.

არიან ადამიანები, ლტოლვილები საკუთარი თავისათვის.

ასეა, ურთულეს დროში ვცხოვრობთ, უამრავი რამ გადასაფასებელია და თავიდან საკვლევი, შესასწავლი.

დიახ, ლტოლვილი ლტოლვილად ლტოლვილი ქალი ყველჩახარშულ ღომს. ის დახლებს შორის მოდიოდა, ხელში ღომდაგებული თეფშებით სავსე დიდი სინი ეჭირა და იძახდა - "შევარდნაძევ, შენი ცოლი ვნახე ასე, ჩემსავით ღომს რომ ყიდდეს ბაზარში".

ომის შემდეგ დედაჩემი აბაშის რაიონში, თავის მშობლიურ სოფელში დასთან ცხოვრობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ერთხელ, ჩემი იქ ყოფნისას, მეზობლის გოგონამ მოგვიანხულა. საუბრისას მან თქვა - ახლა ქუჩაში ლტოლვილი შემხვდაო. დავინტერესდი იმ ლტოლვილით, რომელიც იმავე სოფლის მკვიდრი აღმოჩნდა, ომამდე, სულ ხუთი წლით ადრე საცხოვრებლად აფხაზეთში გადასული. ომის შემდეგ კვლავ მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და სოფლის ბოლოს სახლაკი აიშენა, მაგრამ მთელი სოფელი დღესაც ლტოლვილს უწოდებს, სახელიც ცოტამ იცის მისი. არადა, სულ ხუთი წლით დატოვა სოფელი.

ომის შემდეგ ჩემი ერთი მეგობარი, აწ გარდაცვლილი, ძირძველი სოხუმელი, თამაზ კვარაცხელია, თბილისში თავის ბინაში ჩაიკეტა, მხოლოდ სოხუმელი ლტოლვილების დაკრძალვის დროს გამოდიოდა ხოლმე სახლიდან, და იქ მისულ თანაქალაქელებს მალულად იღებდა ფოტოაპარატით. შემდეგ იმ სურათზე აღბეჭდილ სოხუმელებს შორის ცხოვრობდა თავის ჩაკეტილ ბინაში. ასე გრძელდებოდა მისი ლტოლვილობა წლების განმავლობაში. ის ერთ-ერთი ახალაგაზრდა სოხუმელი კაცის დასაფლავების დროს მოკვდა, ლტოლვილებს შორის დალია სული.

აღდგომის ერთი დილა მახსენდება: ლტოლვილმა ქალმა სასაფლაოსკენ მიმავალი უცნობი თბილისელი ქალბატონი შეაჩერა, სანთელი გადასცა და სთხოვა - "თქვენი გარდაცვლილების საფლავზე დაანთეთ და ჩემი გარდაცვლილები იგრძნობენო". კიდევ, "პასკა" გააყოლა და შეღებილი კვერცხები.

ერთ ოჩამჩირელ ლტოლვილ ქალს ვიცნობ, რომელიც იმ ხილს, ოჩამჩირეში, მის ეზოში რომ ხარობს, არ ჭამს. ის ასე უცხადებს პროტესტს ბედის უკუღმართობას.

ჩემი ახლობელი დღესაც საავადმყოფოში ცხოვრობს, თავის ოჯახთან ერთად. მისი ოთახი სარეანიმაციოს გვერდითაა და მისი ბავშვები კვირაში რამდენჯერმე ხდებიან უცნობი ადამიანების სიკვდილის მოწმენი. დღეს ისინი იმ საავადმყოფოს უცვლელი ჭირისუფლები არიან.

ჩემს რვეულებში ასობით მსგავსი ისტორია მაქვს ჩაწერილი.

■ ■ ■

ლტოლვილს ნებისმიერ საუკუნეში თუ ნებისმიერ ქვეყანაში დისკომფორტი შეჰქონდა, მისი სიმრავლე მკვეთრად ცვლიდა ამა თუ იმ რეგიონში ადრე, სისხლისმღვრელ კონფლიქტამდე არსებულ წესსა და რიგს (გაიხსენეთ თუნდაც შუა საუკუნეების იტალია).

მაგრამ ლტოლვილს ასევე პროგრესი შეჰქონდა ნებისმიერ ქვეყანაში, ანვითარებდა ვაჭრობას, ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას (გაიხსენეთ, თუნდაც იგივე შუა საუკუნეების იტალია).

ნებისმიერი დროის ლტოლვილების ცხოვრება ხშირად წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს თავიანთი სულიერი განცდებით, ფსიქოლოგიური ფორიაქით, სასოწარკვეთილი მდგომარეობის ძლევის, ცხოვრების განახლების, ღირებულებათა გადაფასების უნარით.

ლტოლვილს ბევრ ადამიანზე გაუტყდა გული - ნათესავზე, მოკეთეზე, ახლობელზე... და, ამავე დროს, მისი ტრაგედიის დიდი დეპრესიის პერიოდში ბევრი მეგობარი, კეთილშობილი ადამიანი შეიძინა.

ბევრი დაკარგა და ბევრი იპოვნა.

ლტოლვილი თვისობრივად სხვა ადამიანი გახდა. ის გასაჭირმა, სულიერმა ტკივილმა დააბრძენა.

ის ნაღალატევია ყველა მთავრობისაგან, ყველა პოლიტიკოსისაგან, ის არ დაინდო არავინ, მან ყველას უნდობლობა გამოუცხადა. მე უღელტეხილზე ვნახე ახალგაზრდა მამა, რომელსაც ხელში მოკვდავი შვილი ეჭირა, თუ როგორ წყევლიდა ყველა პოლიტიკოსს, ყველას, ვისაც იოტისოდენა ცოდვა ჰქონდა ჩადენილი აფხაზეთის ომის დაწყებაში, წყევლიდა თითოეულ ჩვენგანსაც და უძლურებისაგან ქვითინებდა.

მე მინახავს, როგორ ტიროდა აფხაზი დედა თავის ეზოში, შვილის საფლავთან. ის ტიროდა უხმოდ, მას არ სდიოდა ცრემლები... და ამიტომაც მისი ტკივილი კიოდა ჩემთვის იმ დროს და ახლაც ჩამესმის. ის კივილი ამ წიგნში შესული სხვა წერილის თემაა. პოეტის არ იყოს, ომში გასროლილი ნებისმიერი ტყვია დედას ხვდება გულში.

■ ■ ■

ლტოლვილს დღეს არ ჰყავს ლიდერები და თუ ეგონა, რომ ჰყავდა, ისინი ლტოლვილის სახელით მოსპეკულიანტე, ყალბი ლიდერები აღმოჩნდნენ. მათსა და ლტოლვილს შორის უზარმაზარი უფსკრულია.

ბარემ ოთხ ასეთ პოლიტიკოსს ვიცნობ, რომლებიც ერთსა და იმავე დროს, თითოეული ცალ-ცალკე ამტკიცებდა, რომ მათ ზურგს უკან 300.000 ლტოლვილი დგას. ის პოლიტიკოსები ერთმანეთის პირადი მტრები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ერთმანეთს დასანახავადაც ვერ იტანდნენ, ამიტომაც შეუძლებელი იყო, თითოეულის ზურგს უკან ერთი და იგივე ადამიანები მდგარიყვნენ. ამიტომაც, მათი უნიჭო განცხადებების შემდეგ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იმ ოთხი კაცის ზურგს უკან უთვალავი, ოთხჯერ სამასი, ანუ მილიონ ორასი ათასი ლტოლვილი იდგა.

მე ვთხოვ თითოეულ მათგანს - მოიხედოს და თუ მათ ზურგს უკან რამდენიმე ლტოლვილი მაინც დგას, კარგად დააკვირდეს მათ სახეებს.

ის პოლიტიკოსები დღესაც სხვებთან ერთად ხელაღებით უარყოფენ თავიანთი პასუხისმგებლობის წილს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, დამნაშავეებს მხოლოდ სხვა ადამიანებში, სხვა ქვეყნებში, სხვა ვითარებებში ეძებენ.

მათ საერთო-სახალხო, მასობრივი სკლეროზის იმედი აქვთ.

■ ■ ■

ჩვენ, ყველანი, სტერეოტიპების ოკეანეში ვტივტივებთ, საკუთარი თუ სხვა საზოგადოებების, პირადი, მცდარი, ლიგიკური, არალოგიკური თუ უამრავი სხვა სახის სტერეოტიპის ოკეანეში. ეს ოკეანე განსაკუთრებით ლტოლვილს არ ინდობს და მას ხშირად ხან მოულოდნელი, არარეალური, ხანაც ერთმანეთის საპირისპირო თვისებებით აჯილდოებს.

აი, ზოგიერთი მათგანიც:

- ზოგიერთისთვის ლტოლვილობა ფიზიკური ნაკლია: "მელოტები, დაბლები და ლტოლვილები ნუ გამომეხმაურებიან".

- ლტოლვილობა პროფესიაა: როგორც ახლახან ვახსენე, წერილს ხელს აწერენ: ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი და ლტოლვილი.

- ლტოლვილი მოღალატეა: საქართველოში გაიგონებთ, რომ ლტოლვილმა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ლტოლვილი და თავის სახლში ცხოვრობდა, არ იომა, არ აიღო იარაღი.

- ლტოლვილი დამნაშავეა: აფხაზეთში იმეორებენ, რომ ლტოლვილმა იარაღი აიღო და იომა.

- ლტოლვილი ლაჩარია: საქართველოში გაიგონებთ, რომ ლტოლვილი დარეგულირების საქმე.

კონფლიქტების გაჭიანურება მათ დარეგულირებაში ჩართული ზოგიერთი უნიჭო "მოლაწის" სინდისზეცაა.

ლტოლვილის არსებობა ბევრს აძლევს ხელს. ზოგიერთისათვის ლტოლვილი პოლიტიკური ქულების მოპოვების საშუალებაა, ზოგიერთისათვის - სატრენინგო-სასემინარო მასა.

ზოგიერთი ლტოლვილზე ისე საუბრობს და ისე წერს, თითქოს საქმე ავეჯის გადაადგილება-გადმოადგილებას ეხებოდეს. ამის მაგალითია ასეთი ფრაზები: "აი, ჩვენ ახლა ლტოლვილებს დავაბრუნებთ და მერე სხვა პრობლემებს მოვუვლით", "ლტოლვილები დროებით კი არა, სამუდამოდ გადაადგილებულები არიან", "ლტოლვილები ისევ გადასაადგილებლები არიან" და მრავალი სხვა.

ზოგიერთები ისე "წყვეტენ" საკითხებს, რომ არც აფხაზურ საზოგადოებას, არც ლტოლვილებს არაფერს ეკითხებიან და პრობლემებს მათ გარეშე "არკვევენ".

ზოგიერთი ლტოლვილებს დაუფარავად განიხილავს, როგორც დამნაშავეებს, ან ზედმეტ ადამიანებს.

ზოგმა კი მხოლოდ ლტოლვილს აჰკიდა უმძაფრესი დაპირისპირების მთელი სიმძიმე.

სამწუხაროდ, ლტოლვილზე ნაკლებად საუბრობენ სახალხო დიპლომატიის ეგიდით გამართულ შეხვედრებშიც.

■ ■ ■

დადგა დრო, ომის მიზეზით გამოწვეული გაურკვევლობისაგან გადაღლილი ქართული და აფხაზური საზოგადოებები თანდათან დაემშვიდობონ ძველ ილუზიებს და ძველ ფორმულებს (მაგალითად, ლტოლვილის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება სულაც არ ნიშნავს პრობლემის მოხსნას, ან პირიქით - არც მისი არდაბრუნება ასრულებს კონფლიქტს. ჩვენი პრობლემა ბევრად უფრო რთულია და ფაქიზი).

ახალი ცხოვრების დადგომას მხოლოდ ახალი ხედვა და ახალი, შემოქმედებითი გადაწყვეტილებები, ვითარების რეალური შეფასება დააჩქარებს.

დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთად უნდა აღმოაჩინონ ის საერთო საყრდენი, რომელიც ერთნაირად მყარი იქნება ორივე საზოგადოებისათვის.

გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი, ვთქვათ, ჭაობში სანახევროდ ჩაძირული, შორი შეძახილებით არავის ამოუყვანია. თუ მისი შველა გინდა, კეთილი უნდა ინებო და შენც იმ ჭაობში ჩახვიდე, ხელი მოხვიო მას და ისე ამოიყვანო იქიდან.

ადამიანი - გადასარჩენი და ადამიანი - გადამრჩენი თითოეულ ჩვენთაგანშია და მიუხედავად იმისა, რომელი საზოგადოებისა თუ ეროვნებისანი ვართ, რა უბედურება და რა ტკივილები გადავიტანეთ, ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ.

ჩვენ კვლავ უნდა გავხდეთ ერთმანეთის ჭირისუფლები თუნდაც იმიტომაც, რომ თუ ამ ქვეყანაზე ერთი უბედური ადამიანი მაინც დაიარება, სხვა დანარჩენები ვერასოდეს იქნებიან ბედნიერები.

ქვეყანას სიძულვილი არ აშენებს.

ქვეყანას აშენებს სიყვარული.

არის ერთი შესანიშნავი ხალხური ლექსი, რომელშიც ნათქვამია "რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია". მწამს, ასეთ ლექსს მხოლოდ ომდა მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი კაცი დაწერდა (ხალხურ ლექსს ხომ თავდაპირველად ერთი, კონკრეტული ავტორი ჰყავს).

ადვილი შესაძლებელია, რომ ის კაცი ლტოლვილი იყო.

გურამ ოდიშარია

წიგნიდან "წერილები უკეთეს კაცობრიობას"

რობერტ სტურუამ "რომეო და ჯულიეტა" დადგა

B2

რატომ მოიხსნა ჰოლ მაკარტნის მეუღლემ პროთეზი

B3

რას შვრებიან მდიდრები, ლამაზები და წარმატებულები

B7

მთავარი საქართველოს ერთიანობაა

სოფო ბუკია

"პუტინმა ძალიან მნიშვნელოვანი რამ განაცხადა. სააკაშვილთან საუბარში მან აღნიშნა, რომ რუსეთის მხარე მზად არის, სამხრეთ ოსეთის გარშემო საკითხები სამართლიანად გადაწყდეს და პროცესმა დინამიკური ხასიათი მიიღოს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთის პრობლემას სხვაგვარად ჰკიდებს ხელს,"- აცხადებს მოსკოვიდან დაბრუნებული საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა.

- ბატონო გოგა, პირველ რიგში, უახლესი ინფორმაცია მოგვაწოდეთ, რა კონკრეტულ საკითხებზე ისაუბრეთ გუშინ ცხინვალში გამართულ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე?

- გუშინ სამხრეთ ოსეთის მხარემ გააკეთა განცხადება, რომ ცალმხრივად მოხსნიან ბლოკ-პოსტებს და ჩვენც მოგვიწოდებენ, იგივე გავაკეთოთ. ცხადია, ჩვენ მივესალმებით ამ ნაბიჯს, მაგრამ ჩვენთვის პოსტების მოხსნა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ ამ ნაბიჯმა რეალური შედეგი არ გამოიღო. შედეგში რა იგულისხმება - მთავარია, ადამიანებს მიმოსვლის შესაძლებლობა ჰქონდეთ, ხელი არ შეეშალოს ჰუმანიტარული აქციების ჩატარებას და თავისუფლად იმოძრაონ ჟურნალისტებმა. თუ დავინახავთ იმას, რომ ეს ყველაფერი შეუფერხებლად სრულდება, ბუნებრივია, ჩვენც ადეკვატურ ზომებს მივიღებთ. ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ ერთმანეთს ხელი შევუშალოთ. პირიქით, გვინდა მივაღწიოთ იმ მიზანს, რომელსაც ჩვენი ერთიანობა ჰქვია. გუშინდელი შეხვედრა სამხრეთ ოსეთის მხარის ინიციატივა იყო და მას ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელიც ესწრებოდა. სხვათა შორის, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ შეხვედრის შესახებ გადაწყვეტილება მოსკოვის ხელშეწყობით იყო მიღებული.

- თქვენ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდით მოსკოვიდან. რა კონკრეტული შედეგებით გამოირჩეოდა თქვენი ვიზიტი?

- მოგეხსენებათ, 30 ივნისს შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა უნდა გამართულიყო. ჩვენი დელეგაცია სამუშაოდ და კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად იყო განწყობილი. ამას მოწმობს ისიც, რომ დელეგაციაში ჩართული იყო შინაგანი ჯარების სარდალი გოგი თავთუხაშვილი, საფინანსო პოლიციის ხელმძღვანელი დავით კეზერაშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბატონი ონიანი... შვიდკაციანი შემადგენლობით ვიყავით. თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენმა დელეგაციამ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამის მიზეზი ოსეთის მხარის მიერ დაკავებული, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამი თანამშრომელი გახლდათ. მერე იყო ის ცნობილი ინციდენტი, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ დავალებათა ელჩმა და სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ბატონმა მაიოროვმა უარი განაცხადა, ეცნო რუსეთ-საქართველოს საზღვარი, რითიც პრაქტიკულად დაადასტურა თავისი არაობიექტურობა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მოლაპარაკებებზე საუბარი ძნელი იყო.

მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროში არაოფიციალურ დონეზე შევხვდით და ვესაუბრეთ ბატონ ლოშინინს. მე მქონდა შეხვედრა უშიშროების საბჭოს მდივნის პირველ მოადგილესთან, ბატონ ზუბაკოვთანაც. ბატონი ზუბაკოვი საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა. ჩვენ ძალიან ღრმა და ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთში ამ საკითხის გარშემო ინიციატივა უშიშროების საბჭოში გადადის. შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაში რუსეთის უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი მანამდეც მონაწილეობდა და ამჟამადაც, ჩემი ინფორმაციით, იხილება საკმაოდ სერიოზული კანდიდატურა, რომელიც ამ პროცესს ჩაუდგება სათავეში.

- ეს გარემოება მოლაპარაკებების პროცესზე იმოქმედებს?

- ჩვენთვის ეს აბსოლუტურად მისაღები და ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთის სახელისუფლებო იერარქიაში უშიშროების საბჭოს როლი საკმაოდ მაღალია. რუსეთის უშიშროების საბჭო ყოფილი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული და მათ რეკომენდაციებს რუსეთის ხელისუფლებაში დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენთვის ეს იქნება იმის დამადასტურებელი, რომ რუსეთის მხარემ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელს, რაც თავისთავად უკვე მნიშვნელოვანია.

- მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის საუბრის დეტალები თქვენთვის ცნობილია?

- პირველ დღეს პრეზიდენტები ერთმანეთს დიდ თეატრში შეხვდნენ, თუმცა იქ, ცხადია, საქმიანი საუბრის საშუალება არ იყო. დოღის შემდეგ კი პუტინსა და სააკაშვილს შორის საათნახევრიანი საუბარი შედგა. ამ არაოფიციალური სამიტის ცენტრალური ფიგურები პუტინი და სააკაშვილი გახლდათ და ეს ყველასთვის ნათელი იყო. ბუნებრივია, საუბარი ცხინვალის რეგიონის პრობლემასაც შეეხო. პუტინმა ძალიან მნიშვნელოვანი რამ განაცხადა. მან აღნიშნა, რომ რუსეთის მხარე მზად არის, სამხრეთ ოსეთის გარშემო საკითხები სამართლიანად გადაწყდეს და პროცესმა დინამიკური ხასიათი მიიღოს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ რუსეთში ამ პრობლემას სხვაგვარად ჰკიდებენ ხელს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებაა რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან.

- თუმცა, კონკრეტული შედეგები ჯერ არსად ჩანს... უფრო მეტიც, ოსები დიალოგზეც კი არ მოდიან...

- არ მოდიოდნენ... დიალოგზე კი მოდიოდნენ, მაგრამ კონკრეტულ საქმეებზე არ მოდიოდნენ. სწორედ ეს მაფიქრებინებს იმას, რომ მოსკოვში ჩვენს ჩასვლას უკვალოდ არ ჩაუვლია.

- უშიშროების სამინისტროს სამი თანამშრომლის გათავისუფლებას გულისხმობთ? კოკოითმა ეს ფაქტი საკუთარ "კეთილ ნებას" მიაწერა...

- ცხადია, მათი გათავისუფლების ბრძანება მოსკოვში გაიცა, ეს დანამდვილებით ვიცი. კოკოითი რას უწოდებს, ეგ მაგისი საქმეა. თუმცა, ჩემთვის გაუგებარია გარკვეული გარემოებები, რაც ამ ინციდენტს მოჰყვა - რაღაც არაკომპეტენტური შეხვედრები, ხვეწნა-მუდარა და ა.შ.

- ქართული მხრიდან?

- ნუ დავაკონკრეტებთ. არსებობს პროფესიული ეთიკა და, საერთოდ, ყველაფრის თეატრად გადაქცევა, ჩემი აზრით, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს.

- თქვენ აცხადებთ, რომ ყველაფერში კონკრეტული შედეგი უნდა ვეძებოთ. მოსკოვში ვიზიტის კონკრეტული შედეგი რა არის?

- პირველი - უშიშროების სამი თანამშრომლის გათავისუფლება. და, რაც მთავარია, პუტინმა დაუდასტურა სააკაშვილს, რომ რუსეთის მხარე მზად არის სამხრეთ ოსეთის პრობლემა მოგვარებულ იქნას. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსკოვი მზად არის, კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. თქვენ კარგად იცით, რომ ცხინვალი უმნიშვნელო გადაწყვეტილებასაც კი არ იღებს ისე, თუ მოსკოვს არ დაეკითხა.

- მოსკოვში ხშირად ისმის განცხადებები, რომლებიც რეალურად არ სრულდება. რა გარანტიაა, რომ ეს მორიგი მსგავსი განცხადება არ იქნება?

- ჩვენთვის სასინჯი ქვა ძალიან მარტივია. ეს არის როკის გვირაბი. თუ როკის გვირაბზე საქართველოს საფინანსო პოლიციის თანამშრომლები გამოჩნდებიან, ეს იქნება იმის დამადასტურებელი, რომ როგორც რუსეთის, ისე სამხრეთ ოსეთის მხარე მზად არის, დაიწყოს პრობლემის რეალური მოგვარება. ეს არის ძალიან მარტივი და ძალიან თვალსაჩინო სასინჯი ქვა. ეს საკითხი ჩვენ, დაახლოებით, ერთი თვის წინ, რუსეთის დელეგაციის თბილისში ყოფნისას დავაყენეთ.

- ამ საკითხზე საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებმაც ისაუბრეს?

- ცხადია, კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა პრეზიდენტების საქმე არ არის, მათ სტრატეგიული გეზის შეთანხმება ევალებათ, თუმცა, ჩემი ინფორმაციით, ეს საკითხი იქაც იყო დაყენებული.

თუ ჩვენ შერიგება გვინდა, როგორც მინიმუმ, ერთმანეთს ხელი უნდა ჩამოვართვათ. ქართული საფინანსო პოლიციის როკის გვირაბზე გამოჩენა სწორედ ხელის გაწოდებას ნიშნავს - აი, მე გიწვდი ხელს და მოდი, ერთად გავაკონტროლოთ სიტუაცია, მოვხსნათ პრობლემები... შემოდის კონტრაბანდა, ვისი ბრალია, სად მიდის და ა.შ. - ერთად გადავწყვიტოთ ეს საკითხები...

- მერე და ამაზე სამხრეთ ოსეთი წამოვა? გაიხსენეთ, რა ისტერია მოჰყვა ანტიკონტრაბანდულ ოპერაციას...

- ვნახოთ. ნუ ვიჩქარებთ, ყველაფერი გამოჩნდება. ეს უახლოეს დღეებში, კვირებში გამოჩნდება.

ჩვენი პოზიცია ძალიან მყარია და საოცრად მარტივი. ძირითადი პრეტენზიები, რომლებიც ჩვენ რუსეთის მხრიდან გვესმის, არის ის, რომ ორივე მხარე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს. ეს, ძირითადად, ეხება სწორედ იმ ანტიკონტრაბანდულ ოპერაციას, რომელიც ცხინვალის რეგიონში ტარდება და საბაბად გამოყენებულია კონფლიქტის ზონის შიგნით ჩვენი პოლიციური ძალების არსებობა. მინდა გითხრათ, რომ ეს საერთოდ არ არის დარღვევა. შეთანხმების თანახმად, კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები არ უნდა იმყოფებოდნენ, პოლიციის მოქმედება კი არანაირად არ არის შეზღუდული.

და კიდევ ერთი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ შეთანხმება, რომელიც იქ მოქმედებს, დადებულია ორ ქვეყანას შორის - რუსეთსა და საქართველოს შორის. სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ამ პროცესებში ჩართვა კი, უბრალოდ, ჩვენი მხარის კეთილი ნება იყო და დღესაც არის. ჩვენი კეთილი ნება სწორედ ის არის, რომ დარწმუნებულები ვართ, სხვაგვარად ამ კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია. თუმცა, ყველას მინდა ვუთხრა, რომ ჩვენი მხრიდან ნებისმიერი კეთილი ნების ნაბიჯი არ უნდა იყოს აღქმული, როგორც სისუსტე. ეს არის, უბრალოდ, იმის დასტური, რომ ჩვენ ნამდვილად მზად ვართ, ეს კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ მოვაგვაროთ, რომ ჩვენ ეს ნამდვილად გვინდა. ამის გამო მზად ვართ, კომპრომისებზე წავიდეთ, მზად ვართ, არაპოპულარული ნაბიჯებიც გადავდგათ.

- არაპოპულარულ ნაბიჯებში რას გულისხმობთ?

- ყველამ კარგად იცით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს პარლამენტის მიერ გაუქმებულია. ასეთი იურიდიული ერთეული არ არსებობს. დღეს ჩვენ მზად ვართ, არა მარტო აღვადგინოთ იგი, არამედ ფედერალური მოწყობის გზით წავიდეთ. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ქართულ მოსახლეობაში დიდი პოპულარობით ნამდვილად არ სარგებლობს, მაგრამ მზად ვართ, დავუმტკიცოთ როგორც ჩვენ მოსახლეობას, ასევე ოპონენტებს, რომ ეს არის ჩვენი განვითარების, ჩვენი მომავლის ერთადერთი გზა. ეს გზა არაფერს ცუდს არ უქადის საქართველოს არც ერთ მოქალაქეს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი. ეს არის გზა, რითიც ქვეყნის ერთიანობა და სიმტკიცე დაცული იქნება. შეიძლება აღადგინო საზღვრები, მაგრამ ამ საზღვრების შიგნით ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ მტერს და ავს.

ყველა დონის მოლაპარაკებებზე ჩვენ მათ ვეუბნებით: დავსხდეთ, დავილაპარაკოთ, მზად ვართ, შემოგთავაზოთ იმაზე მეტი, ვიდრე გქონდათ, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთს აქვს.

ისტორიული ფაქტი მოხდა, აჭარა არის ავტონომია. ჩვენ ამას ვეგუებით, ჩვენ ამაზე მივდივართ. სამხრეთ ოსეთი ავტონომიური ოლქი იყო? ჩვენ მზად ვართ, დღეს მათ უფრო მეტი უფლებები მივცეთ...

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიზანი ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა და სიმშვიდეა და არა, ასე ვთქვათ, ფორმალურად რაღაცის ცნობა და აღიარება. ეს არ არის ჩვენი მიზანი. ამიტომ მზად ვართ, კომპრომისებზე წავიდეთ. საქართველოს ხელისუფლება ღიაა ნებისმიერი სახის მოლაპარაკებებისთვის. თუმცა, მოლაპარაკებები და შეხვედრები თვითმიზანი არ არის, ჩვენთვის შედეგია მთავარი.

დღეს აბსოლუტურად არ გვაკმაყოფილებს ის ტემპი, რა ტემპშიც ქართულ-ოსური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მაგრამ ქართული ანდაზაა - მოჩქარეს მოუგვიანდესო, ამიტომ ჩვენ არ უნდა ვიჩქაროთ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ვეძებოთ შედეგი. პრეზიდენტმაც არაერთხელ განაცხადა, რომ არ უნდა ვიჩქაროთ და ამ საკითხის მოგვარებას დინჯად მივუდგეთ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული არ იქნება და რაღაც შედეგებს ყოველდღიურად არ გავაკონტროლებთ.

- კონფლიქტების მიმართულებით ქართული პოლიტიკის მთავარი ნაკლი, წლების განმავლობაში, სწორედ საბოლოო მიზნის გაურკვევლობა იყო. ჩვენ თვითონ არ ვიცოდით, რა გვინდოდა. ხელშესახები შედეგების არარსებობის მიუხედავად, საქართველოს ახალი ხელისუფლება აშკარად უფრო მიზანმიმართულად მოქმედებს...

რას ეფუძნება ახალი ხელისუფლების გეგმა?

- განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე და ტერიტორიებზე ლაპარაკობდა, დღევანდელი ხელისუფლების გეგმაა საქართველოს ერთიანობის აღდგენა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ერთიანობის აღდგენას შორის დიდი განსხვავებაა. ყველამ უნდა იგრძნოს ეს განსხვავება. ჩვენ გვინდა ერთიანობა აფხაზებთან, ოსებთან, ყველა იმ ეროვნების ადამიანთან, ვინც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს. ჩვენ გვინდა, ყველა ერთად შევიდეთ ევროპულ ოჯახში. ჩვენი ერთიანობა ტერიტორიულ მთლიანობასაც მოიტანს. ჩვენ, ოსები, აფხაზები უნდა გავერთიანდით მისწრაფებებში, მიზნებში - ეს არის მთავარი.

- ეს საკმაოდ ძნელი მისაღწევია. რა მექანიზმები აქვს საქართველოს ხელისუფლებას საამისოდ?

- პირველ რიგში, ჩვენი ზნეობა.

- უფრო კონკრეტულად?

- კონკრეტულად ის საქმეები, რომელსაც ყოველდღიურად ვაკეთებთ, საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული კურსი. აი, ეს არის მექანიზმები. ისინი უყურებენ, რა გზით მიდის საქართველო. როგორ ვითარდება საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური ცხოვრება. მათთვის ხელსაყრელი უნდა იყოს ჩვენთან თანაცხოვრება. არა გვაქვს იმედი, რომ ამ დასკვნამდე ოსები ერთ დღეში მივლენ. სამხრეთ ოსეთის პრობლემას ერთ კვირაში ვერ მოვაგვარებთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმა და ამ გეგმას აქვს თავისი დრო. ბევრს ჰგონია, რომ რადგან აჭარაში მოვლენები ასე სწრაფად განვითარდა, ოსეთშიც ასე იქნება. ოსეთში და აფხაზეთში ასე ვერ იქნება. სიტუაცია უნდა მომწიფდეს. ყველა სხვადასხვა მომენტში ხედავ, როდის არის მწვადი მზად. რთველს ერთი ადრე იწყებს, მეორე გვიან. ჩვენ თვითონ მივხვდებით, როდის მომწიფდება სამხრეთ ოსეთის საკითხი. პროცესი მიდის, მაგრამ მომწიფებული ჯერ არ არის.

- თუმცა, სასუქი უკვე მოყრილია, არა?

- კი, სასუქი შეტანილია. მარტო სასუქი საკმარისი არ არის. მოსავალი რომ აიღო, დიდი ოფლისღვრაა საჭირო. იმას მოვლა უნდა, მოთოხნა, გასხლვა და ა.შ. სიყვარული უნდა, მოფერება, შრომა და, რაც მთავარია, მოთმინება. თუ ასე ველოლიავებით, აუცილებლად კარგი მოსავალი იქნება.

იცით, რა არის დღევანდელი ხელისუფლების გეგმის თავისებურება? ჩვენ ნათლად გვესმის, რომ მთავარია, ოსები დაგვიბრუნდნენ, აფხაზები დაგვიბრუნდნენ... თორემ ცხინვალი, სოხუმი, კავკასიონი და შავი ზღვა ისევ თავის ადგილას არიან, არსად არ წასულან. ჩვენ ტერიტორიებზე არ ვამახვილებთ ყურადღებას. ჩვენ ხალხი დავკარგეთ და არა ტერიტორიები, ეს არის მთავარი. ხალხი უნდა დავიბრუნოთ. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, წინამორბედისგან განსხვავებით, საკითხს სწორედ ასე აყენებს და სწორედ აქ არის პრობლემის გასაღები.

ჩვენი ოპონენტებიც უნდა მიხვდნენ, რომ სხვა გზა, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მზად ვართ, კომპრომისებზე წავიდეთ, დავაკმაყოფილოთ მათი სასიცოცხლო ინტერესები, მივცეთ გარანტიები განვითარებისთვის, წინსვლისთვის. მათაც უნდა ესმოდეთ, რომ არსებობს პრინციპები, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება არასოდეს გადავა... ევროპისკენაც ერთად უნდა წავიდეთ...

- ჯერჯერობით, მათ რუსეთთან სიარული ურჩევნიათ...

- ეს არ მოხდება. რუსეთთან შეერთება სრული ილუზიაა, ეს არ მოხდება, არავითარ შემთხვევაში. და ნურავის ნუ ექნება საქართველოს სისუსტის იმედი. საქართველო იმაზე სუსტი, დაჩაჩანაკებული და გაუბედურებული, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინ იყო, არასოდეს აღარ იქნება. როგორი უსუსურიც არ იყო საქართველო და როგორი რეაქციულიც არ იყო რუსეთი, სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის ჩამოცილება მაშინაც კი ვერავინ გაბედა. დღეს კი ამას მით უმეტეს ვერავინ გაბედავს. საქართველოს ხელისუფლებაც შეიცვალა, და რუსეთსაც, მადლობა ღმერთს, პრაგმატულად მოაზროვნე ხალხი უდგას სათავეში. მორჩა, ის დრო დამთავრდა. ეს ყველამ უნდა გაიაზროს. ოსებიც, აფხაზებიც და სხვებიც რეალობიდან უნდა გამოვიდნენ. ილუზიებით ცხოვრება, პირველ რიგში, მათთვის და მათი შვილებისთვის არის საზიანო.

- უახლოეს ხანში რაიმე მოლაპარაკებები ხომ არ არის დაგეგმილი?

- ცხადია, ჩვენ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან მჭიდრო კონტაქტს გავაგრძელებთ. ჰუმანიტარული, ეკონომიკური, სარეაბილიტაციო აქციები იგეგმება. გუშინ სწორედ ამ საკითხებზე ევროკავშირის წარმომადგენლებთან მქონდა შეხვედრა. ევროკავშირი და, ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოება ძალიან დიდ თანხებს გამოჰყოფს სარეაბილიტაციო პროექტების განსახორციელებლად. ჩვენ გვაქვს ორმხრივი შეთანხმებები, საერთაშორისო ვალდებულებები. ჩვენ ამ ვალდებულებებს შევასრულებთ და ყველა, ვინც ამ პროცესს წინ აღუდგება, აღუდგება კანონს, რასაც დღეს საქართველოში არავის ვურჩევ.

- იმ ადამიანს რა ბედი ელის, რომელიც სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ აჭარაში დასვენებისთვის დააკავა და სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა?

- ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეა. საქართველოს არც ერთი მოქალაქის დაჩაგვრას და უსამართლოდ დასჯას ჩვენ არ დავუშვებთ. მე ვაძლევ სრულ გარანტიას იმ ადამიანს, რომ მას დავიცავთ და იმ ადამიანებსაც, რომლებიც მის დაჩაგვრას აპირებენ, რომ ისინი უმკაცრესად დაისჯებიან.

ჩვენ ნათლად გვესმის, რომ მთავარია, ოსები დაგვიბრუნდნენ, აფხაზები დაგვიბრუნდნენ... თორემ ცხინვალი, სოხუმი, კავკასიონი და შავი ზღვა ისევ თავის ადგილას არიან, არსად არ წასულან.

ლევან ხარჩილაძის ფოტო

ჩვენ ხალხი დავკარგეთ და არა ტერიტორიები, ეს არის მთავარი. ხალხი უნდა დავიბრუნოთ

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
პაატა ბურჭულაძის გასტროლი
ჯუზეპე ვერდი
"დონ კარლოსი"
დირიჟორი: დ. მუქერია
დას: 19:00 სთ

კინოთეატრები

ამირანი
"სკუბი დუ 2"
დას: 13:00; 15:00 სთ.

"მაგარი გოგოები"
დას: 17:00; 20:00; 22:00 სთ.

გოეთეს ინსტიტუტი
კინოს მეგობართა კლუბი
ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა
(ფრანგული პერიოდი)
"პეპლებზე ნადირობა"
დას: 17:00 სთ.

გამოფენები

"ძველი გალერეა"
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ბავშვთა კერამიკული სტუდიის მოსწავლეების: გიგიშა პაჭკორიასა და მაკა მზარეულიშვილის ნამუშევართა გამოფენა

"ბაიას გალერეა"
ამერიკელი მხატვრის ჰენრი უერდემანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

TMS
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
გამოფენა "ერთიანი საქართველოსთვის"

"ჰობი"
"ჩვენი პალიტრა" - თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

ბავშვთა სურათების გალერეა
"ხელოვნება და ბავშვები"

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ოთხშაბათს, 7 ივლისს, 18 საათზე შედგება გია ლაფაურის წიგნის, "წიგნის მოგზაურობა ისტორიაში", პრეზენტაცია

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

მზრუნველობამოკლებული ბავშვების ახალი მზრუნველი

პაატა ბურჭულაძე საქართველოში საქველმოქმედო საქმიანობას იწყებს

მადი სერებრიაკოვა

არსებობს შეხედულება, რომ საქველმოქმედო, ჰუმანიტარული საქმიანობა მდიდარი და გავლენიანი სახელმწიფოებისა და ადამიანების ხვედრია. ბიბლიური იგავი მოხუცზე, რომლის მიერ შეწირული რამდენიმე გროში უფრო სასურველი აღმოჩნდა ღმერთისთვის, ვიდრე სხვათა ოქრო-ვერცხლი - საწინააღმდეგოს ქადაგებს. ასეა თუ ისე, საკუთარ გაჭირვებულ და დაჩაგრულ მოქალაქეებზე ზრუნვა, პირველ რიგში, საქართველოსა და ქართველებს ჰმართებთ - მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ამისთვის დღეს ბევრს არ სცალია. ცნობილი ქართველი ბანი, რომელიც საქართველოსა და ქართველებს ისედაც ხშირად ჩუქნის საკუთარ თუ მისსავე გამოჩენილ მეგობართა კონცერტებს, ამჯერად ქველმოქმედებისთვის უფრო კონკრეტულ ობიექტს ირჩევს. იგი თბილისში ფონდ "იავნანას" აარსებს, რომელიც ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დაეხმარება.

პაატა ბურჭულაძე იმ ვარსკვლავების რიცხვს მიეკუთვნება, რომელნიც, მიუხედავად დაძაბული საერთაშორისო სამუშაო გრაფიკისა, ყოველთვის პოულობდნენ დროს საქართველოსთვის.

ბესო გულაბვილის ფოტო

პაატა ბურჭულაძე იმ ვარსკვლავების რიცხვს მიეკუთვნება, რომელნიც, მიუხედავად დაძაბული საერთაშორისო სამუშაო გრაფიკისა, ყოველთვის პოულობდნენ დროს საქართველოსთვის. რომ აღარაფერი ვთქვათ მის საკუთარ კონცერტებზე, რად ღირს თუნდაც რამდენიმე წლის წინათ გამართული ფესტივალი "ბრავო". ფესტივალმა თბილისში ისეთი მასშტაბის ვარსკვლავები ჩამოიყვანა, რომელთა ერთად ნახვითაც ნებისმიერი განვითარებული ქვეყანა იამაყებდა: რენატო ბრუზონი, კატია რიჩარელი და სხვები.

მიუხედავად ამისა, პაატა ბურჭულაძის ახალი საქველმოქმედო პროგრამა საქართველოში მაინც სრულიად განსაკუთრებულია. ამჯერად გამოჩენილმა მომღერალმა ფონდის დაარსება გადაწყვიტა, რომელიც ობოლ და მზრუნველობამოკლებულ, ასევე ე.წ. "ქუჩის" ბავშვებზე იზრუნებს.

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის დაარსების იდეა შარშან ერთ-ერთი ბავშვთა თავშესაფრის ნახვის შემდეგ გაუჩნდა: **"სხვა არის, როდესაც სხვა გიყვებენ ვილაცის გაჭირვების შესახებ, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ამას შენი თვალით ნახავ** - აღნიშნა პაატა ბურჭულაძემ - **ჩვენ ხშირად არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ყველა ის ბავშვი, უდედმამო იქნება ის, თუ ქუჩის, რომელიც ჩვენი ქვეყნის, ხალხის სამსახურში არ ჩადგება, საბოლოოდ მისი მტერი გახდება. ამიტომ ამ ბავშვების პრობლემები მხოლოდ მათ, ან მათ ოჯახებს კი არ ეხებათ, არამედ ეს საბოლოოდ, ყოველი ჩვენთაგანის პრობლემაა."**

ფონდში პირველ შემოწირულობას, ცხადია, თავად პაატა ბურჭულაძე გააკეთებს. ამისათვის, დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გასტროლიორი და ადგილობრივი სოლისტების შესრულებით ვერდის "დონ კარლოსი" იქნება წარმოდგენილი, სადაც ერთ-ერთ მთავარ პარტიას (ფილიპი) პაატა ბურჭულაძე შეასრულებს. თავდაპირველად დაგეგმილი იყო ორი სპექტაკლი 5 და 7 ივლისს. "დონ კარლოსი" თბილისის თეატრს დიდი ხანია, არ ჩაუსვამს პროგრამაში. დასსა და ორკესტრს იგი დავიწყებული ჰქონდა, რის გამოც, სპექტაკლის აღდგენა, ფაქტობრივად, თავიდან დადგმის ტოლფასი იყო. ამის გამო 5-ში დაგეგმილი სპექტაკლი აღარ გაიმართა და ეს დრო რეპეტიციებს მოხმარდა.

ფილიპის პარტია პაატა ბურჭულაძისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. იგი უკვე იმდენადაა დამკვიდრებული მომღერლის რეპერტუარში, რომ ჩვენთან საუბრისას, ბურჭულაძემ ვერც კი გაიხსენა, თუ სად და როდის იმღერა პირველად ფილიპი. "დონ კარლოსის" ბრწყინვალე წარმოდგენებით პაატა ბურჭულაძემ მოიარა "მეტროპოლიტენ ოპერა", ბარსელონას, ვაშინგტონის საოპერო თეატრები. გაზეთი "ვაშინგტონ თაიმსი" ვაშინგტონის თეატრში შესრულებული სპექტაკლის შემდეგ აღნიშნავდა: **"ბურჭულაძე საკუთარ მხრებზე და ხმაში მთელი მსოფლიოს სიმძიმეს ატარებს, მესამე აქტის არია მრავალჭირნახული მეფის ყველაზე დიდებული პორტრეტი იყო, რაც კი მრავალი სეზონების მანძილზე მოგვისმენია"** (24.03.01).

გარდა პაატა ბურჭულაძისა, საქველმოქმედო სპექტაკლში კიდევ რამოდენიმე გასტროლიორი მიიღებს მონაწილეობას. პირველ რიგში, აღსანიშნავია მარიას თეატრის ქართველი სოლისტი მზია ნიორაძე, რომელიც ებოლის პარტიით გაუწევს პარტნიორობას ბურჭულაძეს. სულ ცოტა ხნის წინათ, ნიორაძემ თბილისში ბრწყინვალედ შეასრულა "კარმენი". ამ სპექტაკლის შემდეგ კი "დონ კარლოსის" საქველმოქმედო წარმოდგენისთვის სახელდახელოდ დარჩა თბილისში. მარიას თეატრის სოლისტია კიდევ ერთი გასტროლიორი, ბარიტონი ალექსანდრ გერგალოვიც. მარიას დასთან ერთად იგი სპექტაკლებით "ლა სკალას", "მეტროპოლიტენ ოპერასა" და "ქოვენთ გარდენის" თეატრებში გამოდიოდა. მას რამოდენიმე კომპაქტ-დისკიც აქვს გამოშვებული. მათ შორის "ომი და მშვიდობა", "პიკის ქალი", "სადკო", "ნიშნობა მონასტერში".

საქველმოქმედო წარმოდგენაში ოპერის თეატრის ადგილობრივი სოლისტებიც მონაწილეობენ. მათ შორის, ახალგაზრდა ირმა ბერძენიშვილი და საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილი ტენორი თემურ გუგუშვილი. სპექტაკლს დავით მუქერია უდირიჟორებს.

გუშინ პაატა ბურჭულაძემ და მისმა პარტნიორებმა თეატრში რეპეტიცია გაიარეს. ბურჭულაძე იმდენად კმაყოფილია, რომ ხუმრობით აღნიშნა: **"მომღერლებს ჩვენი ცრურწმენები გვაქვს. მაგალითად, როდესაც რეპეტიცია ცუდად ჩაივლის, პრემიერა კარგად გამოგვდის ხოლმე და პირიქით. გუშინ კი რეპეტიციამ იმდენად კარგად ჩაიარა, რომ უკვე მეშინია, რა იქნება პრემიერაზე..."**

გარდა "დონ კარლოსისა", პაატა ბურჭულაძეს უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ღონისძიება აქვს დაგეგმილი, რომლის შემოსავალიც ასევე მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მოხმარდება. ცოტა ხნის წინათ, ბურჭულაძემ გასტროლები გამართა ჩილეში, სანტიაგოს თეატრში. ჩილელები იმდენად მოიხიბლნენ ბურჭულაძის შემოქმედებით და მომღერლის საქველმოქმედო პროექტებით, რომ გადაწყვიტეს ახალ ფონდს საჩუქარი გაუკეთონ. საჩუქარი საკმაოდ სოლიდურია: ეს "ფაუსტის" ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების დადგმაა (დეკორაცია, განათება, კოსტიუმები და ა.შ), რომელსაც ბურჭულაძე თავის მხრივ თბილისის ოპერის თეატრს გადასცემს, მხოლოდ იმ პირობით, რომ, როდესაც სპექტაკლს თავად ბურჭულაძე იმღერებს - მისი შემოსავალი მთლიანად ფონდს მოხმარდება, ხოლო, როდესაც სხვა სოლისტები შეასრულებენ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს შემოსავლის 25 პროცენტი მოხმარდება.

ფონდის განვითარებისთვის პაატა ბურჭულაძეს დაგეგმილი აქვს მისი მეგობრების, ცნობილი საოპერო მომღერლების კონცერტებიც, რომლებიც საკუთარ შემოსავალს სწორედ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მოახმარენ.

აღსანიშნავია, რომ ფონდ "იავნანას" დაარსების შესახებ პაატა ბურჭულაძემ უკვე აცნობა პრეზიდენტს. კეთილშობილურ წამოწყებას მხარი მიხეილ სააკაშვილმაც დაუჭირა. ორ დღეში პაატა ბურჭულაძეს პრეზიდენტი უკვე იმ კონკრეტულ საკითხებზე ესაუბრება, რითაც სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერას შეძლებს.

პირველად საქართველოში - "ემი"

"ემის" შარშან ქართველი გამარჯვებულიც ჰყავდა – ლევან ადამია.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ტელეფესტივალის - EMMY International-ის აზიის ქვეყნების ფინალი საქართველოში წელს პირველად ტარდება. თბილისში ამ ღონისძიების მხარდასაჭერად უკვე ჩამოვიდნენ ამერიკის სატელევიზიო აკადემიის "ემის" პრეზიდენტი ბრიუს პეიზნერი და ტელეაკადემიის აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ლეკლერი. საქართველოში ვიზიტის დროს ბრიუს პეიზნერი საქართველოს პრეზიდენტსაც შეხვდება.

EMMY International-ის აზიის ქვეყნების ნახევარფინალის ორგანიზატორია სტუდია "სანდრო ვახტანგოვ ფროდაქშენი". თბილისის "ემის" ნახევარფინალის ჟიურის წევრებს შორის არიან ცნობილი ტელევიზიების წარმომადგენლები, მათ შორის: მიჩირო ოჰარა (იაპონიის ტრანსნაციონალური ტელეკომპანია TBS), ტაცუო უედა (იაპონიის ტრანსნაციონალური ტელეკომპანია MBC), ალექსანდრა ლეკლერი (ამერიკის კომუნიკაციების კომპანიის AOM-ის პრეზიდენტი), ლეონარდ იანოვსკი (კომპანია INTRA-ს პრეზიდენტი, ჰოლივუდი) და სხვები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საერთაშორისო აკადემია ქართული სატელევიზიო სივრცით დაინტერესებულია. სწორედ ამიტომ, აკადემიის მოთხოვნით, ჟიურის შემადგენლობაში საქართველოს ყველა წამყვანი ტელეარხის წარმომადგენელი შევიდა.

ჟიურიმ დღეს უკვე დაიწყო მუშაობა. ამჟამად სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ფესტივალის მონაწილე ფილმების დახურული ჩვენება მიმდინარეობს.

შაბათს, 10 ივლისს, კინოთეატრ "ამირანში" 2003 წლის "ემის" გამარჯვებული პროგრამების და სატელევიზიო ფილმების ჩვენება გაიმართება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, ამ ფილმების ჩვენების საფასური ძალიან მაღალია, მაგრამ ტელეაკადემიის დახმარებით ქართველ მაყურებელს მათი ნახვის საშუალება უფასოდ მიეცემა. "ამირანში" მოსაწვევებით იქნება შესვლა. ჩვენება დილის 12 საათზე დაიწყება. ამავე დღეს ამერიკის ტელეაკადემიის აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ლეკლერი ქართველი ჟურნალისტებისთვის სემინარს გამართავს.

რობერტ სტურუამ "რომეო და ჯულიეტა" დადგა

პუშკინის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე რობერტ სტურუას სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. წარმოდგენის მორიგი ჩვენება სექტემბერში ვახტანგოვის თეატრშია დაგეგმილი. Время любить მოსკოვის თეატრალური წრეების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა.

აჟიოტაჟს პრემიერის ირგვლივ მოსკოვში სპექტაკლში დაკავებული თანავარსკვლავედით ხსნიან. უცნობი გვარები მონაწილეთა შორის, ფაქტობრივად, არ არსებობს. ყოველი როლის, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელოს, შემსრულებელი არის მსახიობი, რომელიც მეტ-ნაკლებად ცნობილია მაყურებლისთვის. ამის გამო, კრიტიკოსები აცხადებენ, რომ თავად სტურუას კასტინგთან არანაირი შეხება არ ჰქონია, ხოლო მსახიობებს კომერციული მოსაზრებების გათვალისწინებით პროდიუსერები არჩევდნენ. მათი აზრით, პოპულარობის რეიტინგთან ერთად, შერჩევისას მოქმედებდა ასაკობრივი ზღვარიც: სცენაზე კატეგორიულად არ შეუშვეს 40 წელს გადაცილებულები. ვარაუდობენ, რომ ლოზუნგიც - "სიყვარულის დრო" ახალი სპექტაკლის აფიშაზე რობერტ სტურუას ჩაურევლად გაჩნდა, რადგანაც არჩევანის საშუალება რომ ჰქონოდა, სტურუა სათაურად რაიმე სხვას გამოიტანდა აუცილებლად.

"ნათქვამია, ლომი ბრჭყალებით იცნობაო. ასეა სახელოვანი რეჟისორის შემთხვევაშიც. ცალკეული, ბრწყინვალედ მოფიქრებული სანახაობრივი სცენებით ხომ შეუძლებელია, ვერ ამოიცნო რობერტ სტურუა", - წერია სპექტაკლის შესახებ გამოქვეყნებულ პირველ რეცენზიებში. თეატრალურ წრეებში რეჟისორული ნამუშევრით კმაყოფილები დარჩნენ.

ცალკეული, ბრწყინვალედ მოფიქრებული სანახაობრივი სცენებით ხომ შეუძლებელია, ვერ ამოიცნო რობერტ სტურუა.

მარიკა ამპრელაშვილის ფოტო

დიდი ხანი არ არის, რაც შექსპირის ყველაზე მოდური ტრაგედიის - "რომეო და ჯულიეტას" დასადგმელად პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში რობერტ სტურუა მიიწვიეს. მუშაობა სპექტაკლზე დღე-ღამის განმავლობაში მიდიოდა. თეატრალური წარმოდგენის საფუძვლად პასტერნაკის თარგმანი შეარჩიეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, მსახიობებს კიდევ სამი თარგმანი ჰქონდათ სამუშაოდ და დამატებით იყენებდნენ ინგლისურ ვარიანტსაც; თუმცა, ყველა ვერსიას სტურუა გზადაგზა ინტერპრეტაციას უკეთებდა. რეჟისორმა მუშაობა სპექტაკლზე დაიწყო დაპირებით, რომ დაამსხვრევდა"რომეო და ჯულიეტას" სტერეოტიპს, როგორც სასიყვარულო ახალგაზრდულ საბჭოთა პიესაზე. უფრო მეტიც, სტურუა ჰპირდებოდა საზოგადოებას, რომ მაყურებელი ნახავდა მკაცრ, დაუნდობელ ისტორიას; მოკლედ, დადგამდა ისეთ "რომეო და ჯულიეტას", როგორიც არავის უნახავს სცენაზე.

სპექტაკლში სულ თხუთმეტი მსახიობია დაკავებული. როგორც ყოველთვის, სტურუას სპექტაკლისთვის მუსიკა გია ყანჩელმა დაწერა, დეკორაციის ავტორი კი მირიან შველიძეა. ყანჩელისგან განსხვავებით, შველიძესთან სტურუამ მოსკოვში პირველად ითანამშრომლა.

რატომ მოიხსნა პოლ მაკარტნის მეუღლემ პროთეზი

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

დიადი "ბითლზის", პოლ მაკარტნის მეუღლემ მოტოციკლეტის ავარიაში ფეხი დაკარგა. მაგრამ, როცა შარვალი ან ჯინსები აცვია, ეს არ ეტყობა. ჯადოსნური პროტეზის წყალობით ის თითქმის სავსებით "ორფეხაა". მაგრამ, უცებ მისის მაკარტნიმ პროთეზის მოხსნა და ყავარჯნებზე შედგომა გადაწყვიტა.

რატომ?

ამასწინათ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ და მსოფლიო ბანკმა ისეთი სტატისტიკა გამოაქვეყნეს, ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდათ. მის თანახმად, ჩვენს პლანეტაზე მოტორიზებული კატასტროფების შედეგად ყოველწლიურად 1,2 მილიონი ადამიანი იღუპება. თუ ექსტრემალური ზომები არ იქნა მიღებული, 2020 წლისთვის საგზაო შემთხვევების მსხვერპლთა რიცხვი ორ მილიონ ადამიანს მიაღწევს. ავტოკატასტროფები სიკვდილიანობის რიგით მესამე მიზეზი გახდება, გულის სისხლძარღვთა დაავადებებისა და დეპრესიების შემდეგ (ამჟამად ისინი მეცხრე ადგილზეა). დამამძიმებელი გარემოება ისიც გახლავთ, რომ საგზაო კატასტროფების მსხვერპლის უზარმაზარ ნაწილს ახალგაზრდები შეადგენენ, და ეს ცხოვრების კვლავწარმოებასა და ხარისხს დიდ ზიანს აყენებს. "მთელ მსოფლიოში ეკონომიკური განვითარება მანქანებისა და გზების რაოდენობის ზრდას იწვევს, მაგრამ ამის შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გაზრდა გვავიწყდება," ამბობს დოქტორ ეტიენ კრუგი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დასახიჩრებისა და ძალადობის თავიდან აცილების დეპარტამენტის დირექტორი. კრუგის თქმით, ამის მიზეზები "ფატალიზმი და უმეცრებაა, იმის არცოდნა, თუ რამდენად დიდია ეს პრობლემა და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას".

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, ამ საფრთხეს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად ეკიდებიან, რაც თავად სტატისტიკაზეც ირეკლება, რომელიც მხოლოდ სიკვდილიანობას აღრიცხავს და არა დაშავებებს. ითვლება, რომ ყოველწლიურად ავტოკატასტროფებისგან მსოფლიოში 20-დან 50 მილიონამდე ადამიანი სახიჩრდება, მათ შორის ერთი მეოთხედი თავის ტვინის ტრავმას იღებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ავტოკატასტროფების პრობლემა კიბოს, ინსულტისა და გულის დაავადებების დონეზე უნდა იყოს განხილული (უკანასკნელი მოხსენება ამ თემაზე 40 წლის წინათ გამოქვეყნდა).

თვალშისაცემია ისიც, თუ როგორი თანაფარდობა არსებობს ავტოკატასტროფების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხვსა და სიღატაკის დონეს შორის. თურმე ეს უკანასკნელი პირველს განაპირობებს. მოხსენებაში ნაწინასწარმეტყველებია, რომ 2000-დან 2020 წლამდე "ავტოსიკვდილების" რაოდენობა მდიდარ ქვეყნებში 30 პროცენტით დაიკლებს, მაგრამ ღარიბ ქვეყნებში 80 პროცენტით გაიზრდება. მაგალითად, ჩინეთში 1975-დან 1998 წლამდე გზებზე სიკვდილიანობა სამჯერ გაიზარდა. 2000 წელს მდიდარ ქვეყნებში ყოველ ას ათას ადამიანზე 11,8 "ავტოსიკვდილი" მოდიოდა; ლათინურ ამერიკაში და კარიბის აუზის ქვეყნებში - 26,1; ცენტრალურ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში - 19,2; აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიაში - 19,0. და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ღარიბ ქვეყნებზე ავტომანქანების საერთო რაოდენობის 20 პროცენტი მოდის, მდიდარ ქვეყნებზე კი - 80 პროცენტი. ღარიბ ქვეყნებში ავტოკატასტროფების მრავალი მსხვერპლი ფეხით მოსიარულე და ველოსიპედისტია, აშშ-ში კი ასეთები მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენენ. აქ დაღუპულთა 80 პროცენტი მანქანაში კვდება.

მისის მაკარტნიმ პროთეზის მოხსნა და ყავარჯნებზე შედგომა გადაწყვიტა. რატომ?

ისევე როგორც ყველგან, ფული აქაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. "ბუნებრივია, რომ, ვთქვათ, ინდოეთში ყველა გზის გაუმჯობესება ძალიან ძვირი დაჯდებოდა," ამბობს დოქტორი კრუგი, "მაგრამ, მეორე მხრივ, მანქანების უმრავლესობა უკვე უსაფრთხოების ქამრებითაა აღჭურვილი, ხოლო საჭესთან სიმთვრალის წინააღმდეგ წესების დაცვა არცთუ ძვირიანი სიამოვნებაა". მისი თქმით, ტაილანდში დაღუპულთა ერთი მესამედი მოტოციკლეტისტები არიან, რომლებიც ჩაჩქანებს არ ატარებენ. არადა, მათი ტარების მარეგულირებელი წესები ხომ იოლი შესასრულებელია. სახიფათო არა მარტო ავტომანქანებია, არამედ ველოსიპედებიცა და რიქშებიც (ვიეტნამში ეს ტრანსპორტი მთელი ტრანსპორტის 95 პროცენტს შეადგენს).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მოხსენებაში დიდი ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების ზომებს. საუბარია დამწყებთა მოტოციკლეტებზე მცირე სიმძლავრის ძრავების დაყენებაზე, მანქანების დარტყმების შემარბილებელ ბორდიურებზე, გზების უკეთეს დაგეგმარებაზე და ა.შ. აქ, ცხადია, პრობლემათა პრობლემა სიჩქარეა. მისი შემზღუდველი წესები ყველგან ირღვევა.

და აი, წარმოიშვა "მწვალებლური აზრი" - მანქანების სისწრაფის ლიმიტირება, ვინაიდან თავად მძღოლებს ამის უნარი არ შესწევთ. ჭორი დაირხა, რომ თუ წლევანდელ არჩევნებში დემოკრატებმა გაიმარჯვეს, ისინი 2006 წელს აკრძალავენ იმ ავტოტრანსპორტს, რომლის ძრავასაც საათში 45 მილზე მეტი სიჩქარის განვითარება შეეძლება. და თუმცა ეს მხოლოდ ჭორია, ფრიად საეჭვო და აშკარად წინასაარჩევნო ბრძოლის ხასიათისა, ეს იდეა უკვე დიდ აღშფოთებას იწვევს. ჩესტერ ჰემპსინგი, ამერიკის მძღოლთა უფლებების ასოციაციის თავმჯდომარე, აცხადებს: "ჩვენ უკვე რამდენიმე წელია იმის მოწმენი ვხდებით, თუ როგორ იზღუდება ამერიკელ მძღოლთა უფლებები. მაგრამ, როგორც ჩანს, ვაშინგტონელმა ბიუროკრატებმა ეს არ იკმარეს. ახლა ისინი მეტისმეტად ბევრს ითხოვენ. თუ მათი განზრახვა განხორციელდა, ყველა ამერიკელი მძღოლი, ასაკისა და კვალიფიკაციის მიუხედავად, შოსეზე ისევე იღოღებს, როგორც 80 წლის პენსიაზე გასული მასწავლებელები ღოღავენ ხოლმე სოფლის შარაზე".

"სპიდომეტრის ალიკაპის" მომხრეები გვახსენებენ, რომ აშშ-ში ავტოკატასტროფებში ყოველწლიურად საშუალოდ 42 ათასი ადამიანი იღუპება, ანუ იმდენივე, რამედიც ვიეტნამის ათწლიანმა ომმა იმსხვერპლა. სიჩქარის 45 მილამდე დაყვანა ამ რიცხვს გაანახევრებს, ანუ 21 ათას ამერიკელს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. "ალიკაპის" მომხრეები ხუმრობენ, რომ, გარდა ამისა, სიჩქარის გადაჭარბებისთვის აღარავინ დაჯარიმდება. დაბოლოს - ეს უკვე სერიოზული ამბავია - 45 მილი საათში იმის ნიშანი იქნება, რომ შეერთებული შტატები საწვავზე აღარ იქნება დამოკიდებული და გარემოც სუფთა იქნება.

"ალიკაპის" მოწინააღმდეგეები, ჰემპსინგის თქმით, იმუქრებიან, რომ "ფრჩხილებით და კბილებით" იბრძოლებენ. ვფიქრობ, ისინი გაიმარჯვებენ. წარმოუდგენელია ამერიკა ან მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყანა, რომელიც იმ დროს დაუბრუნდება, როცა ჰენრი ფორდის ქარხნების ჭიშკრებიდან პირველი მოდელები იყო გამოგორებული...

პოლ მაკარტნის მეუღლემ ჯადოსნური პროთეზი გაიმეტა და ყავარჯნებს დაეყრდნო, რომ ჩვენი ყურადღება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მოხსენებისკენ მიეპყრო. ამ ახალგაზრდა და ლამაზი ქალის, ავარიამდე ფოტომოდელის თავდადებული საქციელი ნამდვილად ქებას იმსახურებს. მაგრამ, მისი საქციელი, სამწუხაროდ, დონკიხოტურია.

მონტენეგროს დაბრუნება

პარალელები პატარა და ნაომარ ქვეყანასთან

თამარ ბაბუაძე

ზოგან სიხარულით იღებენ მომრავლებულ ტურისტებს და სულ უფრო მეტი და მეტი უნდათ, ზოგან კი შორტიანი, სათვალიანი და კამერიანი ბრბო ისე აბეზრებს ადგილობრივებს თავს, რომ ცნება გლობალიზაციის მოსმენაც აღარავის უნდა.

ზოგან თვითონ მონუმენტებიც ჩივიან. მაგალითად, ჩივის ინკების მისტიკური ციტადელი მაჩუ პიჩუ. თუ "დაკარგული ქალაქის" პირველი ბინადრები, როგორც ამბობენ, ესპანელი კონკისტადორების მიერ მოტანილმა ყვავილმა გაწყვიტა, ახლა ულამაზეს მაჩუ პიჩუს განადგურებას უქადის ყოველწლიურად თავს დამტყდარი ნახევარი მილიონი ტურისტი.

მაჩუ პიჩუ ჩივის - მოქნილი, სხარტი ფეხებისთვის შექმნილი ვიწრო, ძველი კიბეები და ბილიკები თქარა-თქურით მოსიარულე ტურისტების უხეშ, დაუდევარ ნაბიჯებს ვერ უძლებს. სავარაუდოდ, ამ ჩივილს "იუნესკო" შეისმენს: ჩინეთში მიმდინარე კონფერენციაზე მაჩუ პიჩუს, ალბათ, "საფრთხის წინაშე მყოფი მსოფლიო საგანძურის" სიაში შეიტანენ.

ამასობაში კი, ტურისტების საფრთხეს საფრთხედ არ განიხილავენ მესამე მსოფლიოდან ცივილურ დასავლეთში გარდამავალი ქვეყნები. მეტიც, იქ ცნობისმოყვარე სტუმრებს ფართოდ უღებენ ქვეყანაში შემავალ ჭიშკარს. ეს ნაწილობრივ გასაგებიცაა - კარგი ცხოვრება, სტუმრებთან საკუთარი წარსულით თავმოწონება ყველას სურს, განსაკუთრებით კი მრავალწლიანი იგნორირების, და დიდ, მსოფლიო სპექტაკლში მხოლოდ მეასეხარისხოვანი როლის შესრულების შემდეგ.

ეს სურთ ბალკანეთშიც, კერძოდ კი, მის ერთ-ერთ რეგიონში, რომელსაც საბჭოთა ბლოკის პერიოდში ჩერნოგორიას ვეძახდით, დღეს კი დასავლური გავლენით მონტენეგრო ჰქვია, რაც იტალიურიდან ქართულად თარგმანში შავ მთას ნიშნავს.

ადრიატიკის ზღვის სანაპიროებით, უძველესი ეკლესია-მონასტრებით, სასახლეებით და ბუნებრივია, მთებით თავმომწონე მონტენეგროელები სულმოუთქმელად ელიან იმ პერიოდს, როცა მოახერხებენ და საბოლოოდ ამოიგდებენ მეხსიერებიდან ომიანობის წლებს და ტკბილად იცხოვრებენ შორტიანი, სათვალიანი და კამერიანი ბრბოების თანხლებით.

ცხადია, ტურიზმის ბუმის ზღვარზე მყოფ და ჯერაც ომის მოგონებებით მცხოვრებ მონტენეგროს, ბოლომდე გააზრებული არ აქვს, რომ ტურიზმი მხოლოდ აღორძინებულ ეკონომიკას, განვითარებულ ინფრასტრუქტურას და მრავალ სამუშაო ადგილს არ ნიშნავს. და რომ გამოთქმა - ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, დღევანდელ მსოფლიოში, პირველ რიგში, სწორედ ტურიზმთან მიმართებაშია აქტუალური.

ადრიატიკის ზღვის სანაპიროებით, უძველესი ეკლესია-მონასტრებით, სასახლეებით და, ბუნებრივია, მთებით თავმომწონე მონტენეგროელები სულმოუთქმელად ელიან იმ პერიოდს, როცა მოახერხებენ და საბოლოოდ ამოიგდებენ მეხსიერებიდან ომიანობის წლებს და ტკბილად იცხოვრებენ შორტიანი, სათვალიანი და კამერიანი ბრბოების თანხლებით.

თუმცა, მონტენეგროსთვის ჯერ ამ საფრთხეზე ფიქრი ნაადრევიცაა. ჯერ პირველი ეტაპი - ტურისტების მოზიდვის პროცესია დასამთავრებელი და მონტენეგროსაც უხარია ევროპის პოპულარული მარშრუტების სიაში რომ ეწერება.

დამეთანხმებით, ნაცნობი სიტუაცია და ნაცნობი განცდაა. განსაკუთრებით ბოლო ხანს ჩვენთან უცხოურ ინვესტიციებსა და პრივატიზაციაზე ამტყდარი საუბრების ფონზე. ამიტომაც, ალბათ, მონტენეგროს მდგომარეობის გაცნობა საქართველოსთვის ერთგვარ გაკვეთილადაც შეიძლება იქცეს. საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლა სპეციალისტების საქმეა, ჩვენ კი მივყვეთ დღევანდელ მთხრობელს, "როიტერის" კორესპონდენტს ფრედრიკ დალს და ზედაპირულად მაინც ვნახოთ, როგორ გადადის ახალ, მშვიდობიან და ტურისტულ რელსებზე ყოფილი ცხელი წერტილი - ადრიატიკის ზღვის ულამაზესი მთიანეთი და მისი მოსახლეობა.

მონტენეგროელი ოფიციანტი ვუალი პერიჩი ფრედრიკ დალთან საუბარში მეოცნებე თვალებით იხსენებს იმ დროს, როცა რესტორანში შემოსულ ჰოლივუდის ვარსკვლავებს, რიჩარდ ბარტონსა და ელიზაბეტ ტეილორს ემსახურებოდა. ეს 1990-იანი წლების ბალკანეთის ომამდე იყო.

"ბარტონი და ტეილორი ისხდნენ კუთხეში მაგიდასთან და ტკბებოდნენ ბუნებით. მზის ჩასვლა აქედან მართლაც ძალიან რომანტიკულია", - ჰყვება პერიჩი და კუნძულ სვეტი სტეფანიზე განთავსებული ყველაზე სახელგანთქმული რესტორნის ტერასაზე მარტო დგას. არა თუ ელიზაბეტ ტეილორს, იმ წუთში უბრალო ტურისტსაც კი ვერსად ხედავს.

"მსოფლიო კლასის სტუმრები არ გველეოდა, ხელფასებიც ევროპული იყო", - სენტიმენტებს თავს ვერ აღწევს ოფიციანტი და 70-80-იან წლებზე მიანიშნებს, როცა მონტენეგროშიც, ხორვატიაშიც და სერბეთშიც მართლა ასე იყო - რეგიონი პრესტიჟულ კურორტად ითვლებოდა; ბობი ფიშერი დუბროვნიკში საკუთარ, ალბათ, წითელი კრამიტით გადახურულ ქვის სახლს ფლობდა - იქ ხომ სულ ასეთი სახლები დგას ლურჯი ზღვის ფონზე...

"როიტერის" კორესპონდენტი არაფერს გვეუბნება, თუ როგორ აღიქვამს ვუალი პერიჩი მონტენეგროს მომავალს. თუმცა, რადგან ხელისუფლება ტურისტების მოზიდვას უკვე მაქსიმალურად ცდილობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ელიზაბეტ ტეილორთან ნამუშევარი ოფიციანტი იმედიანადაა განწყობილი.

იმედის საბაბს მონტენეგროელებს ახალი ბიზნეს ინიციატივები აძლევს. ხელისუფლება ხომ ტურიზმს ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად განიხილავს და ფიქრობს, რომ უცხოური კაპიტალის მოზიდვა და სოციალისტურ ხანაში აშენებული სასტუმროების პრივატიზება ომგამოვლილ რეგიონს, ბოლოს და ბოლოს, ფეხზე დააყენებს. მიზნის მიღწევა აქ უფრო ადვილიცაა - მასშტაბები მცირეა. მთავრობას ხომ განსაკარგად და მოსავლელად პაწაწკინტელა ქვეყანა და სულ 650 ათასი ადამიანის ბედი აბარია (ასეთია მონტენეგროს მოსახლეობა, რომელიც იუგოსლავიის დაშლის შემდეგ აწმყოს ახლა მხოლოდ სერბებს უზიარებს).

ფრედრიკ დალი კი გვიამბობს, რომ 2001 წლიდან მონტენეგროში ოცი სასტუმრო კომპლექსი გაიყიდა და ქვეყნის ბიუჯეტი 28 მილიონი ევროთი გამდიდრდა. ხოლო დამატებითი ინვესტიციების მაჩვენებლმა 91 მილიონს მიუკაკუნა.

ახლა მონტენეგრო კიდევ 80 სასტუმროს ჰყიდის. ტურიზმის მინისტრი აცხადებს, რომ ინტერესი გაყიდი ობიექტების მიმართ სულ უფრო იზრდება. განსაკუთრებით აქტიურობენ ესპანელი და გერმანელი ბიზნესმენები. "ბოლო პერიოდში გამართულ საერთაშორისო ტენდერებს სულ უფრო მსხვილი ინვესტორები გამოეხმაურნენ. სტრატეგიული პარტნიორები - აი, რა გვჭირდება ჩვენ", - დასძენს მინისტრი.

მსხვილ-მსხვილი უცხოური კაპიტალის გარდა, მონტენეგრო ინდივიდუალური ტურისტების მიზიდვაზეც მუშაობს. ოფიციალური ციფრების მიხედვით, შარშანდელთან შედარებით მაჩვენებელი 36 პროცენტით გაიზარდა, ანუ ქვეყანა 140 ათასმა ტურისტმა მოინახულა. მსოფლიოს ტურიზმისა და მოგზაურობის საბჭოს (WTTC) მონაცემებით კი, შემდეგ ათწლეულში მონტენეგროზე მოთხოვნა ყოველწლიურად 10.3 პროცენტით გაიზრდება.

...დასაწყისში მაჩუ პიჩუს ჩივილები ვახსენეთ და მსოფლიო ორად დავყავით - ადგილებად, სადაც ჯერ კიდევ უხარიათ ტურისტების მიღება, და სადაც, პირიქით, ველარ იტანენ. მართალია, მონტენეგრო პირველ, გახარებულთა და აღტაცებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ მაჩუ პიჩუს, პირამიდების, კატმანდუს, ჩინეთის დიდი კედლის და სხვა "შეჭირვებულ" ღირსშესანიშნაობათა ბედი იქ უკვე აფიქრებთ.

მზარდი ტურისტული ბუმის მიუხედავად, მონტენეგროში ცალსახად აცხადებენ - ჩვენ მასობრივი ტურიზმი არ გვინდა.

"ამას ვერ გავუძლებთ... ასე ხომ ყველაფერი განადგურდება", - უხსნის ტურიზმის მინისტრიც ჟურნალისტებს.

საკითხისადმი ასეთი რაციონალური და ზომიერი მიდგომა (და თანაც საკითხისადმი, რომელიც ქვეყანას ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულად ესახება) ტურიზმის ბუმის ზღვარზე მდგომ საქართველოსაც არ აწყენს. ბოლოს და ბოლოს, მაჩუ პიჩუ ჩვენს გასაგონადაც ხომ მოთქვამს.

თუმცა, მონტენეგროსი არ იყოს, მანამდე ჩვენც შორი გზა გვაქვს გასავლელი. ქართველების მსგავსად, ბალკანელებმაც უნდა დაარწმუნონ მსოფლიო, რომ ტერასა, სადაც ერთ დროს ელიზაბეტ ტეილორი მზის ჩასვლას უცქეროდა, დღესაც უმშვენიერესია;

რომ 300 კილომეტრზე გადაჭიმული სანაპირო ზოლი, ულამაზესი მწვერვალები, ნორვეგიის მსაგვსი ფიორდები და ამერიკული დიდი კანიონის შემდეგ მსოფლიოში სიღრმით მეორე კანიონი აღმოსაჩენად მრავალ უცხოელს ელის;

რომ ყოველივე ამის გამო სოციალისტურ ხანაში აგებულ, ომგადატანილ და ახლა უკაცრიელ ფუღუროებად ქცეულ სასტუმროებში მილიონობით ევროს დაბანდება ნამდვილად ღირს;

რომ თუ მონტენეგრო მსოფლიო ტურისტულ სტანდარტებს გაუთანაბრდა, ნაომარი და პატარა ქვეყანა ფეხზე აუცილებლად დადგება და მხოლოდ ამის შემდეგ მოუწევს ზომიერების შენარჩუნებასა და მასობრივი ტურიზმის დაძლევაზე ფიქრი - რომ არ დაემსგავსოს ერთ დროს დიდებულ, ახლა კი დანაგვიანებულ კატმანდუს ხეობას და ერთ დროს მიუვალ, 1911 წლის შემდეგ კი ბუზებივით მოზუზუნე ტურისტებით გარშემორტყმულ მაჩუ პიჩუს.

ფეხბურთი

"ჩაგდებული" თამაში

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამო" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წინა, მოსამზადებელი ციკლის გადამწყვეტ ფაზაში შედის. ბორისოვოში გამგზავრებამდე ზუსტად ერთი კვირაა დარჩენილი, ხოლო ამ ქალაქის გუნდთან, "ბატესთან" მატჩამდე - 9 დღე. სწორედ ამიტომ, გუშინდელი თამაში, რომელიც "დინამომ" ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში "ალფენ ქაფის" ტურნირში გამართა, ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს, გია გეგუჩაძეს შეშფოთების და სერიოზული ჩაფიქრების საფუძველს აძლევს. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ "დინამომ" კატასტროფული ანგარიშით, 0:4 წააგო. უფრო საგანგაშო ის გახლავთ, რომ "დინამოს" თამაშში ძალზე მცირე იყო ის რაციონალური მარცვალი, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება "ბატესთან" წარმატების იმედი გვქონდეს. უფრო მარტივად რომ ვთქვა, გუშინ "დინამო" აბსოლუტურად მოშლილი, შეუთამაშებელი და უუნარო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. კარგი კი მხოლოდ ის არის, რომ ყოველივე ეს გუშინ მოხდა და არა "ბატესთან" მატჩში. გია გეგუჩაძეს კი ჯერ კიდევ აქვს დრო, რომ მომზდარი კარგად გააანალიზოს.

შეიძლება ითქვას, რომ "ზალცბურგთან" თამაში "დინამომ" თითქმის საბრძოლო შემადგენლობით დაიწყო. ზოიძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, სილაგაძე, კაშია, კანკავა, კვირკველია, ახალაია, მელქაძე, იაშვილი, კაკალაძე - ასეთი გახლდათ გუნდის შემადგენლობა პირველ ტაიმში.

რაც შეეხება მეტოქეს, "ზალცბურგი" ავსტრიის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია, რომელმაც ევროპულ სარბიელზე ავტორიტეტი გასული საუკუნის მიწურულს მოიპოვა. 1993-94 წლების სეზონში ეს გუნდი უეფას თასის ფინალშიც კი გავიდა, სადაც მილანის "ინტერთან" დამარცხდა. გასულ სეზონში ავსტრიის ჩემპიონატში "ზალცბურგმა" წარუმატებლად იასპარეზა და საბოლოოდ, მე-7 ადგილი დაიკავა. გუნდმა შარშან უეფას თასის ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ორი ეტაპის გავლის შემდეგ იტალიის "პარმას" ბარიერი ვეღარ გადალახა.

გუშინდელ მატჩში, პირველ გოლამდე, ანუ მე-20 წუთამდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და მინდორზე განვითარებული მოვლენები "დინამოს" კატასტროფული ანგარიშით დამარცხებას ნამდვილად არ უქადდა. პირიქით - პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მასპინძელთა კართან შეიქმნა: მარცხენა ფლანგიდან კვირკველიამ კარგად ჩააწოდა, ბურთს თავით იაშვილი შეწვდა და კარგადაც დაარტყა, მაგრამ "ზალცბურგის" გოლკიპერმა, არცბერგერმა ბრწინვალედ ითამაშა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ანგარიში ტომას ედერმა შორეული დარტყმით გახსნა და ამ გოლში, გარკვეულწილად, ზოიძეც შეიძლება დავადანაშაულოთ, რომელიც აშკარად არ ელოდა მოვლენათა ასეთ განვითარებას და მოუმზადებელი შეხვდა ედერის "გასროლას", ხოლო მისი თავგანწირული ნახტომი უკვე ძალზე დაგვიანებული გამოდგა. კიდევ 10 წუთში ზოიძეს დაცვამაც "აუბა მხარი". მასპინძელთა ფლანგური გარღვევა დაბალი ჩაწოდებით დასრულდა, ბურთმა ჰორიზონტალზე მეკარის მთელი მოედანი გადაკვეთა და შორ ძელთან ადრესატი - ედერი იპოვა, რომელმაც დაუბრკოლებლად გაიტანა მეორე გოლი. ამის შემდეგ "დინამო" თითქმის მთლიანად მოიშალა, მასპინძლებმა კი განაგრძეს დაწოლა და რომ არა ზოიძე, პირველივე ტაიმში ანგარიში 4:0 გახდებოდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში "დინამოს" შემადგენლობაში გამოჩნდნენ კანდელაკი, გონჩაროვი და ბურდული, თუმცა ამ ცვლილებებს მატჩის მსვლელობაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. რამდენიმე ეპიზოდში ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ დინამოელები ერთმანეთს აშკარად ვერ უგებდნენ და შეთანხმებული მოქმედების ნაცვლად, ერთურთს ხელს უშლიდნენ. შედეგად, ზალცბურგმა კიდევ ორჯერ აიღო სტუმართა კარი, ერთხელ კი სტუმრები გაშვებული გოლისგან ძელმა იხსნა. "დინამოს" მხრიდან მხოლოდ ერთი ეპიზოდია აღსანიშნავი ღირსი: კანდელაკმა მოედნის ცენტრიდან ბურთი დრიბლინგით წაიღო კარისკენ, გზად რამდენიმე მეტოქეს გასცდა, საჯარიმოს მისადგომთან კაკალაძესთან "კედელი" გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ძლიერი დარტყმის შესრულება ვეღარ მოახერხა და ეს მომენტიც უგოლოდ დასრულდა.

"დინამო" დამარცხდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თამაში მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია, რაც იმისთვის არსებობს, რომ საკუთარ თამაშში მაქსიმალურად გამოავლინო ხარვეზები და მათ აღმოფხვრაზე იზრუნო. ხარვეზები, რამდენიც გნებავთ, იმდენი გამოვლინდა. რაც შეეხება მათ აღმოფხვრას, რამდენად მოახერხებს ამას გეგუჩაძე, ძალიან მალე, თან, ბედად, ისევ ამხანაგურ თამაშში ვიხილავთ. ამ მოსამზადებელი ეტაპის ბოლო შეხვედრას "დინამო" 9 ივლისს, ისევ ზალცბურგში გამართავს. გამომცდელი კი ჩვენს გუნდს ისევ სოლიდური ეყოლება: თურქეთის "ბეშიქთაშს" და დანიის "ბრონდბიუს" შორის დამარცხებული.

დელასი უკრაინაში მიდის



ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ტრაიანოს დელასი ახლოს არის იმასთან, რომ დონეცკის "შახტართან" გააფორმოს კონტრაქტი. უკრაინული კლუბი სწორედ ევროპის ჩემპიონატის დასრულებას ელოდებოდა და ახლა მზად არის, დაცვის ხაზი კიდევ უფრო გააძლიეროს. თუ ტრანსფერი შედგება, ის არა მარტო დსთ-ის მასშტაბით, არამედ, ალბათ, ევროპის მასშტაბითაც ერთ-ერთი გახმაურებული შეთანხმება იქნება, იუწყება უკრაინული გამოცემა "ჩვენი სპორტი".

იტალიური "რომას" ფეხბურთელმა ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში ექვსივე მატჩში მიიღო მონაწილეობა. საერთო ჯამში დელასმა მინდორზე 555 წუთი დაყო და გაიტანა ერთი გოლი, რომელმაც ბერძნებს ჩეხებთან პაექრობაში ევროპის ჩემპიონატის ფინალის საგზური მოუტანა. ფეხბურთელის აგენტის თქმით, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დელასმა ათეულობით გუნდისგან მიიღო მიწვევა. მათ შორის სახელდება "პორტუ", ინგლისური "ევერტონი" და "ტოტენჰემი", აგრეთვე, რამდენიმე იტალიური კლუბი. დელასმა თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ისეთ გუნდებში ითამაშა, როგორებიც "პანათინაიკოსი", "არისი", "შეფილდ იუნაიტედი" აეკი, "პერუჯა" და "რომა" არიან.

უეფა ფულს ანაწილებს

სამკვირიანი ბატალიების შემდეგ, როგორც იქნა, გაირკვა ძველი კონტინენტის ახალი ჩემპიონი. თუმცა, მოგებაში მხოლოდ ბერძნები არ დარჩენილან. შეიძლება ითქვას, რომ ხელცარიელს არავის დაუტოვებია პორტუგალია. თვით ტურნირის მასპინძლებსაც კი, რომლებმაც ფინალში ასეთი სერიოზული დარტყმა განიცადეს, სანუგეშო აქვთ. ჩემპიონატი ფინანსური თვალსაზრისით უაღრესად მომგებიანი გამოდგა. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპული ფეხბურთის ფედერაციებმა დაფინანსების სერიოზული წყარო მოიძიეს.

რა თქმა უნდა, ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც გერმანია, იტალია, ესპანეთი და ინგლისია, შეიძლება ეს ფული სასიცოცხლო მნიშვნელობის არც იყოს, მაგრამ ლატვიის მსგავსი პატარა ქვეყნისთვის ეს ფული სწორედ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამ თანხით ლატვიელებს თამამად შეუძლიათ კვლავაც იზრუნონ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის.

ტურნირის მონაწილე 16-ვე გუნდი 6 მილიონ დოლარს მიიღებს, პლუს - პრემია ჯგუფურ ეტაპზე მოპოვებული ყოველი ქულისთვის. მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებში თამაშისთვის კი, ბუნებრივია, დამატებითი თანხა არის გამოყოფილი. ფინალში დამარცხებულმა პორტუგალიამ დამატებით კიდევ 5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ხოლო ბერძნებმა - 8.

საპრიზო თანხა ის სიმდიდრეა, რომლის აკუმულირებასაც ახდენს მესამე უდიდესი სპორტული ასპარეზობა მსოფლიოში. უეფა კი, რომელიც ევროპულ ფეხბურთს განაგებს, თავის მხრივ, 800 მილიონ დოლარზე მეტ შემოსავალს ელოდება, ძირითადად, რეკლამისა და ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან. ამ თანხიდან დაახლოებით 300 მილიონი თვითონ უეფას დანახარჯების დაფარვას მოხმარდება. ერთი ამდენი დახარჯულია ტურნირის ორგანიზაციისთვის. დანარჩენი თანხა კი უეფას წევრ 52 ქვეყანას შორის განაწილდება და ეს აქცია დაუკავშირდება უეფას პროგრამას, რომელიც ფეხბურთის განვითარების ფარგლებში ეროვნულ ფედერაციებს ეხმარება.

ინგლისმა ფიასკო დაივიწყა

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრები არც ისე კარგ გუნებაზე დაბრუნდა სამშობლოში. თუმცა, პორტუგალიასთან განცდილ მარცხზე გაზეთების სათაურებიც კი არაფერს გვეუბნებიან. ახლა ქვეყანა დაკავებულია მაიკლ ოუენის ძაღლითა და უეინ რუნის ურთიერთობებით ტაბლოიდ "სანთან".

სტაფორდშირული ბულტერიერი, სახელად ბომბერი, ემზადება სარეკლამო რგოლში გადასაღებად. ამისთვის კი მისი პატრონი, ინგლისის ნაკრების ფორვარდი მაიკლ ოუენი, სამოდელო სააგენტოსგან 50 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს. "ადამიანის მეგობარი" ფიგურირებს ყველა ფოტოზე, სადაც მაიკლ ოუენი მამაკაცთა ახალი კოლექციის ტანსაცმელს მოირგებს, რომელსაც ოუენის პატივსაცემად "ათი" ეწოდება. 24 წლის ფორვარდი თვითონ მონაწილეობდა კოლექციის შედგენაში, რისთვისაც სააგენტოს წამყვანი დიზაინერის კოლინ ვულფენდენისგან მადლობა დაიმსახურა.

ამასობაში უეინ რუნი დაყაბულდა, ნისლიანი ალბიონის ყველაზე პოპულარული ტაბლოიდისგან 250 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღოს. სანაცვლოდ მას მოუწევს რამდენიმე ინტერვიუს მიცემა და ამ ინტერვიუებში თავისი ცხოვრების მოყოლა. ამ ცნობამ ფეხბურთელის მშობლიურ ლივერპულში უკმაყოფილება გამოიწვია.

თანამოქალაქეები გაანაწყენა ერთმა ძველმა ფაქტმა, რომელიც დაკავშირებულია 1989 წელს "ჰილსბოროს" ცნობილ ტრაგედიასთან. მაშინ სტადიონზე მომხდარ ჭყლეტას "ლივერპულის" 96 ფანის სიცოცხლე შეეწირა. გაზეთმა კი მეორე დღეს გამოაქვეყნა მასალა დიდი სათაურით "სიმართლე", რომელშიც გადარჩენილი გულშემატკივრები ყვებოდნენ გარდაცვლილებზე, ვითომ დაცინვის ფაქტებსა და მოროდიორობაზე.

ცილისწამებას არავითარი ბოდიში არ მოჰყოლია. შედეგად, გამოცემას გამოუცხადეს ბოიკოტი მთელი მერსისაიდის მასშტაბით, რომელიც დღემდე გრძელდება. "უეინი ჩვენს თვალში ძალიან დაეცა, - განაცხადა "ევერტონის" ფანკლუბის პრეზიდენტმა იან მაკდონალდმა, - ვერ გამიგია, როგორ შეეძლო, მას ამ გაზეთთან დაეჭირა საქმე. როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან უნდა, კედელი აღმართოს რუნისა და მის მშობლიურ ქალაქს შორის".

წყალბურთი

"პრეზიდენტის თასის" ოთხმოცდაშვიდიანელები

გიგა გურასაშვილი

წყალბურთელებისგან ყოველთვის გაიგებდით, მნიშვნელოვანი ასპარეზობების წინ, ამ შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატებს ვგულისხმობთ, მოსამზადებლად რომელიმე ტურნირზე წასვლა ჩვენთვის ფუფუნებააო. ახლა კი, საქმე ისეა, რომ სექტემბერში გასამართი კონტინენტის უმთავრესი ასპარეზობისთვის მოსამზადებლად, თუ გენერალური რეპეტიციისთვის ერთბაშად ორ საერთაშორისო ტურნირზე მოუწევთ ოფლის ღვრა.

ვახო გასელიას ფოტო

წყალბურთელები მერიის კულტურის სამსახურში - მილებისას.

შორს რომ არ წავიდეთ, დღეს ღამის პირველ საათზე საქართველოს წყალბურთელ 87-ანელთა ნაკრები პოლონეთის გზას გაუდგა, სადაც საკუთარი ძალების მოსინჯვა "პრეზიდენტის თასზე" მოუწევთ. მერე კი... მერე თურქეთის პრესტიჟული "პოლოს" ტურნირია, ისეთი ვეშაპების მონაწილეობით, როგორებიც არიან აშშ, იუგოსლავია, უნგრეთი, ესპანეთი, იტალია, რუსეთი... მანამდე კი ისევ პოლონეთსა და საქართველოს ნაკრებს დავუბრუნდეთ, რომლებსაც გუშინ მიღება და შემდგომ საპოლონეთო გაცილება თბილისის კულტურის სამსახურში მოუწყევს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის სოსო მაისურაძის თქმით, აღნიშნულ ასპარეზობას ერთგვარი შესახურებელი ფუნქცია აკისრია ევროპის ჩემპიონატის წინ. შეხურება კი მასპინძლების გარდა მოგვიწევს გერმანელებთან, ბულგარელებთან ბელორუსიის და შვედეთის ნაკრებებთან.

აღსანიშნავია, რომ ის გუნდი, რომელიც პოლონეთში გაემგზავრა აღნიშნული ასაკისთვის გათვალისწინებულ ტურნირზე პირველად იასპარეზებს. როგორც სოსო მაისურაძემ გვითხრა, ნაკრების ხელმძღვანელობა სამი-ოთხი წელიწადია, რაც 87 წელს დაბადებულებს ელოდება. უფრო სწორედ, მანამდე ოთხმოცდაშვიდიანელებს სამი-ოთხი წლით დიდებში უწევდათ მეტოქეობა. ახლა მათი დროც დადგა და აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, სოლიდურად უნდა გამოვიდეთო.

რაკი დიდებში გაჯიბრების გამოცდილება გვაქვს, ალბათ, ჩვენი მომგები იქ არავინ უნდა იყოს-თქო ვიკითხეთ, რაზეც მაისურაძემ გვიპასუხა, სავსებით შესაძლებელია, მათაც იგივე გზა ჰქონდეთ გამოვლილიო.

სხვათა შორის, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა მაისურაძეს უთხრა, თუ იყოჩაღებთ ყუნწში გავძვრები და შესაძლებლობების ფარგლებში ბიჭებს ფულად პრემიებს გადავცემთო. ამის გამგონე ნაკრების მწვრთნელს ფაქტია, ეამა და უთხრა, "ეგეთ რამეზე ვერც ვიოცნებებდით. თქვენს პირობას ბიჭებს ზედ შეჯიბრების წინ გავანდობ და ასე შეგულიანებულებს გადავუშვებ აუზში".

სხვათა შორის, წყალბურთელთა მგზავრობისა და იქ დაბინავებისთვის საჭირო სახსრები სრულად მერიის სპორტის სამსახურის მიერაა გაწეული.

"დიდი სურვილი გვაქვს, რომ საწყლოსნო სახეობები აღორძინდეს საქართველოში. ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიურ გუნდში იყვნენ როგორც წყალბურთელები, ისე საწყლოსნო სახეობის სხვა წარმომადგენლები, - პერსპექტივას სახავს თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი უდესიანი. - მანამდე კი მათთვის ხელშეწყობაა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე მე ვიქნები ხელმძღვანელი, მათ ყურადღებასა და თანადგომას არ მოვაკლებთ. მაშინ, როდესაც გუნდს აქვს შედეგები, ქვეყანამ და ქალაქმა მასზე დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულოს, გაუჩინარი გააჩინოს, რადგან ეს ისევ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს წაადგება".

და კიდევ, სასექტემბროდ საქართველოს ნაკრებს პირველად საკუთარი ერთიანი ეკიპირება ექნება. ეკიპირება კი, იცოცხლეთ, "არენას" ფირმისაა. ნაკრების საევროპოდ შემოსვა კი, როგორც შევიტყვეთ, ძველი თაობის წყალბურთელების ალეკო ნიკოლეიშვილისა და ვასილ ცოტაძის დამსახურებაა.

აქვე შემადგენლობასაც გაგაცნობთ: **მეკარეები: თორნიკე თოდაძე, სანდრო ნამორაძე; მოთამაშეები: ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, სანდრო ხვედელიანი, გიორგი ცირეკიძე, გიორგი ბიბილეიშვილი, ზურაბ რურუა, არჩილ მურვანიშვილი, გივი კილურაძე, ნოდარ რაფავა, მიხეილ ბაღათურია, ვასილ ლუტიძე, გიორგი სტურუა და ტატო ნიკოლეიშვილი.**

მწვრთნელები: სოსო მაისურაძე და ირაკლი კიკალიშვილი.

რაგბი

არასოდეს თქვა "არასოდეს"!

ჰაატა თოთაძე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კახა ალანიასა და გიორგი ასათიანის "ლოკომოტივი" "ყოჩებმა" შეაჩერა.

"ლომის დავარდნა სად თქმულა. ყველას დავანახებთ, ვინ ვართ და რისი შნო გვაქვს", - დაიქადნა მარტინ ჯონსონმა, ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა. რამ ათქმევინა ჯონსონს ამგვარი რამ? დამნაშავე ბევრია: ინგლისელები, ირლანდიელები, შოტლანდიელები და, რაღა თქმა უნდა, სამხრეთული სამეული - სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ბოლო დროს სამხრეთში მყოფმა ევროპელებმა ყველა ტესტ-მატჩი წააგეს და ჯონსონსაც ნახევარი წლის წინათ ნათქვამის შეცვლა მოუხდა.

"არასოდეს არ უნდა თქვა "არასოდეს", - თქვა ჯონსონმა, - "არ მეგონა, თუ ნაკრებში თამაში კიდევ მომიწევდა, მაგრამ ახლა ისეთი ვითარებაა, რომ გუნდში უნდა დაბრუნდეს ყველა, ვინც ამ გუნდს სჭირდება".

ამის თქმა იყო და, "ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების" მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა საჯაროდ განაცხადა, ჯონსონისა და კიდევ ერთი-ორი ვეტერანისთვის ნაკრების კარი ღიააო. "ლომებს" მომავალ წელს უწევთ სტუმრობა სამხრეთ ნახევარსფეროში და თავს ხომ არ შეირცხვენენ! იმ ერთი-ორ ვეტერანში მწვრთნელმა რომ ჰოული და სქონ ქვინელი იგულისხმა. ჯონსონი რასაც წარმოადგენს, ყველას კარგად ახსოვს, ჰოული კი გასულ სეზონში არა მხოლოდ ინგლისის ჩემპიონი, არამედ ევროპის საუკეთესო ცხრა ნომერი გახდა.

ჯერჯერობით ჯონსონმა მხოლოდ "ბრიტანელი ლომების" შემადგენლობაში თამაშის სურვილი გამოთქვა, თუმცა, ინგლისური მედიის ცნობით, არაა გამორიცხული, მორაგბემ მომავალ ექსტი ერის გათამაშებაშიც მიიღოს მონაწილეობა. "ცოტა ხნის წინათ ინგლისის ნაკრები მუსრავდა ყველას, ვინც კი გზაზე გადაეღობებოდა, დღეს კი ყველაფერი პირიქითაა. ის ძლევამოსილი გუნდი აღარ არსებობს და როგორმე უნდა მოხერხდეს მისი აღდგენა", - ნათქვამია ჯონსონის მიერ "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ამასობაში ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში დაიწყო ჯონი ვილკინსონმაც. ინგლისელი ნახევარმცველი, რომელიც მსოფლიო თასის გმირად იქცა, შვიდი თვეა ვერ თამაშობს იდაყვის ტრავმის გამო. 1979 წელს დაბადებულმა 177-სანტიმეტრიანმა ნახევარმცველმა ნაკრებში 52 მატჩი ითამაშა და 817 ქულა მოუტანა გუნდს. ამ ხნის განმავლობაში მას 5 ლელო, 161 საჯარიმო, 123 გარდასახვა და 21 არეკნი აქვს გატანილი. ბოლო არეკნი მან მსოლფიო თასის ფინალურ მატჩში გაუტანა ავსტრალიას და ინგლისი პლანეტის უძლიერეს გუნდად აქცია.

"რვა წელია, ჯონის ვავარჯიშებ და ამ ხნის მანძილზე ის არ ყოფილა იმაზე უკეთეს ფორმაში, ვიდრე ახლაა", - განაცხადა "ნიუკასლ ფალკონზის" მწვრთნელმა სტივ ბლეკმა. თავდაპირველად ექიმები ვილკინსონს მარტისთვის უწინასწარმეტყველებდნენ დიდ რაგბიში დაბრუნებას, მაგრამ ტრავმა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ და ვილკინსონსაც კიდევ რამდენიმე თვით გაუხანგრძლივდა იძულებით დასვენება. "ყველაფერი დასრულდა. როგორც იქნა, სრულფასოვან მორაგბედ ვიგრძენი თავი, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ", - განუცხადა გულშემატკივრებს მორაგბემ, - "ახლა თამაშში ხელს ვეღარაფერი შემიშლის".

საქართველოში გადმოვინაცვლოთ, სადაც დასასრულს უახლოვდება საქართველოს თასის გათამაშება. გუშინ და გუშინწინ მესამე ეტაპის დასკვნითი მატჩები გაიმართა, რომელმაც გამოარკვია კიდეც ნახევარფინალური წყვილები. პირველ დღეს "ლელომ" "იმედი L - აკადემიას" სძლია 28:17. ლელოელებმა გამარჯვებას მატჩის ბოლო წუთებზე მიაღწიეს. ანგარიში 18:17 იყო მათ სასარგებლოდ, როცა მეტოქე დაალელოვეს, ბოლოს კი ამას საჯრიმოც მიამატეს.

გუშინ კი "ყოჩებმა" ქვეყნის ჩემპიონი "ლოკომოტივი" დაამარცხეს 20:12. "ყოჩები" თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და პირველი ტაიმი 14:5 მოიგეს. მეორე ტაიმში ერთი ხანობა ჩემპიონმა მოახერხა ანგარიშში სხვაობის შემცირება - 14:12, თუმცა მეტის გაკეთება ვერ შესძლო. გუშინ ჩემპიონი ვერ გამოიყურებოდა როგორც შეჰფერის და შედეგიც ამიტომ მიიღო საკადრისი. შესაძლოა, რკინიგზელებზე რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნამ იქონია გავლენა, რომლებიც სავარაუდოდ ნახევარფინალისთვის დაემატებიან გუნდს.

ამ გამარჯვებით "ყოჩებმა" მეორე ადგილი დაიკავეს და 11 ივლისს ნახევარფინალში მესამე ადგილზე გასულ "იმედი L - აკადემიას" ეთამაშებიან. მეორე ნახევარფინალური წყვილი კი პირველადგილოსანმა "ლელომ" და მეოთხეზე გასულმა "ლოკომოტივმა" შეადგინეს. პარალელურად ამისა დაძაბული ვითარებაა მსაჯთა კორპუსში. მსაჯები იმით არიან უკმაყოფილონი, რომ კუთვნილ გასამრჯელოს ვერ იღებენ. ზოგიერთის თქმით მათთვის იმის მიზეზიც კი უცნობია, თუ რატომ ვერ იღებენ თანხას. ამის გამო ზოგიერთი საქმისათვის საერთოდ თავის დანებებას აპირებს. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ როგორც თვითმხილველებმა აღნიშნეს რაგბის კავშირში მხარეთა წარმომადგენლებს შორის, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო საუბარს ჰქონია ადგილი.

ჩოგბურთი

ველოდებით US open-ს

სანდრო ნავერიანი

"უიმბლდონი" დამთავრდა და დაიწყო მოსაწყენი, არა დიდი მნიშვნელობის მქონე ტურნირები, რომლებსაც ძალიან ცოტა მაყურებელი ჰყავს. ასეთი დონის ტურნირებს არც ტელევიზია უთმობს დიდ ყურადღებას. სწორედ ამიტომ, რა სენსაციაც არ უნდა მოხდეს ამ ტურნირებზე, დიდი აღიოტაჟი არ ატყდება.

სამმა ტურნირმა ერთ დღეს აიღო სტარტი. ერთი აშშ-ში ტარდება, მეორე - შვედეთში და მესამე - შვეიცარიაში. ამ ტურნირების საპრიზო ფონდიც ვერ არის შთამბეჭდავი. ერთადერთი დატვირთვა, რაც ამ ტურნირებს ახლავს, ინტენსიური ვარჯიშია. არც ერთი დიდი ჩოგბურთელი ასეთ ტურნირებზე ბოლომდე არ იხარჯება. ალბათ, სწორადაც იქცევიან. წინ ხომ ამერიკის ღია პირველობაა, შემდეგ კი მასტერსის ტურნირები.

აშშ-ში, კერძოდ, ნიუპორტში, Campbell's Hall of Fame Tennis Championships-დაიწყო. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 380.000 დოლარია. შარშანდელი გამარჯვებული კი ამერიკელი რობი ჯინეპრი გახლავთ.

შვედეთის ტურნირი Synsam Swedish Open-ი ქალაქ ბასტადში იმართება. მისი საპრიზო ფონდი 375.000 ევროს შეადგენს. შარშან არგენტინელმა მარიანო ზაბალეტამ გაიმარჯვა.

მესამე, ყველაზე მაღალი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი, რომელიც შვეიცარიაში იმრთება (Allianz Suisse Open Gstaad), ქალაქ გშტაადში ტარდება. მისი საპრიზო ფონდი 554.750 ევროს შეადგენს. ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ჩეხი ირჟი ნოვაკია. ამ ტურნირში მონაწილეობს "უიმბლდონის" ორგზის გამარჯვებული როჯე ფედერერი. შარშანდელ ფინალში სწორედ ფედერერი და ნოვაკი შეხვდნენ ერთმანეთს. ფედერერმა ხუთიდან სამი სეტი წააგო.

ამ ტურნირების შემდეგ ძალიან საინტერესო Mercedes cup-ი იწყება შტუტგარტში. ეს ტურნირი ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა დანარჩენებისგან, მაგრამ არც იმდენად, რომ "დიდი სლემის" რომელიმე ტურნირს შევადაროთ. თუმცა, მერსედესის თასის გათამაშება იმით არის საინტერესო, რომ ყოველთვის უძლიერესი ჩოგბურთელები იყრიან თავს და იბრძვიან, უბრალოდ, მოგებისთვის და არა ფულისთვის, როგორც ეს სხვა ტურნირებზე ხდება.

ამ ტურნირებზე ბევრს არაფერს გეტყვით, უბრალოდ, საჭიროდ ჩავთვალე, შემეხსენებინა, რომ ჩოგბურთი არ დამთავრებულა, ის იყო, არის და იქნება.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვერც ერთ გათამაშებას ვერ უყურებ ისეთი ინტერესით, როგორც "დიდი სლემის" ტურნირებს.

სულ ცოტაც მოითმინეთ, მალე აგვისტო მოვა და ამერიკის ღია პირველობა დაიწყება. აი, მერე კი მოსაწყენად არ გეცლებათ, ამერიკის კორტებზე ბუღი დადგება, ბუღი. დადგება და 2004 წლის "დიდი სლემის" გათამაშებებს დაასრულებს. შემდეგ 2005-ის თამაშები მოვა და ა.შ. ჩვენ კი ვუყუროთ ჩოგბურთს და ვიხალისოთ. რა გვენაღვლება რო?

Tour de France

"რაი" მართლა სამოთხეა

ირაკლი ბერიაშვილი

რომ ვთქვა, ორი დღე საგანგებოდ გამოვტოვე-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ჩვენმა ძვირფასმა და დაუვიწყარმა "აიეტმა", არ ვიცი, მოხსნა თუ მოახსნევინეს "ევროსპორტი". "ტურ დე ფრანსს" კი თითქმის ათი წელიწადია, ამ არხით ვუყურებ. სხვისი რა გითხრათ, მაგრამ "აიეტის" ეს ნაბიჯი ჩემთვის ნამდვილი კატასტროფა იყო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვერაფრით ვერ ავუწყე ფეხი დღევანდელ "ჟურნალისტიკას", რაც იმას ნიშნავს, რომ ვერასდროს ვერ შევეჩვევი იმაზე წერას, რაც საკუთარი თვალით არ მინახავს. ინტერნეტიდან სხვისი ნაწერების კომპილაცია - შეიძლება ჩამორჩენილობის ბრალია - ჩემი საქმე ნამდვილად არ არის.

თუმცა, მარტო "აიეტსაც" ვერ დავაბრალებ ყველაფერს. ეს არხი წესრიგშიც რომ ყოფილიყო, "ტურ დე ფრანსი", ალბათ, მაინც ვერ მოხვდებოდა გაზეთის ფურცლებზე. ჩემმა კოლეგამ მარო მაჩხაანელმა რამდენჯერმე აღნიშნა, ფეხბურთი პლებეების სპორტიაო, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ეს სახეობა საყოველთაოა. ჰოდა, ამ საყოველთაო ზარ-ზეიმში ველოსპორტზე წერას დაახლოებით ისეთი ეფექტი ექნებოდა, როგორც, ვთქვათ, ათი დასარტყამი ინსტრუმენტის გვერდით ერთი საცოდავი ვიოლინოს კვნესას.

ხშირად მისაუბრია ამ თემაზე ჟურნალისტებთანაც, გულშემატკივრებთანაც და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ძალიან ბევრისთვის ველოსპორტში, თუნდაც, იგი "ტურ დე ფრანსით" იყოს წარმოდგენილი, პედლების ტრიალის მეტს ვერაფერს ხედავენ. ეს, რა თქმა უნდა, არც "ტურის" პრობლემაა და ვერც მხედველობის დეფექტს ვერ დავაბრალებთ. უბრალოდ, გამოცდილებამ მასწავლა, რომ ყოველ კონკრეტულ ადამიანს რაღაც შეუძლია აღიქვას, რაღაც კი - ვერა. აქ კამათი უადგილოა.

თუმცა, დავუბრუნდეთ "აიეტს". სულ ბოლო მომენტში გამახსენდა სახურავზე დამონტაჟებული და კარგა ხნის მივიწყებული ანტენა-თეფში. იქ კიდევ უფრო ადრე მოხსნეს "ევროსპორტი" და, რესპექტაბელურობისა და ნაწილობრივ ორიგინალობის იერს რომ არ აძლევდეს ჩემს სახლს, კარგა ხნის წინ მოვაშორებდი იქაურობას. გამახსენდა, რომ ეს არხი იტალიური "რაის" მთელ კომპლექტს გადმოსცემს. აბრევიატურა რომ არ იყოს, ძალიან ჰგავს რუსულ სამოთხეს. იქნებ ამან მაინც მიშველოს-მეთქი. იტალიელები ოხრები არიან, ყველა საინტერესო გადაცემას დაშიფრულს უშვებენ ეთერში. თვალები დაგეთხრება კაცს. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! სადღაც ექვსის ნახევარზე "რაი" სამზე, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, "ტურ დე ფრანსი" გაიჩითა სრულყოფილი გამოსახულებითა და ასეთივე სრულყოფილი და მომხიბლავი იტალიური კომენტარებით. თვალებს არ ვუჯერებდი. კაცს რომ მთელი ცხოვრება არც მთავრობებში გიმართლებს, არც ლატარიაში, რამე სანუკვარს და საოცნებოს იყიდი და ისიც ნეხვი გამოდგება, ის, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა, "რაი" კი არა, მართლა სამოთხე იყო. ორასკაციანი საოცრად ჭრელი პელოტონი ბელგიის მოკრიალებულ ასფალტზე თავისი ჩემპიონებითა და ლეგენდებით საფრანგეთის საზღვრებისკენ მიიკლაკნებოდა. და, რაც მთავარია, ყველანი აქ იყვნენ, ამ მართლაც "ნაცრისფერი გზის რაინდები" - არმსტრონგი, ულრიხი, ვირანკი, დიუფო და შედარებით ახლებიც - მაიო, მერკადო, სევილა, ბასო...

"ტურის" დირექტორი ლებლანი ამ ბოლო წლებში რაც შეიძლება მეტ ფრანგულ გუნდს ტენის, თან ამას იმით ამართლებს, "ტური", პირველ ყოვლისა, საფრანგეთის ღია ჩემპიონატიაო, მაგრამ რაც უნდა, ის თქვას ლებლანმა. "უიმბლდონისა" არ იყოს, "ტურ დე ფრანსიც" მსოფლიოს ერთადერთი, განუმეორებელი და, რაც მთავარია, ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა. ეს მრავალდღიანი, ფაქტობრივად, ველოსპორტსმენთა ოლიმპიური თამაშებია. თვითონ კანონიკური ოლიმპიური საველოსპორტო შეჯიბრებაც იმდენად მცირე მასშტაბისა და იმდენად უმნიშვნელოა, რომ სერიოზული მრბოლები თავს არიდებენ. და თუ მაინც დასდებენ ხოლმე პატივს, ისე, სხვათა შორის, გასეირნებასავით - ა, ძმაო, ხომ ჩამოვედით და მონაწილეობაც მივიღეთო!

ახლა ასე შევთანხმდეთ. რადგან ველოსპორტი საქართველოში საყოველთაო სახეობებს არ განეკუთვნება, ბუნებრივია, რომ ძალიან ცოტა ერკვევა იმ ნიუანსებში, ტაქტიკასა და სტრატეგიაში, რაც ამ სახეობას განსაკუთრებით კი "ტურ დე ფრანსს" თან სდევს. ყოველ წერილს ორად გავყოფ. პირველი ჩეჩაკოებისთვის იქნება, ესე იგი, მათთვის, ვინც არ იცის, მაგრამ უნდა, რომ იცოდეს, მეორე - ძველი, ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი მკითხველისთვის, ვისაც ანკეტილიც ახსოვს, მერქსიც, ინდურაინიც, პანტანიც, ძულეცა და ჟალაბერიც...

REUTERS

ყან-პატრიკ ნაზონმა მესამე ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

ჩეჩაკოთათვის

(ძველებს შეუძლიათ ეს თავი გამოტოვონ)

"ტურ დე ფრანსი", ისევე როგორც ორი დანარჩენი მრავალდღიანი, "ჯირო დ`იტალია" და ესპანური "ვუელტა", სამ კვირას გრძელდება. სირთულის თვალსაზრისით სამივე დაახლოებით თანაბარია. ეს არის, ყველა უძლიერესი მაინც "ტურ დე ფრანსზე" იყრის თავს. ეს, ალბათ, კალენდრის დამსახურებაა. "ჯირო" მაისში იწყება, "ტური" - ივლისში, "ვუელტა" - სექტემბერში. "ჯიროში" სერიოზული მიზნებით მონაწილეობა თითქმის გარანტირებულად იძლევა იმის შანსს, რომ "ტურზე" ჩაფლავდები. "ტურის" შემდეგ კი კარგა გვარიანად დაღლილი ძლიერნი ამა ქვეყნისანი ესპანურ მრავალდღიანს თავს არიდებენ.

ცხადია, ეს წესი საყოველთაო არ არის. გააჩნია, ვის რისი თავი აქვს. მაგალითად, მერქსიც, ანკეტილიც, ინოცა და ინდურაინიც (ამათ 5-5-ჯერ აქვთ "ტური" მოგებული) "ჯიროშიც" მონაწილეობდნენ და "ვუელტაშიც". მერქსს ერთ სეზონზე სამჯერ აქვს მოგებული "ჯიროც" და "ტურიც". დანარჩენებს, თუ არ ვცდები, - ორ-ორჯერ. პანტანი 1998 წელს "ჯიროს" მოგების შემდეგ პირდაპირ "ტურზე" გაიჩითა და იქაც პირველი იყო.

რა თქმა უნდა, ვერავის აიძულებ, გინდა თუ არა, სამში თუ არა, ორ მრავალდღიანში მაინც სცადე ძალაო, მაგრამ დღევანდელი ჩემპიონები, ეტყობა, უფრო ფაქიზი მასალისგან არიან ნაკეთები.

ახლა თვითონ სახელწოდებებზე. "ტურიც", "ჯიროცა" და "ვუელტაც" ქართულად წრეს ნიშნავს. წრე შემთხვევით არ ჰქვია ამ შეჯიბრებებს. დაახლოებით 3500-4000-კილომეტრიანი გზა, გზა, რომელიც პელოტონმა (ველოსიპედისტების დიდ, მთავარ ჯგუფს ჰქვია) უნდა გაიაროს, სტარტიდან ფინიშამდე წრეს უვლის ამ ქვეყნების ტერიტორიას. დღეში თითო ეტაპი ეწყობა, დაახლოებით 150-230 კილომეტრის სიგრძისა. ამ ოცდაერთი ეტაპიდან მეტი წილი ვაკეზეა, ხუთიექვსი - მთებში. დანარჩენი ორი თუ სამი ინდივიდუალურ რბოლებს ეთმობა. ეს ის არის, როცა დაახლოებით 30-50-კილომეტრიან მონაკვეთზე თითოეული სპორტსმენი ცალ-ცალკე ასპარეზობს. მრბოლები სტარტიდან 2-3 წუთის ინტერვალით გადიან.

ვაკე-ეტაპებზე ძირითადად სპრინტერები იმარჯვებენ, თუმცა, ფინიშზე დიდ გუნდად მისულ ჯგუფს საბოლოოდ მაინც ერთი დრო ეწერება. პირველ სამ გამარჯვებულს პრემიის (ბონიფიკაცია) სახით ნაჩვენები შედეგიდან 12,8 ან 4 წამი ჩამოეჭრება.

ალბათ, იკითხავს რომელიმე ჩეჩაკო, როგორ ხდება, რომ ვაკე-ეტაპებზე თითქმის მთელი პელოტონი ერთად უწევს ხოლმე ფინიშს. საქმე აეროდინამიკაშია. პელოტონის თავში დგომაა ძნელი, თორემ დანარჩენები, ისინი, ვინც მოწინავეების ზურგს არიან ამოფარებულნი, თითქმის არ ხარჯავენ ენერგიას, ამიტომაც სუსტებიცა და ძლიერებიც ერთად მიდიან ფინიშზე.

სხვა ვითარებაა მთებში. აქ სიჩქარე საგრძნობლად იკლებს, შესაბამისად, ჰკარგავს მნიშვნელობას აეროდინამიკაც. საქმეში ერევა ფილტვები, გული და ხარისხიანი კუნთები. თუ გინდათ, რომ "ტურ დე ფრანსის" ან რომელიმე მრავალდღიანის ნამდვილი ფავორიტები იხილოთ, აუცილებლად უნდა ნახოთ მთის ეტაპი.

აღმართის დასაწყისშივე, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, "პეპლები", ესე იგი, სპრინტერები, და სხვა დანარჩენი სუსტები (სუსტებს, ცხადია, პირობითად ვამბობ, თორემ სუსტსა და უნიათოს "ტურ დე ფრანსს" ვინ გააკარებს) მორჩილად გადგებიან განზე, წინ კი ნამდვილები გამოდიან. მაგათ შორისაა მთის ეტაპების გამარჯვებულებიც და "ტურის" მომავალი ჩემპიონიც.

კიდევ ერთს ვიტყვი ჩეჩაკოთათვის. მთავარი ჯილდოს გარდა - ამის მფლობელი ის კაცია, ვინც ყველა ამ 21 ეტაპის გავლას ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს - აჯილდოებენ თითოეული ეტაპის გამარჯვებულს (ცხადია, სათანადო მატერიალური ანაზღაურებით), საუკეთესო სპრინტერს, საუკეთესო მთიელს, ყველაზე აქტიურს (ეს, ვინც ყველაზე ხშირად გარბის პელოტონიდან და მარტო ცდილობს, ფინიშს პირველმა უწიოს), საუკეთესო გუნდს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ძველებისთვის

იმის ახსნა-განმარტება, რომ "ტური" მეათე ეტაპიდან იწყება, ამ თავში საჭირო არ არის და ტყუილუბრალოდ არც მე გადავიტყავებ ენას. მაგრამ მანამდე ხომ რაღაცით უნდა გავირთო თავი. ჩემი ვარაუდით, მეტიჩრების, ესე იგი, პელოტონიდან გაქცეულთა რაოდენობა და სიხშირე უნდა შემცირდეს. წლევანდელ "ტურზე" იმდენი კარგი სპრინტერი დაგროვდა, რომ გუნდები, რომლებსაც ეს მრბოლები წარმოადგენენ, საშუალებას არ მისცემენ ვიღაც მეტიჩრებს, მუქთად იშოვონ ფული და სახელი.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა დღევანდელ ინდივიდუალურ-გუნდურ რბოლაზე. არ ვიცი, როგორი იქნება წლეულს ჩათვლის სისტემა, მაგრამ ის, რაც წინა წლებში იყო, ყოველგვარ ლოგიკას სცილდება. ვთქვათ, ა გუნდმა ბ გუნდს 5 წუთი მოუგო. ა გუნდის ნებისმიერი წევრი - სულ ერთია, სუსტი თუ ძლიერი - 5-წუთიან ფორას იღებს ბ გუნდის ნებისმიერ წევრთან და ეს შედეგი პირად ჩათვლაში შედის. "ტურ დე ფრანსი" და, საერთოდ, ველოსპორტის ნებისმიერი სახეობა ფეხბურთი არ არის, რომ ივანეს გატანილი გოლი პავლესთვისაც და სხვა დანარჩენებისთვისაც სპორტული თავლსაზრისით ერთსა და იმავეს ნიშნავდეს. ჩემი აზრით, თუ 9 კაცი ქმნის რაღაც უპირატესობას, ეს უპირატესობა 9 კაცზე კი უნდა გადანაწილდეს, მაგრამ აუცილებლად რაღაც კოეფიციენტით. იმავე ფეხბურთში ეს დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებდა: ივანეს გატანილი გოლი ხელის ერთი მოსმით 11 გოლად იქცეოდა. შეიძლება ასეთი ფორის მიცემა?

უფრო სწორი და სამართლიანი იქნებოდა, გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგი გუნდურ შედეგებში შესულიყო, ცალკეულ წევრებს კი, როგორც ზევით ვთქვი, ერთი მეცხრედი კოეფიციენტით თუ არა, ერთი მესამედით მაინც მიმატებოდა.

აი, ამ ინდივიდუალურ-გუნდური რბოლის ჩათვლაში რომ ყველაფერი ვერაა რიგზე, იქიდანაც ჩანს, რომ ეს სახეობა ხან შეაქვთ "ტურის" პროგრამაში, ხანაც ამოიღებენ ხოლმე. სხვათა შორის, "ჯიროც" და "ვუელტაც" ალმაცერად უყურებენ ამ ექსპერიმენტს.

ტექნიკური შედეგები

პროლოგი 6.1 კმ

1. ფაბიენ კანსელარა (შვეიცარია)	6,50
2. ლანს არმსტრონგი (აშშ)	0,02
3. ხოსე გუტიერეს პალასიოსი (ესპანეთი)	0,08

I ეტაპი. ლიეჟი - შარლერუა 202,5 კმ

1. იან კურსიპუუ (ესტონეთი)	4.40.29
2. რობი მაკივენი (ავსტრალია)	
3. თორ ჰაშოვდი (ნორვეგია)	

II ეტაპი. შარლერუა - ნამური 197 კმ

1. რობი მაკივენი (ავსტრალია)	4.18.39
2. თორ ჰაშოვდი (ნორვეგია)	
3. ჟან-პატრიკ ნაზონი (საფრანგეთი)	

III ეტაპი. ვატერლოო - ვასქუალი 210 კმ

1. ჟან-პატრიკ ნაზონი (საფრანგეთი)	4.36.45
2. ერიკ ძაბელი (გერმანია)	
3. რობი მაკივენი (ავსტრალია)	

საერთო ჩათვლა

1. რობი მაკივენი	98
2. ჟან-პატრიკ ნაზონი	85
3. იან კირსიპუუ	74

მოკლედ

"ჩელსის" კაპიტანს პენსიაზე უშვებენ

ლონდონის "ჩელსიში ფრანგი მარსელ დესაის ეპოქა დასრულდა. "ჩელსის" კაპიტანმა დესაიმ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. ფრანგი მცველი ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში იცავდა "არისტოკრატთა" ღირსებას. საფრანგეთის ნაკრებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს სექტემბერში 36 წელი შეუსრულდება. დესაი დაემატა იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ვერ ერგებიან კლუბის ახალი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს სამწვრთნელო კონცეფციას.

"ის საფრანგეთში დაბრუნდება, რათა დაისვენოს და გადაწყვიტოს, ღირს თუ არა კვლავ ფეხბურთის თამაში", - ნათქვამია "ჩელსის" საიტზე გავრცელებულ განცხადებაში. სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც გამოცდილმა მცველმა, რომელიც მატჩების გამართვის მხრივ საფრანგეთის ნაკრების რეკორდსმენია (116), განაცხადა, რომ ამთავრებს საერთაშორისო ჩემპიონატებში ჭადრაკში. გამოვლინდნენ ტურნირის ფინალისტები. მთავარ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისელი მაიკლ ადამსი და უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი, რომელმაც ნახევარფინალურ ეტაპზე სენსაციურად დაამარცხა ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი. კასიმჯანოვმა, რომელიც რეიტინგის მიხედვით მხოლოდ 28-ეა, დაამარცხა ტურნირის ფავორიტი ტოპალოვი (ის რეიტინგით პირველი ნომერი იყო), ორ დამატებით პარტიაში, რომელიც შეკვეცილი საკონტროლო დროით გაიმართა.

ამ მიკრომატჩის ოთხი ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა. მატჩის საერთო ანგარიშია 4:2 კასიმჯანოვის სასარგებლოდ. ის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრიტანელ მაიკლ ადამსთან (3) იბრძოლებს.

32 წლის ინგლისელმა კი, თავის მხრივ, ძირითად პარტიებში მოაგვარა საქმე. მან ნახევარფინალში აზერბაიჯანელი ტეიმურ რაჯაბოვი - 2,5:1,5 დაამარცხა. ამ მიკრომატჩში ადამსმა შავი ფიგურებით მოიგო პირველი პარტია, ხოლო დანარჩენი სამი შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ფინალში, რომელიც 6-8 და 10-12 ივლისს გაიმართება, 6 პარტიის გათამაშება არის დაგეგმილი. თუ მატჩი ფრედ დამთავრდება, 13 ივლისს ტაი-ბრეიკი გათამაშდება.

წლევანდელი მსოფლიო პირველობის საპრიზო ფონდი მილიონნახევარი ამერიკული დოლარია. ოთხმა ნახევარფინალისტმა უკვე გამოიმუშავა 45 ათასი დოლარი. ფინალისტი დაახლოებით 70 ათასს, ხოლო გამარჯვებული 100 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს.

კასიმჯანოვი თუ ადამსი?

მაიკლ ადამსს მსოფლიო ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს.

ამ დღეებში ლიბიის ქალაქ ტრიპოლიში მიმდინარეობს ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. გამოვლინდნენ ტურნირის ფინალისტები. მთავარ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისელი მაიკლ ადამსი და უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი, რომელმაც ნახევარფინალურ ეტაპზე სენსაციურად დაამარცხა ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი. კასიმჯანოვმა, რომელიც რეიტინგის მიხედვით მხოლოდ 28-ეა, დაამარცხა ტურნირის ფავორიტი ტოპალოვი (ის რეიტინგით პირველი ნომერი იყო), ორ დამატებით პარტიაში, რომელიც შეკვეცილი საკონტროლო დროით გაიმართა.

ამ მიკრომატჩის ოთხი ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა. მატჩის საერთო ანგარიშია 4:2 კასიმჯანოვის სასარგებლოდ. ის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრიტანელ მაიკლ ადამსთან (3) იბრძოლებს.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 7 ივლისი

НТВ+ФУТБОЛ
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "ATLANTA HAWKS" - "BOSTON CELTICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. ვენესუელა - კოლუმბია
14:00 ამერიკის თასი. პერუ - ბოლივია
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/01. "ბავარია" - "სპარტაკი"
17:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:45 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა. სეზონის შედეგები
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 "დარტყმა გოლისთვის"
20:20 ამერიკის თასი. ვენესუელა - კოლუმბია
22:05 ამერიკის თასი. პერუ - ბოლივია
23:50 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" - "შტუტგარტი"
01:35 "დარტყმა გოლისთვის"
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. სთრითბოლი. Entertainers Basketball Classic
04:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "CHARLOTTE BOBCATS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
10:00, 13:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
11:15 წყალში ხტომა. გრან-პრი მექსიკაში. ფინალი. დღე პირველი
13:35 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
14:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები - ქალები. ნახევარფინალები. ს. უილიამსი - ა. მორესმო. მ. შარაპოვა - ლ. დევენპორტი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
18:00 წყალში ხტომა. გრან-პრი მექსიკაში. ფინალი. დღე მეორე. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ათენის გზაზე"
21:00 სპორტული გლობუსი - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები - ქალები. ფინალი. მ. შარაპოვა - ს. უილიამსი
00:15 ახალი ამბები
00:30 "სპორტის შემდგომი სილამაზე"
01:20 01:20-დან 02:25-მდე შესვენება
02:25 ფეხბურთი. ამერიკის თასი. მექსიკა - ურუგვაი. პირდაპირი ტრანსლაცია
04:40 ფეხბურთი. ამერიკის თასი. არგენტინა - ეკვადორი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
11:30 მულტისპორტი
12:00 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
13:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
14:00 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვეიცარიაში
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:00 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
22:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი ნორვეგიაში
23:00 აფროსნობა
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
01:00 ევროსპორტის სიახლენი
01:15 გოლფი. ევროპული ტური ირლანდიაში
01:45 გოლფი. PGA ტური აშშ-ში
02:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
03:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:15 ევროსპორტის სიახლენი

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განაცხადების მიღება "ხალხის პირისპირ" სპეციალური ქვეშ გაგრძელდება 2-ის ჩათვლით. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ბლანკის ფორმით. ანკეტა არის ერთ-ერთი ინფორმაციის წყარო, რომელიც დაეხმარება ჟურნალისტებს ადამიანის პიროვნული თვისებების გამოკვეთაში. ამიტომ, გამოგვიგზავნეთ ანკეტები და ფოტოსურათი

საბოლოო არჩევანს "ფრესკო 2" არ აკეთებს. ხელმძღვანელი, გამომცემელი, მთელი ეს ორი თვის განმავლობაში ხალხის პირისპირ" ინტერვიუებს ჩაიწერენ, მაგრამ, ანკეტის შევსებისას, ნუ დაიზარებთ და ყველა კითხვას უპასუხეთ. ეს ანკეტა შეიძლება ისევე ინტერესით წაიკითხონ, როგორც ხალხის პირისპირ" წაიკითხა და ვიცნობდა.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

გლანკი შეავსო. სამეწარმეო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ეკატერიწმინდის 45, 380077 თბილისი

კონკურსანტის ტელევიქტორინასთან "ხალხის პირისპირ" შეირთავს ანკეტის სრულყოფილად, ასოების გამოყენებით, ყურადღებით შეავსოს ანკეტა.



გახსოვთ, დაკარგათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მაზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გახსოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწერით თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

სახელი და გვარი	ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი
მისამართი:	ქვილები: (ასი ასაკის)
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:	განათლება: საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური
დამატებითი კატეგორია: (მოიყვანეთ ადამიანის, რომელიც კარგად იცნობს, მაგალითად ახლობელი და ისეთი, რომელიც ადვილად კონტაქტში ან, ან ამ ანკეტის შევსების შემდეგ მოგცემთ ტელეფონის ნომერს)	პროფესია:
ასაკი:	საქმიანი ადგილი
თქვენი ინტერესები და ჰობი:	შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?
გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ კითხულობთ სანაპიროზე, ხართ თუ არა)	თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?
არჩევანი რომ გქონდეთ, სად ნახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?	ფილმი რომ გადაელოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?
გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?	ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:
მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?	რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?
გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?	რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?
გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა ცალით ყურებით "შინაური ომების" შეხედვა, ან ჯანდაბის მაგიერ ნებისმიერი რამის თქმა?)	ყველაზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:
უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?	რომორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?
არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?	რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?
რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?	გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ფორმატში)
რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?	რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

„ხალხის პირისპირ" – ეს არის გვლეშიჭგორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სპეციალში მოწვეულ კონკურსანტს.

შეავსეთ გლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მილება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ფაქსიდან

შეკითხვის ტექსტი:	პასუხის ტექსტი:
1	
2	
3	
4	
5	

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
საშინაო ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები ძალიან მარტივია

კითხვები გაგზავნეთ "ხალხის პირისპირ" მიიღება მხოლოდ ზემოთ მოცემული ბლანკით. შეკითხვა ბლანკზე გამოსაგზავნი ფურცელი მისამართზე: სამეწარმეო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ეკატერიწმინდის 45, 380077 თბილისი. ან მოიტანეთ პირადად მისამართზე და ჩაიდეთ პირდაპირ სპეციალურ ყუთში.

სამეწარმეო კომპანია "რუსთავი 2" უფლებას იტოვებს გაგზავნილ ინტერესებიდან გამოიყენოს ტელეეთერში შეკითხვა ან არ გამოიყენოს თქვენი შეკითხვა. "რუსთავი 2" არ არის ვალდებული გაუგზავნოთ გამოუყენებელი თუ ასეთ თქვენს მიერ მიწოდებულ შეკითხვას.

ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

ამ ბლანკში შეკითხვა სრულად მიიღება ერთი შეკითხვა. შეკითხვა შეიძლება და ვალდებულებით ვალდებული ნებისმიერი მიიღებოთ.

თუ ვინმეს ბლანკის წესებს, გახსოვთ, სული მოაწერეთ ბლანკს და მიუთითეთ შეკითხვის თარიღი.

სულიწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

რას შვრებიან მდიდრები, ლამაზები და წარმატებულები

ჰოლივუდის მსახიობი, ანჯელინა ჟოლი მხოლოდ ლამაზი ქალი როდია: ის ჰუმანიტარულ მოღვაწეობას ეწევა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოსთვის იბრძვის, ისეთივე შემართებით, როგორითაც მისი ლარა კროფტი იბრძოდა "სამარხების მძარცველში".

ანჯელინა მთელს მსოფლიოში უყვართ, მას კი განსაკუთრებით კამბოჯა ჰყვარებია. ეს ქვეყანა მან 2001 წელს აღმოაჩინა, როცა ზემოთ ხსენებული ფილმის გადაღებების დროს იქაურ ტაძარ ანკორ ვატში ამოჰყო თავი. ორი წლის წინათ ანჯელინამ კამბოჯელი ბავშვიც იშვილა, დღემდე გაუგებარია, მართლა ობოლი თუ მშობლების მიერ გაყიდული - ნებისმიერ შემთხვევაში, ბიჭუნას უწინდელზე უფრო მზრუნველი დედა ჰყავს. მერე ანჯელინამ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლიც იყიდა და მას აქეთია, დედა-შვილი სისტემატურად დადის კამბოჯაში.

ეს გულისამაჩუყებელი ამბავი იმასთან დაკავშირებით გავიხსენეთ, რომ ამჟამად ანჯელინა ჟოლის "გაკამბოჯელება" გადაწყდა. ქვეყნის პრეზიდენტმა, ჰუნ სენმა გადაწყვიტა, მისთვის კამბოჯას მოქალაქეობა ებოძებინა, რასაც 28 წლის ლამაზმანი დიდი სიხარულით შეხვდა: "ჩემთვის ეს დიდი, დიდი პატივია," თქვა მან.

რა კარგია, როცა ბევრი სამშობლო გაქვს! ასე, მაგალითად, პატრიცია კაასი ფრანგიცაა და გერმანელიც, და მასზე ორივე სამშობლოს შვილები გიჟდებიან. ორშაბათს, საღამოს, ჰამბურგის პარკში გამართული კონცერტის დროს გერმანელი საზოგადოება მონუსხულივით უსმენდა მუსიკოსთა ექვსკაციან ჯგუფს და პატარა, ქერათმიან კაასს.

"Bon soir, merci. დღეს ნამდვილად არ ცხელა, მაგრამ ვეცდები, გულები მაინც გაგითბოთ," განაცხადა 37 წლის პატრიციამ, რომელიც გერმანიაში დიდხანს ცხოვრობდა და გერმანულს და ფრანგულს თანაბარი წარმატებით ფლობს. ისევე, როგორც მსმენელს, მასაც ძალიან სციოდა და ხელოვნური ბეწვის ყავისფერ პალტოში იყო გახვეული. გახდა და შავი შარვლისა და მოკლე მაისურის გამოჩენა მან მხოლოდ კონცერტის ბოლოსკენ გაბედა: "ესენი აქამდე უნდა გენახათ, მაგრამ ძალიან ვიყინებოდი," მოიბოდიშა მან.

საფრანგეთსა და გერმანიაში პატრიციას მოსაბოდიშებელი არაფერი აქვს. მასზე გიჟდებიან. მის ახალ ალბომს, Ou sont les hommes-სა თუ ძველ ჰიტს, Mademoiselle chante le blues-ს თანაბარი წარმატებით უსმენენ. მისი ალბომები 15 მილიონ ცალადაა გაყიდული და გასულ წელს კაასს გერმანია-საფრანგეთის მეგობრობის განმტკიცების საქმისთვის ფედერალური ღირსების ჯვარიც კი გადასცეს.

ნოემბრის ბოლოს პატრიცია გერმანიაში დიდ ტურნეს იწყებს. ჰამბურგის კონცერტით რომ ვიმსჯელოთ, დიდად წარმატებული ტურნე იქნება, თუმცა, ვინ იცის...

ასე, კრისტინა აგილერასაც ეგონა, მაგარი ტურნე გამომივაო, მაგრამ ახლა მასზე უარის თქმა მოუწია. კრისტინამ თავი იმართლა, იდეები შემომაკლდა და არ მინდა, ცუდი გამომივიდეს. "დავიცდი, სანამ ახალი მასალა შემომემატება და ჩემი თაყვანისმცემლებისთვის მართლაც ღირსეული რამის შეთავაზება შემეძლება," თქვა მან ბრიტანულ გაზეთ "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში. ასე ჩააგდო აგილერამ დაგეგმილი 28 კონცერტი, რაც 23 წლის პოპ-მომღერლისთვის ბევრი ვერაფერი გამარჯვებაა.

პატრიცია კაასი.

ანჯელინა ჟოლი.

კრისტინა აგილერა.

საერთოდ, კრისტინა აგილერა განსაკუთრებული გონებაგახსნილობით არ გამოირჩევა და არც აზრის ჩამოყალიბება ეხერხება დიდად. ამიტომ პატრიციასა და კრისტინას შედარება მაინცდამაინც ლოგიკური ამბავი არაა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ბრალი არაა - მთელი ეს სფეროა ასეთი. არც ისაა მაინცდამაინც ლოგიკური, რომ ბრიტანელ მოდელს, ნაომი კემპბელს მიწაზე სიარულს თურმე ფრენა ურჩევნია, და ეს სიახლე გუშინ მთელ მსოფლიოს მოედო. ის არ გეგონოთ, რომ ის ფრთებს იქნევს და სახურავების თავზე დაფარფატებს, რაც მართლაც გასაოცარი იქნებოდა. მშვენიერ ნაომის თვითმფრინავით მგზავრობა ჰყვარებია, თან იმდენად, რომ მიწაზე ყოფნის ათი დღის თავზე უჩნდება ზეცაში აჭრის სურვილი.

მოდელის ეს ვნება გაზეთ "გარდიენისთვის" მიცემული ინტერვიუდან შევიტყვეთ. ინტერვიუ იმდენად შინაარსის გამო არაა ნიშანდობლივი, რამდენადაც იმის გამო, რომ აქამდე ნაომი ინტერვიუებს არ იძლეოდა, გაბუტული იყო, და ახლა კი გაზეთების ფურცლებზე ამ ბრძნული გამონათქვამებით დაბრუნდა. გაბუტვის მიზეზი მის თაყვანისმცემლებს ალბათ ახსოვთ: 2001 წლის თებერვალში გაზეთმა "დეილი მირორმა" გაუბაზრა, რომ 34 წლის მზეთუნახავი ანონიმური ალკოჰოლიკების შეკრებებს ესწრებოდა. მაშინ ნაომიმ საშინელი ამბავი ატეხა, სასამართლოში იჩივლა და პროცესი მოიგო კიდეც. ახლა მან "გარდიენს" ამაყად უამბო, რომ ამ შეხვედრებს კვლავ ესწრება და ყოველ ქალაქში ჩასვლისას პირველ რიგში იმას იგებს, სადაა ასეთი სასიამოვნო საზოგადოება დაბანაკებული.

მაგრამ, ნაომის მოგზაურობების მიზანი, ცხადია, სხვადასხვა ქვეყნების ლოთებთან შეხვედრა არაა. მთავარი ფრენა ყოფილა: "ძალიან დამამშვიდებელია. არავინ გაწუხებს, შეგიძლია მშვიდად იკითხო".

სანამ ნაომი ღრუბლებში დაფრინავს, მომღერალი ჯენიფერ ლოპესი პოდიუმზე აიჭრა და ყველას დაუმტკიცა, რომ ჭეშმარიტ ქალს ქალური ფორმები უნდა ჰქონდეს. ამის წარმოსაჩენად მან თავისი უბადლო საჯდომი ახალი ბიკინებით შემოსა და ლონდონში თავისი ახალი კოლექციის საქველმოქმედო ჩვენებაც გამართა. მართალია, თავად ჯენიფერს პოდიუმზე არ უვლია, მაგრამ მის მოდელებსაც სათანადო აღნაგობა აქვთ, და კენსინგტონ რუფ გარდენის სტუმრები, მათთან ერთად კი მთელი მსოფლიოს ტაკოიანი ქალები და მათი მოყვარულები თავდავიწყებით უკრავდნენ ტაშს.

სკანვორდი



TV პროგრამა

6 ივლისი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "პოლიციელები და ქურდები"(გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფა" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "საჰარას საიდუმლო" **23.00** სერიალი "სპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ყბები 2". მთ. რ-ში: ლორეინ გერი (18).

TV5

07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.35(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **12.05** ზიგ-ზაგ კაფე. **17.30** ზაფხულის ერთი დღე. მე-3 ეპიზოდი. მხ. ფილმი. **21.25** იყო და არა იყო რა იყო ერთი სენ-ტროპეზი. დოკ. ფილმი. **24.05** არაბული კინო. ჰელო, მისტერ ბრაკატ. დოკ. ფილმი. **01.40** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება ანუ ფესვები და ფრთები. **05.15** კრიმინალი. ბავშვების თამაში. ეპიზოდი 42.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯუების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკა" მე-3ს. **15.20** სერიალი "რვაფეხა-5" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.20** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **17.00** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **17.25** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "რემბო პირველი სისხლი" (15)

202

10.00 მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ქვის რომანი" (მ. დუგლასი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი" (ჟ. დეპარდიე) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "კარტი, ფული, ორი ლულა" (18)

მზე

09.00 მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "სამყაროს შექმნა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კოდი კოპერნიკი" **13.10** მხ. ფილმი "დაბრუნება მომავალში-3" (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "წყლის პირას" (18) (დანიელ ბოლდუინი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "უმშაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "ჩემი საყვარელი ოქრო" **21.20** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმები "თიხის ძაღლის საიდუმლო" (15)

კავკასია

13.00 მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 7-8 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა ხუთშაბათი **13.00** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 8-9 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-3" (გ) **00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.15** მხ. ფილმი "ნიანგთა სიბრძნე" (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "მხეცზე ნადირობა" (ს. სიგალი) (გ)

იბერია

18.00 მინისერიალი "ლიცეუმი" **18.55** დოკ. ფილმი **19.55** კონცერტი **21.30** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი "მარი მარმეი" (12)

აჭარის ტელევიზია

08.30, 01.15 საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** სათავგადასავლო ფილმი "მეათე სამეფო" **10.15** დოკუმენტური ფილმი **11.00** თრილერი "ცივი სისხლი" **12.20** მუსიკა **12.30, 16.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** მხატვრული ფილმი "შვიდი წელი ტიბეტში" **14.55** მუსიკა **15.00** ვესთერნი "განდევნილი" **16.45** მულტფილმი "ახალი ბრემენელები" **17.40** კომედია "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ!" 1 სერია **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** ფანტასტიკა "მორიელების მეფე" **20.30** საინფორმაციო გამოშვება **21.00** ფანტასტიკა "მისტერ პიტკინი მტრის ზურგში" **23.00** დრამა "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" **01.35** მუსიკა **02.00** ბოევიკი "ცოფიანი ქოფაკი და გლორი" **03.35** დოკუმენტური ფილმი **04.20** მხატვრული ფილმი "ბრაუნინგის ვერსია" **05.50** მუსიკა

ОРТ

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.20, 18.50 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **12.10** Охотничьи истории в фильме **"Ни пуха ни пера" 13.20** "Гении и злодеи" **14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Скарлетт" 16.20** Криминальная Россия. "Смертельный звонок". 1-я с **17.00** "Слабое звено" **18.20** "Просто смех!" **19.50** "Стирка на миллион" **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.30 Сериал "Танцор" 23.30** "Разведка. Версия для кино" **00.00 Сериал "24 часа" 01.00** Дэн Экройд в комедии **"На лоне природы" 02.35 Боевик "Кодовое имя Феникс" 04.10 Сериал "Патруль времени" 05.05** Максим Никулин в программе "Форганг"

НТВ

06.00 Утро на НТВ. **08.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 10.00** Сегодня утром. **10.25** Кулинарный поединок: Юлия Бордовских - Яков Бранд. **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30** Приключенческий фильм **"ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!"**. 3-я серия. **14.05** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Место под солнцем". **18.35** Протокол. **19.40** Сериал **"МАНГУСТ: ОСТОРОЖНО, ГОЛОЛЕД". 20.50** Сериал **"НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ". 22.00** "Страна и мир". **22.35** Красная стрела. **22.45** Худ. фильм **"ЭВИТА ПЕРОН"**. 3-я серия. **01.05** Сегодня.

როგორ ჩამოართვეს ბარბის იმუნიტეტი

ამერიკის სასამართლომ პოპკულტურის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოს, თოჯინა ბარბის პაროდირების ნებართვა გასცა. ეს უფლება მხატვარმა ტომ ფორსაიტმა მთელ მსოფლიოში ცნობილი სათამაშოს მწარმოებელი ფირმისგან, Mattel-ისგან ბრძოლით მოიპოვა. ბრძოლა საკმაოდ ხანგრძლივი იყო.

ხუთიოდე წლის წინათ კომპანიამ ბატონ ფორსაიტს სასამართლოში უჩივლა იმის გამო, რომ მან ფოტოგრაფიების სერია გამოაქვეყნა, სადაც ბარბის ცხოვრების ყველა სტანდარტი სასაცილოდ იყო წარმოჩენილი. ასე, ერთ ფოტოსურათზე თოჯინა მიქსერსაა შემოხვეული, და დანადგარი უშუალოდ მისი სხეულის სიახლოვეს ტრიალებს. მეორე ფოტოზე რამდენიმე ბარბი, კვერებში გახვეული და სოუზმოსხმული, ჰაერლუმელში იბრაწება. სერია სულ 78 ფოტოსგან შედგება, და ყოველ მათგანზე ბარბი საკმაოდ გამომწვევად დგას ამერიკელი დიასახლისების საამაყო მიქსერების, ტოსტერების, მიკროტალღოვანი ღუმელებისა და სხვა საყოფაცხოვრებო დანადგარების გვერდით. ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ფირმის პროტესტებისა, ღია ბარათები, რომლებზეც ეს ფოტოებია აღბეჭდილი, შეერთებულ შტატებში დიდი წარმატებით იყიდება.

ბატონი ფორსაიტის თქმით, ბრენდი სახელწოდებით "ბარბი" სხვა არაფერია, თუ არა "აბსურდამდე დაყვანილი მომხმარებლობის იდეა", ხოლო სკანდალური ფოტოსურათები ამ მითის ნგრევის მცდელობა გახლავთ. "მე მინდოდა ყველასთვის მეჩვენებინა, რომ ბარბი მხოლოდ რეკლამისთვის შექმნილი მანქანაა და არა მისაბაძი მაგალითი," ამბობს მხატვარი.

თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, თოჯინის მწარმოებელმა ფირმამ ბატონ ფორსაიტის შემოქმედებითი წვა ჯეროვნად ვერ დააფასა და სასამართლო დონეზე ეცადა ფოტოსურათების აკრძალვას. მისი ხელმძღვანელობის თქმით, ამგვარად ფირმა თავისი ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ცდილობს. მაგრამ სასამართლომ ეს არგუმენტი არასაკმარისად მიიჩნია. საბოლოო ჯამში, კომპანიამ არა მარტო სასამართლო პროცესი წააგო, არამედ სამართალდამრღვევიც აღმოჩნდა: მოსამართლემ ჩათვალა, რომ Mattel-მა თავისი სარჩელით ამერიკის კონსტიტუციის ცნობილი პირველი შესწორება დაარღვია, რომელიც სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლევა, და ფირმას ბატონი ფორსაიტისთვის მორალური ზარალის კომპენსაციის სახით 1,8 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა მიუსაჯა. ფირმის წარმომადგენლების აღშფოთების საპასუხოდ მოსამართლემ განაცხადა, რომ თოჯინის გამოსახულებები "საზოგადოებრივ თემაზე კომენტარს" წარმოადგენს. "ბარბის მეშვეობით Mattel-მა უბრალო თოჯინა კი არა, საკულტო ხატი შექმნა, დიდება კი ხშირად არასასურველ ყურადღებასაც იპყრობს," დაასკვნა მან.

მოსამართლე გარკვეულწილად მართალია. ამ თოჯინის სათამაშო ღმერთთა პანთეონიდან მოშორებას უკვე ორმოც წელზე დიდი ხანია ცდილობენ. 1959 წლიდანვე, როცა ის ნიუ იორკის ბაზრობაზე პირველად წარადგინეს, ბარბი უბრალოდ თოჯინა არ იყო. მის გარშემო მთელი სამყარო აშენდა, რომელშიც ყველაფერი გულდასმით იყო გამოგონილი და ნაფიქრი, ფარდებითა და თმის სარჭებით დაწყებული და საწოლითა და საბაზანოთი დამთავრებული.

თოჯინის მოწინააღმდეგეები უმალვე ალაპარაკდნენ, რომ ბარბის პროტოტიპი გერმანული თოჯინა ლილი იყო, რომელიც თავის დროზე საგანგებოდ მამაკაცებისთვის იყო შექმნილი. ლილის საკმაოდ მიმზიდველი ფორმები ჰქონდა და გამომწვევ კაბებსა და მაკიაჟს ატარებდა. შემდეგ ბარბი ფემინისტების გასაჭირად იქცა - ისინი მოითხოვდნენ, რომ საზოგადოებას არარეალური ქალური ფორმების წარმოსახვა შეეწყვიტა.

თოჯინას 90-იანებშიც დასცინოდნენ. სწორედ მაშინ გახდა თითქმის ყველა მუსიკალური რეიტინგის ლიდერი დანიური ჯგუფის, Aqua-ს სიმღერა Barbie Girl. სიმღერაც და მისთვის გადაღებული კლიპიც ვარდისფერ ფერებში გადაწყვეტილ პლასტიკის ცხოვრებას დასცინოდა. დასკვნის სახით პატარა გოგონების კერპს "თმაგახუნებული დედაკაცი" უწოდეს, რომელიც სულ წვეულებებზე დადის და ალკოჰოლური დოპინგის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

სხვათა შორის, მაშინ ეს სიმღერაც ხანგრძლივი გარჩევის მიზეზი იყო. მაშინ Mattel ხმისჩამწერ კომპანია MCA Records-ს დაეტაკა. მაგრამ სასამართლომ მაშინაც ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც ოდნავ მაინც შებღალავდა "მთელი მსოფლიოს ბავშვების მთავარი თოჯინის" რეპუტაციას.

"გარღვევა" ხელოვანთა თვალით

თანამედროვე ხელოვნების გამოფენაში, რომელიც ჰააგის დიდ ეკლესიაში გაიხსნა, 10 ქვეყანა მონაწილეობს. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ ევროკავშირის წევრები გახდნენ. "გარღვევა" - ასე ჰქვია პროექტს, რომელიც ულტრათანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს წარმოგვიდგენს, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. გამოფენაში მონაწილე მხატვრების დიდი ნაწილი ახალგაზრდები არიან, მათ ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ გაითქვეს სახელი; მუშაობენ ფოტოგრაფიის, ვიდეო და DVD-ხელოვნების ჟანრში, ბიოტექნოლოგიური ხელოვნების სფეროში, ამზადებენ ინსტალაციებს...

კრიტიკოსთა შეფასებით, ამ გამოფენის ყველაზე შოკისმომგვრელი ექსპონატი სლოვენიელი მხატვრის - პოლონა ტრატნიკის ნამუშევარია. ექსპონატი ასეთნაირადაა შექმნილი: პოლონამ ჭიქა ჟელატინში ამოავლო, მერე ჟელატინზე საკუთარი სხეული ნაწილების ანაბეჭდები დატოვა და ექსპონატი შუშის ქვეშ მოათავსა. ჟელატინზე დარჩა სხეულის ბაქტერიები და მხატვრის კანის ფრაგმენტები. ჟელატინის ფენაში ჩარჩენილი მზარდი მიკრობები ტრატნიკის "პირადი მე"-ს გაგრძელებაა...

თვით ბრიტანული ულტრაავანგარდის ლიდერებს ტრეისი ემინსა და დემიენ ჰერსტსაც კი შეშურდებოდათ ეს ორიგინალური იდეა და თვითგამოხატვის ასეთი ფორმა.

ესტონელი ფემინისტის, მარე ტრალის მოკლემეტრაჟიან ფილმს "ჩექმები" ჰქვია. სამწუთიანი DVD-პროექტის პირველ კადრებში ასეთი სურათი წარმოგვიდგება: წითელი ფერით დახატულ ყოფილი სსრკ-ს რუკას ჩექმებით თელავენ. მერე საშუალო ხნის ქალი (მარე ტრალი თვითონ თამაშობს მთავარ და ერთადერთ როლს საკუთარ ფილმში) დასავლეთის რომელიღაც ქალაქის ქუჩებში დარბის, ფეხზე ჩექმა აცვია, თავზე თავსაფარი აქვს მოხვეული; დარბის და სამოცდაათიანი წლების საბჭოურ "შლიაგერებს" მღერის. და ეკლესიაში ისმის სიმღერა "Мой адрес не дом и не улица, мой адрес Советский Союз". მარე ტრალს ახლა სულ სხვა მისამართი აქვს - ევროკავშირი, მაგრამ მას ეს სიმღერა მაინც უმღვრევს გონებას.

და აი, კიდევ ერთი ექსპონატი ამ გამოფენიდან. თუმცა დამთვალიერებელი თავიდან ვერც კი ხვდება, რომ ეს მხატვრის ორიგინალური ჩანაფიქრია. მნახველის პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ვიღაცა დაბნეულმა მაღაზიიდან გამოფენის სანახავად შემოიარა და კუთხეში პროდუქტებით სავსე ჩანთა დარჩაო. მერე კი ირკვევა, რომ წითელი ტომარა, რომლიდანაც თავი ამოუყვია პოლიეთილენის პაკეტში გახვეულ ფალოსის ფორმის მწვანე კიტრს და რომელიც სავსეა "ჩიპსების", "პოპკორნის" კოლოფებით, მღერის და ირხევა საკუთარი მუსიკის ტაქტზე. ეს ნამუშევარი ახალგაზრდა ჩეხ ხელოვანს, კრისტოფ კინტერას ეკუთვნის და მას ასე ეწოდება "ამ ყველაფერზე გული მერევა"...

გამოფენა "გარღვევა" აგვისტოს ბოლომდე გასტანს. კრიტიკოსებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ის წლევანდელი ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროექტი იქნება. "გარღვევა" გეოგრაფიულ და კულტურულ ჰორიზონტსაც გააფართოებს.



წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.